მარქსის სახ. საქ. სსრ. საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბ. საოლქო
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ.
№ 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 12 საათიდან 5 საათამდე და
ხაღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ.
რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის [illegible] % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- ამერიკელი სპეციალისტი საბჭოთა მრეწველობის მიღწევების შესახებ.
- გლეხთა მოძრაობის გაძლიერება ჩინეთში.
- შემოდგომაზე ათინაში მოწვეულია ბალკანეთის ყველა სახელმწიფოთა კონფერენცია.
- ხუნხუზების თავდასხმა საბჭოთა საკონსულოს მდივანზე ციციკარში.
- გერმანიის საწინააღმდეგო მიტინგები ვარშავაში.
- ხორბლის ფასების დაცემა რუმინეთში.

ოთხშაბათი, 16 ივლისი 1930 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 165 (2813)

დიად ისტორიულ გადაწყვეტილებათა ყრილობა

მტრების ყველა იმედისა და მოლოდინის მიუხედავად, მე-16 ყრილობამ გამოააშკარავა ჩვენი პარტიის უდიდესი იდეური შემჭიდროება.

მემარჯვენე ოპოზიციამ იმ გააფთრებულ ბძოლაში, რომლითაც პარტია მოდიოდა და მოვიდა მე-16 ყრილობაზე, ვერც კი გაბედა დაეცვა თავისი პოლიტიკური პლატფორმა. მისი ყოფილი ბელადები იძულებულნი გახდნენ ერთხელ კიდევ ეღიარებიათ თავიანთი შეცდომები, თუმცა, უნდა ითქვას, ამისათვის მათ სრულიად არადამაკმაყოფილებელ ფორმას მიმართეს.

მე-16 ყრილობამ ბოლომდე გამოააშკარავა მემარჯვენე ოპორტუნიზმი, როგორც კულაკური აგენტურა ჩვენი პარტიის შიგნით, და მემარჯვენე ოპოზიციის შეხედულებანი საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრობასთან შეუთავსებლად გამოაცხადა. ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო და სპეციალური გადაწყვეტილება იმათ წინააღმდეგ, ვინც დროს უცდის, ჯერჯერობით თავს იკავებს თავისი ოპორტუნისტულ შეხედულებათა პროპაგანდისაგან, მაგრამ ხელს არ იღებს ამ შეხედულებებზე, ვინც ორ სკამზე ჯდომას სცდილობს და თავის იდუმალ იმედებს პარტიის პოლიტიკის გაკოტრებაზე ამყარებს. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ამ გადაწყვეტილებიდან ყველა საჭირო დასკვნა უნდა გამოიყვანონ.

ყრილობამ საშუალება მისცა მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილ ლიდერებს საქმით დაამტკიცონ თავიანთი სიტყვიერი სოლიდარობა პარტიის გენერალურ ხაზთან. იმაზე, თუ როგორ მოიქცევიან ისინი შემდეგში, დამოკიდებული იქნება პარტიის შემდგომი ნაბიჯები. ორ სკამზე ჯდომას პარტია ულმობელად და გადაჭრით შეებრძოლება, განურჩევლად პიროვნებისა.

თავის უდიდეს წარმატებას სოციალიზმის მშენებლობაში პარტიამ მიაღწია მედგარი ბრძოლით არა მარტო მტრულ ძალებთან, არამედ მათ შინაპარტიულ აგენტურასთანაც: მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმთან. ასევე გზით წავა პარტია შემდეგშიაც, გადაჭრით იბრძოლებს ორ ფრონტზე და გადაჭრით იბრძოლებს ყოველგვარი გადახრებისადმი შემრიგებლობის წინააღმდეგ.

ვიდრე საბოლოოდ არ განადგურებულა და დაძლეულა კულაკობის წინააღმდეგობა ჩვენს ქვეყანაში, მემარჯვენე ოპორტუნიზმი კვლავ რჩება მთავარ საფრთხედ ჩვენი პარტიის შიგნით.

პარტია გადაჭრელ წინააღმდეგობას გაუწევს მემარჯვენე ოპორტუნისტული საფრთხის მნიშვნელობის შემცირების ყოველ მცირეოდენ ცდას და ჩასთვლის ასეთ ცდას შემრიგებელ დამოკიდებულებად მემარჯვენე ოპორტუნიზმისადმი.

მე-16 ყრილობამ ანალიზი გაუკეთა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას და შეაფასა გამწვავებული მსოფლიო ეკონომიური კრიზისი და ახალი რევოლიუციონური აღვირთება. გამწვავებული კრიზისიდან საერთაშორისო ბურჟუაზია შეეცდება იპოვოს გამოსავალი ომში, ხოლო საერთაშორისო პროლეტარიატი ჩაგრულ კოლონიალურ ხალხებთან ერთად—რევოლიუციაში. აქედან გამომდინარეობს კომინტერნის ამოცანა—განამტკიცოს კავშირი მასებთან და სათავეში ჩაუდგეს მათ გაძლიერებულ მოძრაობას, მოახდინოს თავისი სექციების ბოლშევიზაცია და გასწმინდოს ისინი ოპორტუნისტულ ელემენტებისაგან. აქედან გამომდინარეობს ომის საფრთხე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპების უზრუნველყოფა, რაც ამაგრებს საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარს, წარმოადგენს მშვიდობიანობის საუკეთესო გარანტიას (ეს იმიტომ, რომ რაც უფრო ძლიერია საბჭოთა კავშირი, მით უფრო საშიშია მის წინააღმდეგ გალაშქრება, მეტადრე მაშინ, როდესაც ჩვენი მტრების ზურგს უკან (ცეცხლი ბობოქრობს) და გამარჯვების საუკეთესო გარანტიას, თუ მშვიდობიანობას ვერ შევინარჩუნებთ.

მხოლოდ საბჭოთა კავშირის მტრებს, რევოლიუციისა და მუშათა კლასის მტრებს შეუძლიათ მხარი დაუჭირონ ინდუსტრიალიზაციის ტემპების შენელებას ჩვენს ქვეყანაში.

მე-16 ყრილობამ საბოლოოდ გააცამტვერა ბურჟუაზიული მავნებლების მიერ შეთხზული და შემდეგ ტროცკისტების და მემარჯვენე ოპორტუნისტების მიერ განმეორებული თეორია საბჭოთა კავშირის მრეწველობის განვითარების თანდათანი შენელების შესახებ რეკონსტრუქციის პერიოდში. ორწელიწადნახევარში მე-15 ყრილობის შემდეგ ჩვენმა მრეწველობამ გაორკეცა თავისი ომის წინადროინდელი პროდუქცია. ხუთწლედის მესამე წელს ჩვენი პროდუქციის ახალი ზრდა მეფის დროინდელი რუსეთის მთელი პროდუქციის ოდენა იქნება. რაც მეფის დროინდელ რუსეთში მთელი მისი ისტორიული განვითარების შედეგი იყო, იმას ჩვენ მხოლოდ ერთ წელიწადში მივიღებთ, პროფესორებისა და მათი დამქაშების მავნებლური თეორიების შესარცხვენად. იმათ შესარცხვენად, ვინც პარტიისაგან მოითხოვდა „გზის ალებას ვიწრო ადგილების მიხედვით“.

მე-16 ყრილობამ დასახა დიადი მშენებლობის ახალი ბუმბერაზული პროგრამა, ყველა ფრონტებზე პარტიისა და მუშათა კლასის შემდგომი გაშლილი სოციალისტური შეტევის პროგრამა.

მე-16 ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ჩვენ ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში უნდა შევასრულოთ. ხუთწლიანის ცამლევისათვის ჩვენ მივიღებთ 17 მილიონ ტონა თუჯს. ჩვენ გადავიქცევით მეტალურგიულ ქვეყნად. ჩვენ სწრაფად მივდივართ ამისაკენ.

ჩვენ შევქმნით ურალ-კუზნეცკის ქვანახშირისა და მეტალურგიის ახალ ბაზას. გიგანტი—ქარხნების მშენებლობის დამთავრება მაგნიტოგორსკსა და ტელბესში მკვიდრ სათავეს დაუდებს ამ ბაზას.

ჩვენ ვიწყებთ გაძლიერებულ მუშაობას ტრანსპორტის რეკონსტრუქციისათვის.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში მიღწეული წარმატებების და ტექნიკურ კულტურათა ნათესი ფართობის ზრდის საფუძველზე ჩვენ უფრო სწრაფად წავსწევთ წინ მსუბუქი მრეწველობის, მასებისათვის სამომხმარებლო საგნების მწარმოებელი მრეწველობის განვითარებას. ჩვენ საფუძვლიანად შევუდგებით სასურსათო სიძნელეთა და საქონლის ნაკლებობის ლიკვიდაციას ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენ განვამტკიცებთ მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის საქმეში მიღწეულ წარმატებას საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების მშენებლობის საფუძველზე და დავხნავთ და დავთესავთ ახალ რამდენიმე ათ მილიონ ჰექტარ ხელუხლებელ ნიადაგს ვოლგის მხარეში, ციმბირში და კაზაკსტანში.

ბოლშევიკური რევოლიუციით მომხმარებელი ზოლის სოფლის მეურნეობაში გადავჭრით მეცხოველეობის პრობლემას.

აი ის კონკრეტული გზები, რომლებითაც ვივლით მე-16 ყრილობის შემდეგ, შევასრულებთ მის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და დავეწევით და გავუსწრებთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, განვამტკიცებთ საბჭოთა კავშირის ძალას და დავამთავრებთ სოციალისტური ეკონომიკის საძირკველს საბჭოთა ქვეყანაში. მე-15 ყრილობიდან მე-16 ყრილობამდე განვლილ ხანში ჩვენს ქვეყანაში უდიდესი კლასობრივი გადაჯგუფებები მოხდა. რამდენჯერმე გაიზარდა სოციალისტური სექტორი სოფლის მეურნეობაში, სადაც იგი წინად შეუმჩნეველი იყო. რამდენიმე მილიონ კოლმეურნეს სახით გაიზარდა საბჭოთა ხელისუფლების ახალი მძლავრი დასაყრდენი სოფლად. მე-16 ყრილობის შემდეგ პარტიის წინაშე მთელი სიმწვავით სდგას არსებულ კოლმეურნეობათა განმტკიცებისა და იქ ახალი მასების ჩაბმის ამოცანა.

შრომის სწორად, რაციონალურად და სანიმუშოდ მოგვარებით კოლმეურნეობებში, ინდივიდუალურ მეურნეობასთან შედარებით კოლმეურნეობის უპირატესობათა ახალი თვალსაჩინო დამამტკიცებელი საბუთებით, ინდივიდუალურ მეურნეთა შორის მუშაობის გაშლით, „მემარცხენეობის“ განწყობილების აღმოფხვრით, ინდივიდუალური მეურნეობის მიმართ არასაკმაო ყურადღების დაძლევით, ღარიბ გლეხთა ორგანიზაციების განმტკიცებით,—ყველა ამით პარტია გამოიწვევს ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების ახალ მძლავრ ლტოლვას კოლმეურნეობებისაკენ, პარტია მძლავრად წასწევს წინ მთელი საბჭოთა კავშირის მთლიანი კოლექტივიზაციის საქმეს.

ჩვენი მრეწველობა იზრდება და მაგრდება, როგორც სოციალისტური მრეწველობა. კაპიტალისტურ ელემენტებს მრეწველობაში უმნიშვნელო ადგილი უჭირავთ. ჩვენ უკვე მივაღწიეთ განსაზოგადოებული სექტორის გადამჭრელ უპირატესობას ვაჭრობაში. ჩამორჩენილი და დაქუცმაცებული სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტურ ელემენტებს ჰქონდათ თავიანთი უკანასკნელი, ყველაზე მაგარი პოზიციები. ეხლა მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე ჩვენ შევუდექით ამ პოზიციების ლიკვიდაციას. სხვადასხვა ტემპებით და სხვადასხვა პირობებში, მაგრამ მთლიანი გეგმის საფუძველზე, სოციალისტური მრეწველობის ზრდისა და ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის ახალი ფორმების თანდათანი დამკვიდრების საფუძველზე, საბჭოთა კავშირის მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელებით, ჩვენ ვამთავრებთ სოციალისტური ეკონომიკის საძირკველს ჩვენს ქვეყანაში, შევდივართ სოციალიზმში.

მხოლოდ მშრომელი მასების აქტივობის მძლავრმა ზრდამ მუშათა კლასის მეთაურობით, მხოლოდ პარტიის დამრაზმავი და ხელმძღვანელი როლის ზრდამ გახადა შესაძლებელი ჩვენი ბუმბერაზული წარმატება.

მუშათა კლასი სოციალიზმის საქმის ძირითადი მომძრავებელია. პარტია მუშათა კლასის მოწინავე ავანგარდია. მუშათა კლასის კულტურულ-პოლიტიკური დონის ამაღლება, ყველა მუშის, ხოლო მათ შემდეგ ყველა მშრომელის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმა, სამეურნეო, ტექნიკური და საკოლმეურნეო კადრების პრობლემის, როგორც ეხლანდელ ეტაპზე სოციალისტური მშენებლობის ძირითადი პრობლემის, გადაჭრა, მუშათა ახალი მასების კვალიფიციურ შრომაში დახელოვნება, მცირე ვადაში საყოველთაო დაწყებითი სწავლის შემოღება ქალაქად და სოფლად, კულტურულ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლა კოლმეურნეთა მასებს შორის, მასიური ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნა, დაწყებული პროფკავშირებიდან, სოციალისტური მშენებლობის ტემპებთან და გაზრდილ ამოცანებთან შეფარდებით, შეტევა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ყველა ფრონტზე, პარტიისა და მისი მუშური ბაზის განმტკიცება, მძლავრი პარტიული ორგანიზაციის შექმნა სოფლად, რომელიც უწინარეს ყოვლისა კოლმეურნეობებს უნდა ეყრდნობოდეს,—აი ძირითადი წინასწარი პირობები ჩვენი შემდგომი წარმატებისა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საქმეში.

ყრილობამ შემთხვევით როდი მიაქცია თვალსაჩინო ყურადღება ნაციონალურ საკითხს. ყოფილი მეფის დროინდელი რუსეთის წინად ჩაგრულ ეროვნებათა მრავალმილიონიანი მასების ნამდვილად ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში, ნაციონალურ რესპუბლიკებში ნამდვილი და არა ქაღალდზე არსებული კოლმეურნეობების შექმნა წარმოუდგენელია ლენინური ნაციონალური პოლიტიკის მტკიცედ გატარების გარეშე, პარტიის ჯერ კიდევ მე-10 და მე-12 ყრილობების მიერ მიღებული და მეფის რუსეთისაგან ნაანდერძევი ნაციონალური უთანასწორობის მოსპობისაკენ მიმართული გადაწყვეტილებების განუხრელად გატარების გარეშე, გადამჭრელი ბრძოლის გარეშე დიდმპყრობელური და ადგილობრივი შოვინიზმის წინააღმდეგ, რომელნიც აფერხებენ ნაციონალური რესპუბლიკების მშრომელი მასების ჩაბმას სოციალისტურ მშენებლობაში.

ნაციონალური პოლიტიკის გატარება მე-16 ყრილობის შემდეგ უნდა განვითარდეს დამკვრელი ბოლშევიკური ტემპებით. ისეთი ტემპებით, რომელნიც შეეფერებიან ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საერთო ტემპებს.

უფრო ღრმად შევიჭრათ მასებში! ახალი, ჯერ კიდევ ხელშეუხებელი მასების ამოძრავება, მათთან დამაკავშირებელი ძაფების გაბმა, პარტიის, საბჭოებისა და პროფკავშირების მუშაობის უფრო ფართოდ გაშლა, მასების ჯერ კიდევ გამოუყენებელი აქტივობის რეზერვების ამოძრავება და საქმეში ჩაბმა,—ყოველივე ეს ნიშნავს სოციალისტური მშენებლობის ბოლშევიკური ტემპების უზრუნველყოფას. ეს ნიშნავს სიძნელეთა გადალახვას და სოციალიზმის უმოკლეს ვადაში აშენებას.

მთელი მუშათა კლასის და მშრომელი მასების ჩაბმა სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საბჭოთა კავშირის გადაქცევა მთლიანი კოლექტივიზაციის ქვეყნად; კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ბოლომდე მიყვანა; „ნეპის რუსეთის სოციალისტურ რუსეთად“, საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის შეურყეველ ბაზად გადაქცევა,—აი ის ძირითადი ლოზუნგები, რომლებიც დაუსახა მე-16 ყრილობამ მთელ პარტიას, მთელ ჩვენ ქვეყანას.

მთლიანი პარტია, შემჭიდროებული თავისი ლენინური ხელმძღვანელის ირგვლივ, ამხ. სტალინის მეთაურობით, ლახვარს ჩასცემს მტრებს, გადაჭრით დასძლევს ოპორტუნისტულ გადახრებს გენერალური ხაზიდან, ულმობელად აღგვის კულაკურ და ოპორტუნისტულ ნაგავს თავისი რიგებიდან და განახორციელებს მე-16 ყრილობის მიერ მიღებულ დიად ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

„პრავდა“, 14 ივლისი.

პროფკავშირების ამოცანები რეკონსტრუქტიულ პერიოდში

ამხ. შვერნიკის მოხსენება XVI პარტყრილობაზე

— ამხანაგებო! მე-15 პარტყრილობიდან მე-16 ყრილობამდე პროფმოძრაობამ საბჭოთა კავშირში განვლო განვითარების მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი. საბჭოთა პროფმოძრაობის განვლილი წლების განვითარებას დიდად თვალსაჩინო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს არა თუ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისათვის, არამედ მთელი საერთაშორისო პროლეტარიატისათვისა და მსოფ. რევოლიუციონური მოძრაობისათვისაც. მე-16 ყრილობამდე ჩვენ განვლეთ პროლეტარიატის სოციალისტური შეტევის უდიდესი ეტაპი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულტურული რევოლიუციის გაღრმავების საქმეში და აგრეთვე იმ მხრივ, რომ ამ ხნის განმავლობაში უდიდეს მოვლენებს ჰქონდა ადგილი საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობაში. მიმდინარე მომენტის აზრი, როგორც ეს სწორად გამოხატა ამხ. სტალინმა თავის მოხსენებაში, ისაა, რომ, სოციალიზმი მთელი ფრონტით ფართო შეტევაზეა გადასული.

ბოლშევიკური შეტევა მთელი სიგრძე-სიგანით აყენებს მასიურ მუშათა ორგანიზაციებისა და, პირველ რიგში, პროფკავშირების, როგორც კაპიტალიზმის წინააღმდეგ პროლეტარიატის შეტევის გაშლა-გაფართოების საქმეში უმთავრესი ფაქტორის, როლის საკითხს. იმ დროს, როცა ხდებოდა სოციალიზმის მთელი ფრონტით უდიდესი გადასვლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ შეტევაზე, საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობის ძველმა ხელმძღვანელობამ ვერ გამოიჩინა უნარი გაეგო პროლეტარული დიქტატურის ამოცანები რეკონსტრუქტიულ პერიოდში და დაიკავა ანტილენინური პოზიციები პროფმოძრაობის ყველა ძირითად საკითხებში. როგორ იყო, რომ ეს ასე მოხდა? ამ კითხვას ნათელი, ამომწურავი პასუხი უნდა გავცეთ.

ბრძოლა მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგ პროფკავშირებში

ამ პასუხს მოველოდით ჩვენ ამხ. ტომსკისაგან პარტიულ ყრილობაზე, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამხ. ტომსკიმ თავის გამოსვლაში აშკარად მიჩქმალა თავისი შეცდომები პროფმოძრაობაში. შემთხვევითია თუ არა ის მოვლენა, რომ პროფკავშირთა ცენტ. საბჭოს ძველი შემადგენლობის ხელმძღვანელმა ოპორტუნისტულმა ჯგუფმა არა თუ ვერ გამოიჩინა უნარი გაეგო პროლეტარული დიქტატურის ამოცანები რეკონსტრუქტიულ პერიოდში და აქედან გამომდინარე პროფკავშირთა ამოცანები, არამედ წინააღმდეგობაც კი გაუწია პარტიას პროფკავშირთა მუშაობის გარდაქმნაში? შემთხვევით ატარებდა თუ არა ეს ხელმძღვანელობა ანტილენინურ ხაზს, როცა უპირისპირებდა პროფკავშირებს პარტიას? არა, არა შემთხვევით. პარტიის მთელი ისტორია გვასწავლის, რომ ყველა ოპოზიციონური დაჯგუფებები საკავშირო კომპარტიის (ბ) შიგნით პროლეტარული რევოლიუციის სხვადასხვა ეტაპებზე ამა თუ იმ სახით აყენებდნენ პროფკავშირთა საკითხს. რატომ? იმიტომ, რომ პროფკავშირები—ეს უდიდესი ბერკეტია პროლეტარული დიქტატურის სისტემაში, იმიტომ, რომ რევოლიუციის მამოძრავებელი ძალებისა და პროლეტარული დიქტატურის ძირითად საკითხებში დაშვებული შეცდომა აუცილებლად იწვევს შეცდომებს პროლეტარიატის მასიური ორგანიზაციების როლისა და ამოცანების გაგებაში.

საჭირო არაა იმის მტკიცება, რომ მემარჯვენეების ყველა პრინციპიალური შეცდომები პროფკავშირებში აგრეთვე მჭიდროდაა დაკავშირებული საერთო ანტილენინურ თეორიტიულ დებულებებთან, საიდანაც ეს შეცდომები გამომდინარეობს. ნამდვილად კი რას გვეუბნება ფაქტები? პარტიამ აიღო კურსი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ჩქარ ტემპებზე, მემარჯვენე ოპორტუნისტები კი გვირჩევდნენ „ვიწრო ადგილებზე“ შეჩერებას და ხელს გვიშლიდნენ ინდუსტრიალიზაციის ჩქარი ტემპების გატარებაში. მემარჯვენე - [illegible] ხელმძღვანელობა პროფკავშირების შიგნით ფაქტიურად უპირისპირებდა დაცვის ფუნქციებს საწარმოო ამოცანებს და ასე ეშვებოდა ის ვიწრო ცეხური ინტერესების დაცვის დონემდე. მემარჯვენეები ამ საკითხებში არსებითად იცავდნენ მენშევიკურ პოზიციას, რომლის თანახმადაც ხდება მუშათა ინტერესების დაპირისპირება პროლეტარული დიქტატურის ინტერესებისადმი მთლიანად. მემარჯვენეები პროფმოძრაობაში პარტიის პოლიტიკას აფასებდნენ, როგორც ტროცკიზმის შეხედულების აღიარებას, როგორც პროფკავშირთა პირის ბრუნებას სამხედრო კომუნიზმის ეტაპისაკენ. მათ თავიდან ბოლომდე გამოააშკარავეს უცოდინარობა ახალი ეკონომიური პოლიტიკისა, როგორც ისეთი პოლიტიკისა, რომელიც აუცილებლად გულისხმობდა პროლეტარიატის გარდამწყვეტ შეტევას კაპიტალიზმის წინააღმდეგ, პარტიამ ამოცანად დაისახა გადასულიყო კაპიტალიზმის წინააღმდეგ შეტევაზე მთელი ფრონტით. პარტიის ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ მემარჯვენეებმა წამოაყენეს კულაკის სოციალიზმში შეზრდისა და საბჭოთა და კოლმეურნეობათა მშენებლობისადმი ურწმუნოების თავიანთი ხაზი. მემარჯვენე ოპორტუნისტებმა პროფკავშირთა შიგნით, რომლებიც ამ თეორიას იცავდნენ, საკმაოდ ვერ შეაფასეს პროფკავშირთა მუშაობის მნიშვნელობა სოფლად.

პარტიამ გამოაცხადა მემარჯვენე გადახრა მთავარ საფრთხედ ჯერ კიდევ პროფკავშირთა მე-8 ყრილობამდე დიდი ხნით ადრე. როგორ უპასუხა ამას ხელმძღვანელმა პროფკავშირულმა პრესამ? ის თითქმის სდუმდა. პარტიამ წამოაყენა სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლა-გაფართოების საკითხები, მემარჯვენე უკლონისტებმა კი არ იკისრეს სათავეში ჩასდგომოდნენ მასების ინიციატივას. პარტიამ გაშალა ფართო თვითკრიტიკა, მემარჯვენე ოპორტუნისტები კი ფარავდნენ პროფკავშირული აპარატის ბიუროკრატიულ ტრადიციებს. პარტიამ წამოაყენა საკითხი პროფკავშირთა ძირითადად გარდაქმნის შესახებ, მემარჯვენე ოპორტუნისტულმა ხელმძღვანელობამ ამას შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია და დაექანა პროფკავშირულ ორგანიზაციების პარტიისადმი დაპირისპირების მოლიპულ გზაზე. ცალკე ლიდერები იქამდეც კი მივიდნენ, რომ პროფკავშირებზე პარტიული ხელმძღვანელობის განმტკიცებაში ისინი ხედავდნენ პროფკავშირული მოძრაობის „დაქსაქსვას“. პარტია აიძულებდა ხელმძღვანელობას უაღრესად გარდამწყვეტი ბრძოლა ეწარმოებია ლენინური იდეოლოგიისათვის პროფკავშირულ მოძრაობაში, მემარჯვენეები არა თუ არ ებრძოდნენ ტრედიუნიონისტულ თეორიებს, რომელთა განვითარებაც ხდებოდა პროფკავშირთა საბჭოს თვალწინ, არამედ უდარდელად უთმობდნენ მათ პროფკავშირთა საბეჭდავ მანქანებს. მემარჯვენეები ითმენდნენ თეორეტიულ კვლევაძიების სფეროში ტროცკისტებს, რომლებიც ავითარებდნენ რეფორმისტულ შეხედულებებს პროფმოძრაობის როლისა და ამოცანების შესახებ და ამტკიცებდნენ, რომ რეფორმისტული გზა თვით ისტორიის მიერ არის გამართლებული. ეს კიდევ ცოტაა: მემარჯვენეები თვით გახდნენ პროფმოძრაობის მთელ რიგ ძირითად საკითხების ტრედიუნიონისტულად გაგების დამცველები. აქედან კი გამომდინარეობს მეტისმეტად საპასუხისმგებლო ამოცანა: გაიწმინდოს პროფმოძრაობის თეორია და პრაქტიკა რეფორმისტული შხამისაგან, ამაღლდეს თეორეტიული მუშაობა პროფმოძრაობაში და სათანადო სიმაღლეზე იქნას დაყენებული ლენინური მოძღვრების პროპაგანდა პროფკავშირებში.

ძველი რეფორმისტული ხელმძღვანელობა მოსწყდა მასებს. პროფკავშირული ორგანიზაციების ცალკე ნაწილებმა იწყეს გადაგვარება, ძველი ხელმძღვანელობა ასაზრდოებდა აპოლიტიურობას მუშაობაში და ტრედიუნიონისტულ ტენდენციებს.

როგორ ესმის მემარჯვენე ოპორტუნისტების ყოფილ ლიდერებს ტომსკის ძველი ხელმძღვანელობის ყველა შეცდომები პროფკავშირებში? როგორ აფასებს ის ამ შეცდომებს? საკმარისია ყურადღებით წაიკითხოთ ტომსკის სიტყვა ამ ყრილობაზე, საიდანაც დაინახავთ, რომ მან ვერ გაიგო თავისი შეცდომები. თავის სიტყვაში ტომსკიმ განაცხადა:

„ჩემს და ოპოზიციონურ განწყობილებიდან, რაც თანდათანობით იზრდებოდა, გამომდინარეობდა ის, რომ ამხანაგები, რომლებიც მთელ რიგ წლების განმავლობაში მიყურებდნენ მე, როგორც ხელმძღვანელს, ირაზმებოდნენ ჩემს გარშემო და გადადიოდა მათზე ის განწყობილება. აქედან გამომდინარეობდა, თუმცაღა ხშირად ჩემი სურვილის წინააღმდეგ, რომ იზრდებოდა პროფმოძრაობის მაშინდელი ხელმძღვანელობის უმრავლესობის ზედაფენების დაპირისპირება პარტიის ც. კ.-ისადმი. აქედან გამომდინარეობდა პროფკავშირების მოწყვეტა იმ ამოცანებისაგან, რომელთაც აყენებდა ცხოვრება, აყენებდა რეკონსტრუქტიული პერიოდი, უდიდესი მშენებლობა და მუშაობა, რასაც აწარმოებდა ჩვენი პარტია. ამის შედეგი იყო ცნობილი შეტაკება და ცნობილი კონფლიქტი პროფკავშირთა მე-8 ყრილობაზე და ჩემი სრულიად დაუშვებელი წასვლა, თვითნებური წასვლა პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან, რამაც გამოიწვია, რა თქმა უნდა, პროფმომუშავეთა რიგების დემორალიზაცია და პროფკავშირთა დეზორგანიზაცია და ის, რომ პარტიის ც. კ.-ი იძულებული გახდა მიეღო გარდამწყვეტი ზომები, განეახლებია და მოეხსნა პროფმოძრაობის მთელი ხელმძღვანელობა“.

რა არის დამახასიათებელი ტომსკის გამოსვლაში? მოუსმინეთ მხოლოდ, თუ რა „საპატიო“ როლს მიაკუთვნებს ტომსკი თავის თავს. ის მიდის, თვითონ. შედეგი: ხდება მთელი მოძრაობის დემორალიზაცია. ის წაბორძიკდა და შეცდა, მასთან ერთად შეცდა ყველა. მან დაიწყო ც. კ.-ის დაპირისპირება თავის თავისადმი და მასთან ერთად იყო პროფკავშირთა საბჭოს მთელი ხელმძღვანელობა, ლაპარაკიც მეტია, თუ რა თავაზიან როლს აწერს ტომსკი თავის თავს!

ყველა ამბებში გამოკრთის მხოლოდ ტომსკის განწყობილება, მაგრამ სადღა არის მემარჯვენე ოპორტუნისტების ხაზი პროფმოძრაობაში, რომელიც უპირისპირდებოდა პარტიის ხაზს? ამის შესახებ ტომსკის არაფერი უთქვამს.

არ გვეუბნება განა ეს სიტყვა, რომ მემარჯვენე ოპორტუნისტებმა ვერ გაიგეს თავიანთი შეცდომები? მემარჯვენეების ფრაქციული ბრძოლა პროფკავშირებში აღიარებულია ამხ. კოზელევის განცხადებაში, რად დასჭირდა ტომსკის დაემალა პარტიისათვის ფრაქციული მუშაობა? არ გვიჩვენებს განა ეს, რომ მემარჯვენეებმა დაიტოვეს უბეში ქვა პარტიის წინააღმდეგ?

მათ უნდა სთქვან, რომ მემარჯვენეთა შეცდომა პროფმუშაობაში უფრო ღრმა იყო, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლება ტომსკის სიტყვიდან. მემარჯვენეთა პოლიტიკას პროფმოძრაობაში აუცილებლად მივყავდით ავანგარდისა და მასის გათიშვამდე. მემარჯვენეთა პოლიტიკა იწვევდა პარტიის გავლენის შესუსტებას პროფკავშირებში. მემარჯვენეები ცდილობდნენ აღემართათ ოპორტუნისტული ხელმძღვანელობის კედელი კავშირებსა და პარტიას შორის იმ იმედით, რომ პროფმოძრაობა გაშორდებოდა მათ. მემარჯვენეთა ხაზი პროფკავშირებში გარკვეულად მოასწავებდა სოციალისტური მშენებლობის ჩაშლის ხაზს. მაგრამ ეს არ მოხდა. პარტიამ დროზე გამოუცხადა გადამჭრელი ბრძოლა მემარჯვენეებს და პროფკავშირებში მომუშავე კომუნისტების დიდი უმრავლესობის მხარის დაჭერის საშუალებით გარიყა მემარჯვენეები. მაგრამ მემარჯვენეებს ერთი წარმატება ხვდათ პროფკავშირებში. მათ თავიანთი მუშაობით მეტად გააძნელეს პროფკავშირების ჩქარი გადაყვანა რეკონსტრუქტიული ეპოქის რელსებზე: ეს არის მათი უდიდესი დანაშაული პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე.

პროფკავშირთა მთელი მუშაობის წარმატებით გარდაქმნის—პირის წარმოებისაკენ მობრუნების—უმთავრეს პირობად ითვლება ბრძოლა ორ ფრონტზე — მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, „მემარცხენე“ გადახვევათა და მათდამი შემრიგებლობის წინააღმდეგ. მემარჯვენე საფრთხე და შემრიგებლობა რჩება უმთავრეს საფრთხედ, რომელთა წინააღმდეგაც საჭიროა გარდამწყვეტი ბრძოლა, რომ ძირიან-ფესვიანად იქნას ის განდევნილი პროფკავშირთა მუშაობის თეორიიდან და პრაქტიკიდან. ამასთანავე საჭიროა თანამიმდევრობითი ბრძოლა „მემარცხენე“ ანარქო-სინდიკალისტურ, ნახევრად-ტროცკისტულ გადახრების წინააღმდეგ პროფმოძრაობაში. პროფკავშირებმა მჭიდროდ უნდა დაუკავშირონ თავისი მუშაობა მუშათა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საწარმოო ამოცანებსა, ერთსა და იმავე დროს საჭიროა გაკიცხულ იქნას ყოველივე ლაპარაკი იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ მოხდეს პროფკავშირების ხელში წარმოების მთელი მართვის კონცენტრაცია. ოპორტუნისტული ძველი ხელმძღვანელობის შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ, რომ წარმატებით განვავითაროთ ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობა. პროფკავშირს მხოლოდ პარტიის ხელმძღვანელობით შეუძლია სათავეში ჩაუდგეს მასებს და დროულად მოახდინოს მიხვევ-მოხვევანი პროლეტარული დიქტატურის განვითარების ყველა საფეხურზე. პარტიის ხელმძღვანელობის ოდნავი შესუსტებაც კი აუცილებლად გამოიწვევს პროფკავშირების როლისა და გავლენის შემცირებას.

პროფმოძრაობის ამოცანების ამა თუ იმ მომენტისათვის გამორკვევის დროს ჩვენ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ ლენინის მოძღვრებით პროფკავშირების შესახებ და პარტიული ყრილობების დადგენილებებით ამოიწურება პროფკავშირების როლი და ამოცანები იმისდამიხედვით, თუ რა მოთხოვნილებას აყენებს პროლეტარული დიქტატურა ამა თუ იმ პერიოდში. პროლეტარულ სახელმწიფოში პროფკავშირთა როლისა და ამოცანების ამ ლენინური განსაზღვრის მოყვანის შემდეგ მე გადავდივარ პროფკავშირთა მორიგ ამოცანების დახასიათებაზე რეკონსტრუქტიულ პერიოდში.

რეკონსტრუქტიული პერიოდი და პროფკავშირების მობრუნება წარმოებისაკენ

•რეკონსტრუქტიული პერიოდი ავალებს პროფკავშირებს უფრო მეტი აქტიურობა გამოიჩინოს და უშუალო მონაწილეობა მიიღოს სამეურნეო მშენებლობაში და წარმოებისაკენ პირის ბრუნებაში. ლოზუნგი—პირით წარმოებისაკენ—ნიშნავს, რომ უნდა დაირაზმოს მუშათა კლასის მილიონიანი მასები სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანათა განსახორციელებლად. პირით წარმოებისაკენ მიბრუნება ნიშნავს პროფკავშირების კონკრეტულ ხელმძღვანელობას მუშათა კლასის უდიდესი ალტკინების—სოციალისტურ შეჯიბრებისა და დამკვრელობის საქმეში, რომელთა მიზანიცაა: შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცება, შრომის ნაყოფიერების გაზრდა და პროდუქციის ღირსების გაუმჯობესება. რა და რა ამოცანებს აკისრებს პროფკავშირებს წარმოებისაკენ მიბრუნება? ძირითადი და გარდამწყვეტი პროფკავშირების მთელი მუშაობის გამოცხოველებისა და გაუმჯობესებისათვის და წარმოების მართვაში ფართო მასების ჩაბმისათვის არის—ფართო მასების დარაზმვა სოციალისტურ შეჯიბრებაში და დამკვრელობაში. ლენინის გაწვევის დამკვრელობა გაიშალა მუშათა მასების უდიდეს მოძრაობად, ამ გაწვევამ ჩვენ მოგვცა მილიონზე მეტი დამკვრელი. 1 მარტისათვის სოციალისტური შეჯიბრებით მოცული იყო ორი მილიონი, ხოლო [illegible] მილიონ-ნახევარი სამრეწველო მუშა. კომუნისტების 25 პროცენტი ჯერ კიდევ არ იღებს მონაწილეობას სოციალისტურ შეჯიბრებაში. სოციალ. შეჯიბრებაზე გადასულ ინჟინერ-ტექნიკოსების რიცხვი შეადგენს 51 პროცენტს. სოციალისტური შეჯიბრებითა და დამკვრელობით უზრუნველყოფილია შრომის ნაყოფიერების გაზრდა, სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულება და სოციალისტური მშენებლობის ჩქარი ტემპები, ლენინის გაწვევის დამკვრელებმა უდიდესი როლი ითამაშეს სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებაში. საკმარისია ავიღოთ თუნდაც მარტის თვე. იანვართან შედარებით ეს თვე ლითონის დამუშავებასა და გემთმშენებლობაში იძლევა 27 პროცენტით მეტ პროდუქციას, ქვანახშირის ამოღებაში—9 პროც., თუჯის დამუშავებაში 6 პროც. და ფოლადისა—2 პროცენტით მეტს. შრომის ნაყოფიერება მარტში გაიზარდა იანვართან შედარებით 7,9 პროცენტით. სოც. შეჯიბრებისა და დამკვრელობის ფართოდ გაშლა იძლევა შრომის ნაყოფიერების მაღალ მაჩვენებლებს.

მაგრამ სოც. შეჯიბრებისა და დამკვრელობაში მიღწეულ უდიდეს წარმატებებთან ერთად ადგილი აქვს მთელ რიგ უდიდეს ნაკლოვანებებს, რაც აძნელებს მუშათა ენტუზიაზმს. მიუხედავად იმისა, რომ პროფკავშირებმა გადასდგეს პირველი ნაბიჯი სოც. შეჯიბრების ხელმძღვანელობის გაძლიერების საქმეში, ეს ჯერ კიდევ საკმარისი არაა. ჩვენ ვხედავთ, რომ პროფკავშირული ორგანიზაციები და სამეურნეო ორგანოები ჯერ ისევ ნელა აწარმოებენ თავიანთი მუშაობის გარდაქმნას და ამით საშუალებას არ იძლევიან, რომ სოც. შეჯიბრებამ და დამკვრელობამ ფრთები გაშალოს, როგორც ეს საჭიროა ნამდვილად. ავიღოთ ისეთი უმთავრესი დირექტივა, როგორიცაა ერთმმართველობის გატარება. პარტიის ც. კ.-ის ეს დირექტივა მეტისმეტად ნელა ტარდება, თუმც კი მის გატარებაზე ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული.

ერთმმართველობა და საამქროების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა საშუალებას აძლევს საამქროს გამოააშკარაოს თავისი საწარმოო უნარი, უკეთ მოაწესრიგოს ტექნიკური ძალების გამოყენება, უფრო გეგმიანად აწარმოოს მუშაობა და, რაც უმთავრესია, უფრო კონკრეტულად დასახოს საწარმოო ამოცანები, რომლებიც საჭიროა ამჟამად დაისვას შეჯიბრებული დამკვრელი ბრიგადების წინაშე, რომ მათ ბრმად არ იმუშაონ, არამედ ჰქონდეთ გარკვეული და ნათელი დავალებები, იცოდნენ თავიანთი საწარმოო პროგრამა, იცოდნენ თავიანთი სამრეწველო-საფინანსო გეგმა, ამიტომ სამეურნეო ორგანოებისა და პროფკავშირების ამოცანაა—უმოკლესი ვადის განმავლობაში განახორციელონ ერთმმართველობა, გადაიყვანონ საამქროები სამეურნეო ანგარიშზე და მიიყვანონ სამრეწველო-საფინანსო გეგმა მუშამდე. სოც. შეჯიბრების ხელშეკრულებები მეტ წილად დამაკმაყოფილებელი არ არის. ძალიან ხშირად სოც. შეჯიბრებას ხელშეკრულება კონკრეტულ შინაარსს არ შეიცავს და ხდება მისი შევსება ზოგადი ფრაზებით. ჩვენი ამოცანაა—მივაღწიოთ აქ კონკრეტიულობას. საჭიროა ხელშეკრულებაში კონკრეტული დავალებათა შეტანა, რომ ეს დავალებანი იცოდნენ შეჯიბრებულმა მხარეებმა. მხოლოდ მაშინ შესძლებენ ისინი ნამდვილად შეამოწმონ, თუ რამდენად წარმატებით სრულდება სოც. შეჯიბრების ხელშეკრულება.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ბოლო დროს, როგორც ემჩნევა, ადგილი აქვს საამქროსა და ქარხნის დამკვრელად გამოცხადებისადმი წმინდა ფორმალურ მიდგომას, არის ისეთი საამქრო და ქარხანა, რომლებმაც დამკვრელებად გამოაცხადეს თავიანთი თავი, მაგრამ როდესაც მუშებს ეკითხები—ითვლებიან თუ არა ისინი დამკვრელ ბრიგადებში, ირკვევა, რომ მათ არც კი იციან ქარხანა გამოცხადებულია დამკვრელად თუ არა. უნდა აღვნიშნო აგრეთვე, რომ ამჟამად ქარხნებში ადგილი აქვს ცრუდამკვრელობის შემთხვევებსაც. ცრუდამკვრელობას გადამჭრელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. მოიპოვებიან მუშათა ცალკე ჯგუფები, რომელთა შესახებაც ილიჩი ამბობდა, რომ „მათ სწადიათ წაგლიჯონ სახელმწიფოს მეტი, ხოლო მისცენ მას ნაკლები და უარესი“. ასეთი ჯგუფები კიდევ არიან მუშათა კლასის ჩამორჩენილ ფენებში, ამიტომ უნდა ვეწეოდეთ მათ შორის აღმზრდელობითი მუშაობას და გადაჭრით ვებრძოდეთ ერთსა და იმავე დროს წანწლეჯველობას, მეძროვეობისა და სხვა ამგვარ მოვლენათა ყოველგვარ გამოხატულებას.

სოც. შეჯიბრების დაჯილდოვების საქმეც ვერ არის კარგად. მაგალითად, ავტომშენებლობის დარგში უდიდესი მიღწევისათვის ბრიგადა დაჯილდოვებულ იქნა იმით, რომ გადაიღეს მისი ფოტოგრაფიული სურათი და თვითეულ ბრიგადელს მისცეს თითო სურათი, თუმცა ვერც ერთ სურათში მათ თავიანთი თავი ვერ იცნეს. მერე ბრიგადას მისცეს ტრუსიკები, როგორც ჯილდო, მაგრამ ზოგიერთ ბრიგადელს ის მოკლე აღმოაჩნდა. სორმოვოს ქარხანაში არსებობს საპრემიო ფონდი—32.000 მანეთი. ეს ფონდი სულ არ იხარჯება, უკეთესად არ არის საქმე დაყენებული ლენინგრადში, მოსკოვში და ურალზე. როგორც წესი, საპრემიო ფონდი არ იხარჯება. უნდა ვიცოდეთ კი, რომ ამ ფონდების წესიერი გამოყენება უფრო აღაფრთოვანებს მუშებს და უზრუნველჰყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდის მაღალ ტემპებს.

ჩვენ ახლა ვამჩნევთ, რომ სოც. შეჯიბრებას და მუშაობის დაკვრითი მეთოდებს მეტისმეტად სხვადასხვაგვარი სახე ეძლევა: დამკვრელი ბრიგადები, ინდივიდუალური და ჯგუფობრივი სოციალისტური შეჯიბრება, საწარმოო კოლექტივები, კომუნები, საზოგადოებრივი ბუქსირები, მთლიანი დამკვრელი ბრიგადები და სხვ. მაგალითისათვის ავიღოთ საწარმოო კოლექტივები. ეს ფორმა ძალიან გავრცელებულია ლითონისა და საფეიქრო მრეწველობის მრავალ საწარმოში და მრეწველობის ბევრ დანარჩენ დარგში. საწარმოო კოლექტივების უფრო პროგრესიულ ფორმად ითვლება სხვადასხვა თანრიგის მუშების გაერთიანება, სადაც ხელფასის [illegible] ხდება მუშაობის [illegible] შედეგებზე. გაერთიანების ამ ფორმის შედეგია: მუშების კვალიფიკაციის აწევა და მათი შრომის ნაყოფიერების გადიდება, უნდა შევებრძოლოთ გათანასწორებითი ტენდენციებს კოლექტივებში, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ხელფასის გაყოფა თანასწორად, კვალიფიკაციისა და შრომის ნაყოფიერების სხვადასხვაობის მხედველობაში მიუღებლად.

უკანასკნელ დროს მოგვევლინა და უფრო გავრცელდა ე. წ. „საზოგადოებრივი ბუქსირ“-ის ფორმა. უფრო მეტად გავრცელებულია საზოგადოებრივი ბუქსირი მრეწველობის ერთგვაროვან დარგებში. სოც. შეჯიბრების ამ უმაღლესი საფეხურის მნიშვნელობა განუზომელია. საზოგადოებრივი ბუქსირის საშუალებით კარგად მომუშავე საწარმო უზიარებს თავის გამოცდილებას და მიღწევებს მდარედ მომუშავე საამქროებსა და ქარხნებს.

სოც. შეჯიბრების კიდევ ერთ ფორმაზე მსურს შევაჩერო თქვენი ყურადღება. ეს არის განუწყვეტელი დამკვრელი ბრიგადა, ასეთი დამკვრელი ბრიგადა პირველად მოეწყო „ხელმამშტროი“-ში. იქ ეს ბრიგადა დაარსდა სულ რამდენიმე კვირის წინად, როცა ქარხნის წინაშე წამოიჭრა ამოცანა, რომ პირველ საბჭოთა ტრაქტორს უნდა მიბმოდა პირველი საბჭოთა სათესი მანქანა, განუწყვეტელი დამკვრელი ბრიგადის მუშაობამ უდიდესი ნაყოფი გამოიღო. მიღწეულ იქნა ცალკე საამქროების მუშაობის განუწყვეტლობა, მოგვარდა საამქროების მუშაობის საერთო-საქარხნო აგეგმვა და აქტიურ მუშაობაში ჩაება მუშათა უდიდესი მასა და ტექნიკური პერსონალი სასწრაფო დავალების შესასრულებლად—გამოუშვათ ვადაზე მისაბმელი სათესი მანქანა პირველ საბჭოთა ტრაქტორისათვის. მთლიან დამკვრელ ბრიგადათა მუშაობა პროფორგანიზაციების ყურადღების ღირსია. „სელმაშსტროი“-ს გამოცდილება უნდა გადაეცეს დანარჩენ საწარმოებსაც.

რამდენიმე სიტყვა შრომის დისციპლინის შესახებ. შრომის დისციპლინის მდგომარეობის შესახებ არსებული ცნობები გვეუბნებიან, რომ ამ დარგში ჯერ კიდევ დიდი მუშაობა მოგველის. ასე, მაგალითად, შრომის დისციპლინის დარღვევისა და გაცდენის მიზეზით 1929—30 წლის პირველ ნახევარში დაიკარგა 11.420.000 კაცი-დღე. ეს ციფრი გვეუბნება, რომ არც პროფკავშირული, არც სამეურნეო ორგანიზაციები სათანადოთ არ ებრძვიან ასეთ მოვლენებს აღმზრდელობითი მუშაობის გაშლების საშუალებით, კერძოდ საამხანაგო სასამართლოების მოწყობის საშუალებით საუკეთესო დამკვრელთაგან იმ მიზნით, რომ ამით მოვახდინოთ ერთგვარი ზეგავლენა შრომის დისციპლინის დამრღვევ პირებზე.

უნდა მოვაგვაროთ აგრეთვე მუშაობის დროს მუშების მიერ საზოგადოებრივი ფუნქციების შესრულების საკითხი.

ბოლოს და ბოლოს შრომის ნაყოფიერება სწყვეტს ბრძოლის ბედს სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის. ჩვენ გვჭირია შრომის ნაყოფიერების განვითარების ისეთი ტემპები, რომ ამან უმოკლეს ვადაში პრაქტიკულად დაამტკიცოს სოციალისტური სისტემის უპირატესობა. აქედან ცხადია, რომ გადამწყვეტ ფაქტორად შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და რაციონალიზაციის გატარებაში ითვლება სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა. სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ბუმბერაზული გაშლა-გაფართოება მოითხოვს ხელმძღვანელობისა და დახმარების გაძლიერებას პროფკავშირების, პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციების მხრით. პროფკავშირებმა მერმისაც უნდა გაშალონ და გააფართოონ სოც. შეჯიბრება და დამკვრელობა, გაავრცელონ და მოსდონ ის მთელ მუშათა კლასს, აიყვანონ სოც. შეჯიბრება უმაღლეს წერტილზე და გადააქციონ ის მუშათა მასების კლასობრივად აღზრდის სკოლად. საჭიროა აგრეთვე კარგად მოგვარდეს სოც. შეჯიბრების შედეგთა ეფექტიურობის აღრიცხვა, აღმოიფხვრას ყოველი დაბრკოლება, რაც კი ხელს უშლის დამკვრელებს, და ჩაბმულ იქნას ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალი ყოველი სახის სოციალისტურ შეჯიბრებაში. უნდა გამოეცხადოს გადამწყვეტი ბრძოლა სოც. შეჯიბრების მნიშვნელობის ნაკლებად შეფასებას, ცრუდამკვრელობას და შრომის სოციალისტური ორგანიზაციის ამ ფორმებისადმი ბიუროკრატიული მიდგომის ცდებს. პროფკავშირებმა უნდა წაახალისონ სოც. შეჯიბრების ახალი ფორმები მათი წინასწარ გულდასმით შესწავლის საშუალებით, გაუწიონ მათ ყოველმხრივი დახმარება იმით, რომ ფართოდ გაავრცელონ ეს გამოცდილება სხვადასხვა საწარმოებში.

სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლა-გაფართოება

საწარმოო თათბირი უნდა გადაიქცეს თავისი უბნის სისტემატიური რაციონალიზაციის ინიციატორად და ორგანიზატორად. სიმძიმის ცენტრი გადატანილ უნდა იქნას პირველი საფეხურის საწარმოო უბანში. თვალი რომ გადავავლოთ იმას, თუ რას აკეთებენ საწარმოო თათბირები, დავინახავთ, რომ 1929—30 წლის პირველ კვარტალში ნედლეულისა და მასალის მომჭირნეობით ხარჯვის საკითხები შეადგენენ მთლად განხილულ წინადადებათა 7 პროცენტს, მოწყობილების გამოყენების საკითხები—15 პროცენტს, რაციონალიზატორული ხასიათის გაუმჯობესების საკითხი—20 პროცენტს, საერთო-საორგანიზაციო და ტექნიკური საკითხები—13,5 პროცენტს. მთელი ეს მუშაობა უმთავრესად მიმართულია ერთი მიზნისაკენ მოხდეს წარმოების რაციონალიზაცია სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესასრულებლად, გადიდდეს შრომის ნაყოფიერება, შემცირდეს თვითღირებულება, მოისპოს წუნდადებული საქონლის გამოშვება და მოხდეს დეფექტების ლიკვიდაცია. საწარმოო თათბირების წინადადებათა განხორციელების შედეგად ჩვენ გვაქვს ეკონომია მარტო აღრიცხულ 8.496 წინადადების გამო—4.182.000 მანეთი. მაგრამ თუ ავიღებთ ყველა წინადადებას, რომელიც კი განხორციელებულ იქნა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საწარმოო თათბირების მუშაობის გაშლა-გაფართოების შედეგად ჩვენ მივიღეთ მრავალი ათი და ასი მილიონი მანეთის ეკონომია. ამიტომ აუცილებლად საჭიროა, რომ საწარმოო თათბირების მუშაობას მიეცეს მეტი გასაქანი, რომ ამ მუშაობაში ჩაბმულ იქნას გამოუკლებლივ მთელი მუშათა კლასი. ამ გზით მივაღწევთ სოციალისტური შეჯიბრების წარმატებით გაშლა-გაფართოებას.

გადავდივარ სახალხო მეურნეობის დაგეგმვაში პროფკავშირთა მონაწილეობის საკითხზე. სამწუხაროდ, ამ დარგში ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვეტყვით პარტიულ ყრილობას, რომ გვყავან კავშირების ისეთი ცენტრალური კომიტეტები, რომლებიც საამქროების, ქარხნის და მრეწველობის დარგის დაგეგმვის საქმეში ანზოგადოებდნენ მუშათა ფართო მასების და კავშირის ორგანოების მუშაობას, რომელთაც, საწარმოო შესაძლებლობის ყოველი დაფარული რესურსის გამოაშკარავების შემდეგ, შეეძლოთ წავიდნენ საგეგმო ორგანოებში და შეიტანონ საწარმოო გეგმაში კონკრეტული რეალური ცვლილებანი იმ მხრივ, რომ მოხდეს მისი გადიდება.

ამხ. სტალინმა და კუიბიშევმა აქ უკვე აღნიშნეს, რომ მრეწველობის ცალკე დარგების ხუთწლიანი გეგმის გადიდება და გამოცვლა გადასწყვიტა უმთავრესად პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ. თუმცა პროფკავშირები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ამ საკითხების გადაჭრაში, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ეს მონაწილეობა ჯერ კიდევ არ არის საკმაო. ამიტომ ჩვენი ამოცანა უნდა იყოს საწარმოო თათბირების უდიდესი მუშაობისა და გამოცდილების განზოგადოება, რათა პროფკავშირულ ორგანიზაციათა მგეგმავი მუშაობის ყოველმხრივ განვითარებით შესაძლებელი გახდეს საშუალება მივსცეთ სამეურნეო და მგეგმავ ორგანოებს მხედველობაში მიიღონ და გამოიყენონ ეს გამოცდილება, რათა უფრო სწრაფი ნაბიჯით წავიდეთ ინდუსტრიალიზაციის დასახული ტემპების შესრულების საქმეში.

რამდენიმე სიტყვა გამომგონებლობის შესახებ. უნდა აღვნიშნოთ, რომ მუშათა კლასის წრეში მართლაც არის ნიჭიერ პიროვნებათა დაუშრეტელი წყარო. ეს ნიჭიერი პიროვნებანი განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენენ თავს გამომგონებლობაში. ჩვენ სათანადოდ ვერ ვაფასებთ მუშათა გამომგონებლობის მთელ როლსა და მნიშვნელობას. მუშათა გამოგონებები ძალიან ნელა ხორციელდება, ზოგჯერ სამეურნეო ორგანოები და პროფკავშირული ორგანიზაციები გულგრილად ეკიდებიან ამ გამოგონებებს. უნდა შევცვალოთ პროფესიონალური და სამეურნეო ორგანოების დამოკიდებულება მუშათა გამომგონებლობის საკითხისადმი და უზრუნველვყოთ გამომგონებელთათვის ტექნიკური და ორგანიზაციული დახმარების გაწევა.

რამდენიმე სიტყვა დირექტორების თანაშემწეთა შესახებ. დირექტორების თანაშემწეებად საწარმოო თათბირების თავმჯდომარეთა დანიშვნის ცდამ დიდი დადებითი შედეგები გამოიღო. დირექტორების თანაშემწეთა დანიშვნამ ხელი შეუწყო მუშების წინადადებათა შესრულების პროცენტის გადიდებას და მუშათა გამომგონებლობისადმი მეტი ყურადღების მიქცევას, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის განვითარების პირობების უზრუნველყოფას. უნდა გავაფართოვოთ ეს გამოცდილება, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, და უზრუნველვყოთ დირექტორების თანაშემწეებისათვის პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების მხრივ ყოველდღიური პრაქტიკული დახმარების გაწევა.

რა დასკვნები შეგვიძლია გამოვიყვანოთ საწარმოო თათბირების საკითხიდან?

რეკონსტრუქტიულ პერიოდში არაჩვეულებრივად იზრდება როლი საწარმოო თათბირების, როგორც ძირითადი მეთოდისა მასების ჩასაბმათ წარმოების მმართველობაში და შემაკავშირებელი ცენტრისა, სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის გასაშლელად. საწარმოო თათბირები, უწესრიგობის აღმოფხვრით, წარმოების პროცესების რაციონალიზაციით,—უნდა გადაიქცნენ საწარმოო-საფინანსო გეგმების შესასრულებლად, სოციალისტური მშენებლობის გაშლის ბოლშევიკური ტემპებისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანეს იარაღად. ამ ამოცანების განსახორციელებლად საჭიროა საწარმოო თათბირების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების ძირეული გარდაქმნა, მათი სტრუქტურის შეცვლა და მათი მუშაობის სიმძიმის ცენტრის გადატანა პირველად საწარმოო პუნქტებში—დაზგასთან, აგრეგატთან, ჯგუფში. საწარმოო თათბირების მთავარ ხერხემლად უნდა გახდნენ დამკვრელი ბრიგადები, რომლებიც წარმოადგენენ მუშების წარმოების მმართველობაში ჩაბმის პირველად უჯრედებს. მათზე დაყრდნობით, საწარმოო თათბირები, უნდა გადაიქცნენ მებრძოლ აქტიურ ორგანოდ, რომელიც გავლენას მოახდენს მთელი საწარმოს მუშაობაზე მთლიანად და თითულ საწარმოო უბანზე კერძოდ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ინჟინერების ჩაბმას საწარმოო თათბირების მუშაობაში. პროფკავშირებმა გადამჭრელი ბრძოლა უნდა აწარმოონ სამეურნეო ორგანოების ბიუროკრატიულ, უყურადღებო დამოკიდებულებასთან მუშათა წინადადებების განხორციელებისადმი. პროფკავშირებმა უნდა შექმნან პირობები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ერთმმართველობის სწრაფად გატარებას და ცეხების გადასვლას სამეურნეო ანგარიშზე, რაც წარმოადგენს ღონისძიებას, რომელიც აუმჯობესებს და აწესრიგებს წარმოების მმართველობას და ამით ხელს უწყობს ცეხებისა და ჯგუფურ საწარმოო თათბირების მუშაობის გაშლას. ამავე დროს ადგილი არ უნდა ექნეს პროფორგანოების ჩარევას საწარმოს ადმინისტრაციის ოპერატიულ საქმიანობაში. ამასთანავე საჭიროა ბრძოლა ერთმმართველობის ბიუროკრატიულ გამოყენებასთან და მის დამახინჯებასთან სამეურნეო მუშაკების მხრივ, რომლებიც ანგარიშს არ უწევენ მუშათა მასების საწარმოო ინიციატივას და შემოქმედებას. საჭიროა გადაჭრით მოეღოს ბოლო პროფკავშირების ნაწილის ფორმალურ ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას სამეურნეო გეგმების შედგენისადმი. სამეურნეო გეგმების შედგენის დროს პროფკავშირები გამოვიდნენ კონკრეტული წინადადებებით მუშათა მასების და ქვედა საფეხურის პროფორგანიზაციების ყველა შენიშვნებისა და მითითებების საფუძველზე, როგორც მრეწველობის ცალკე დარგების მიხედვით, ისე მთლიანად მთელი სახალხო მეურნეობის გეგმის შედგენისა და განხილვის დროს.

პროფკავშირების როლი მუშათა და ტექნიკური კადრების მომზადებაში

უდიდესი როლი ეკისრება პროფკავშირებს სოციალისტური რეკონსტრუქციის უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაჭრის დროს—კვალიფიციური მუშების და ტექნიკური კადრების მომზადების საქმეში. მრეწველობის განვითარების ის ტემპები, რომლებიც ხუთწლიანი გეგმით არის გათვალისწინებული, მოითხოვენ პროფკავშირების განსაკუთრებულ ყურადღებას კვალიფიციურ მუშების მომზადების საკითხისადმი. კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადების საკითხი ისმება მთელი თავისი სიგრძე-სიგანით. საკმაოა ითქვას, რომ 1930-31 წლის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულია 300.000, უმთავრესად კვალიფიციური მუშის ჩაბმა მრეწველობაში. აქამდე მუშა-ხელის მომზადების ტემპები არასაკმაო იყო. ავიღოთ, მაგალითად, საქარხნო-საფაბრიკო შეგირდობის სკოლები. ამ სკოლებში მიღებულთა რიცხვი წლიურად, საშუალოდ, 1922 წლიდან დაწყებული შეადგენდა 20.000—მრეწველობის საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში და 5.000 ტრანსპორტის საქ.-საფაბრ. შეგირდობის სკოლებში. საერთოდ, 8 წლის განმავლობაში ამ სკოლებმა მოგვცა 200.000 კაცი. მიმდინარე წლის მარტში დამატებითი მიღებამ საქარხნო-საფაბრიკო შეგირდობის სკოლებში მოგვცა 65.000 კაცი. შემოდგომაზე მრეწველობის საქ.-საფაბრ. შეგირდობის სკოლებში მიღებული იქნება 135.000 კაცი, სატრანსპორტო საქ.-საფ. სკოლებში კი—60.000 კაცი. აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, თუ რა უდიდესი მუშაობა მოგველის კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადების დარგში. აქ მე უნდა აღვნიშნო, თუ რამდენად შემცდარი იყო საკავშირო პროფსაბჭოს ძველი ხელმძღვანელობა, რომელიც ბრძოლას აწარმოებდა კომკავშირთან იმის გამო, რომ უკანასკნელი მთელი სიგრძე-სიგანით აყენებდა კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადების პრობლემას. ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ კომკავშირმა ამ საქმეში ითამაშა უდიდესი როლი. პროფკავშირებმა, სამეურნეო ორგანიზაციებმა და კომკავშირმა ახლა ყველა ზომები უნდა მიიღონ იმისათვის, რომ უზრუნველჰყონ საქარხნო-საფაბრიკო შეგირდობის სკოლების შევსება.

მოზარდებიდან კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადების მთავარ არხს წარმოადგენს საქარხნო-საფაბრიკო შეგირდობის სკოლა. ამასთან ერთად ჩვენ უნდა ვისარგებლოთ მასიური პროფესიის სკოლებით და მოკლევადიანი გადასამზადებელი კურსებით, საბრიგადო მოწაფეობით და შრომის ცენტრალური ინსტიტუტით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენ მუშების გადაყვანას დაბალი პროფესიიდან მაღალ პროფესიაზე საწარმოს შიგნით. ახლა ამ პრობლემას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს მუშების დიდი ცვალებადობა საწარმოებში. ეს გარემოება ნაწილობრივ გამოწვეულია იმით, რომ არც სამეურნეო ორგანოები და არც პროფესიონალური ორგანიზაციები საკმაო ზომებს არ იღებენ იმისათვის, რომ აამაღლონ მუშების კვალიფიკაცია. ჩვენ გვყავს მთელი რიგი მუშები, რომლებიც წლობით ასრულებენ ერთსა და იმავე სამუშაოს და უკვე გასცილდნენ თავისი კვალიფიკაციის ფარგლებს. ამიტომ ამ მეთოდის გამოყენებით მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ჩვენ გადამჭრელი იერიში მიგვაქვს მუშათა იმ ცვალებადობაზე, რომელსაც ადგილი აქვს საწარმოში. ჩვენ სათავეში უნდა ჩაუდგეთ იმ ინიციატივას, რომელიც არის ფართო მასებში თავისი ტექნიკური ცოდნის ამაღლების დარგში. აიღეთ ლენინგრადის, მოსკოვის და ურალის მაგალითი. იქ მრავალ ქარხნებში მუშების 50 პროც.-ზე მეტი სწავლობს სხვადასხვა კურსებზე, ამაღლებს თავის ტექნიკურსა და საერთო პოლიტიკურ ცოდნას. მე ვთვლი, რომ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ტექნიკური ცოდნის ამაღლების შესაძლებლობის უზრუნველყოფა ამ მუშებისათვის.

ტექნიკური კადრების პრობლემა, დასმული ცეკას მიერ და მისი კლასიური საფუძველი (ბრძოლა მავნებლობასთან, მუშათა ტექნიკური კადრების აღზრდა) საკმაოდ ცნობილია ყველასათვის. ამიტომ მე მასზე არ შევჩერდები. მე მინდა მხოლოდ ვსთქვა პროფკავშირების როლზე ამ დარგში. ჩვენ, რასაკვირველია, ყველა ზომები უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ ამხანაგური პირობები შევქმნათ სპეციალისტებისათვის, რომლებიც პატიოსნად და თავდადებულად მუშაობენ საწარმოებში. მაგრამ ეს საკმაო არ არის. ჩვენ უნდა შევასრულოთ ტექნიკური კადრების და პირველ რიგში მუშების მომზადების გათვალისწინებული ტემპები. მე უნდა ვსთქვა, რომ პროფკავშირები პირველად, არა სიტყვით, არამედ საქმით შეუდგნენ ამ ამოცანის განხორციელებას. ამჟამად 80.000 მუშა მზადდება პროფკავშირების ხარჯზე უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. ამით ჩვენ გავადიდებთ მუშა-მოსწავლეთა რიცხვს უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში და გამოვზრდით კადრებს, რომლებიც იქნებიან მუშათა კლასთან შეზრდილ-შესისხლხორცებულნი. კადრების შესახებ პარტიის გადაწყვეტილების სწრაფად შესრულებით ჩვენ მოვსპობთ მავნებლური მუშაობის ყოველგვარ შესაძლებლობას ჩვენს საწარმოებში. პროფორგანიზაციები მიმდინარე წელს მუშების მოსამზადებლად უმაღლეს სასწავლებლებში და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში შესასვლელად ხარჯავენ 26.500.000 მანეთს. აქ ჩვენ გადამწყვეტი მობრუნება მოვახდინეთ საკავშირო თანხების გამოყენების დარგში. პროფკავშირების თანხები ნამდვილად იხარჯება იმ უდიდესი ამოცანების განხორციელებისათვის ხელის შესაწყობათ, რომლებიც პარტიამ წამოაყენა სპეციალისტების მომზადების დარგში.

(გაგრძელება იხილე მეორე გვერდზე).

პროფკავშირები და სასოფლო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია

ლოზუნგი—პირით წარმოებისაკენ რეკონსტრუქციის პერიოდში არ ნიშნავს პირით მობრუნებას მარტო მრეწველობისაკენ, არამედ აგრეთვე სასოფლო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისაკენაც. საკავშირო პროფსაბჭოს ძველ ოპორტუნისტულ ხელმძღვანელობის მიერ სოფლად პროფკავშირების მუშაობის მნიშვნელობის სათანადოთ შეუფასებლობა გამომდინარეობდა იქედან, რომ მას შემცდარი პოზიცია ეკავა იმ როლის მიმართ, რომელიც მუშათა კლასს უნდა ეთამაშა სასოფლო მეურნეობის გარდაქმნაში სოციალისტურ საფუძველზე. ჩვენ ვხედავთ, რომ პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი სასოფლო მეურნეობის გარდაქმნის საქმეში უფრო და უფრო ძლიერდება. რაში მდგომარეობს პროფკავშირების მუშაობა ამ დარგში? პროფკავშირებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საკოლმეურნეო მშენებლობაში, კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის ლოზუნგის განხორციელებაში, პარტიის იმ დადგენილების განხორციელებაში, რომელიც შეეხებოდა 25.000 მუშის გამოყოფას საკოლმეურნეო დარგში მუშაობისათვის. როგორ იყენებენ ამ 25 ათასელებს? მათი 71 პროც. ორგანიზატორებად მუშაობს კოლმეურნეობებში და თავიანთ სამუშაოს დამაკმაყოფილებლად ასრულებენ. ამიტომ პროფკავშირების ამოცანაა—კიდევ ათეული ათასი მუშები მოამზადონ იმისათვის, რომ შესაძლებელი შეიქნეს ორგანიზატორთა ახალი არმიის გაგზავნა კოლმეურნეობებში, იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს შესაფერ დონეზე დავაყენოთ კოლმეურნეობათა ორგანიზაციის საქმე. პროფკავშირებმა უდიდესი მუშაობა შეასრულეს მუშათა ბრიგადების გაგზავნით სოფლად პურის დამზადებაში, თესვის კამპანიაში და საბჭოების გადარჩევაში მონაწილეობის მისაღებათ. ჩვენ გვაქვს აუარებელი ცნობები კოლმეურნეობებისაგან, პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისაგან, რომელთაც ბრიგადები ეხმარებოდნენ მუშაობაში. სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შეკეთებასთან ერთად ბრიგადა ამავე დროს წარმოადგენს იქ სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის პროპაგანდის კერას, ამ საქმის ორგანიზატორს. ამრიგად პროფკავშირებმა უდიდესი მონაწილეობა მიიღეს სასოფლო მეურნეობის გარდაქმნაში. ფართო გავრცელება ჰპოვა აგრეთვე პროფკავშირების საშეფო მუშაობამ. მთელი რიგი კავშირები ახორციელებენ შეფობას სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის სხვადასხვა რაიონებზე. მუშა-ფეიქრები ახორციელებენ შეფობას შუა-აზიის მებამბეობის რაიონებზე. ამხანაგები, რომლებიც იქ პარტიულ ორგანიზაციებში მუშაობენ, აცხადებენ, რომ შეფობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. შეფობის წყალობით შესაძლებელი ხდება საწარმოო კავშირის ორგანიზაციულად განმტკიცება ნედლეულის მწარმოებელ რაიონებსა და საწარმოს შორის.

კავშირებმა უნდა უზრუნველჰყონ აგრეთვე იმ მუშების ჩაბმა კოლმეურნეობებში, რომლებიც დაკავშირებული არიან სასოფლო მეურნეობასთან. მსხვილ სასოფლო-სამეურნეო წარმოებათა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის ორგანიზაციის მეთოდები, გარშემო მცხოვრებ გლეხობისათვის წარმოადგენენ მაჩვენებლებს იმ უპირატესობებისას, რომლებიც მსხვილ მეურნეობას აქვს წვრილი მეურნეობის წინაშე. აქ უდიდესი როლი ეკისრება სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირს. სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირმა ხელმძღვანელ სამუშაოზე კოლმეურნეობებში გაგზავნა 1.180 კაცი საბჭ. მეურნეობების მუშებიდან. გარდა ამისა, კავშირმა გამოჰყო 686 რაიონული ბრიგადა კოლმეურნეობებისათვის დახმარების აღმოსაჩენად და ათასი მუშა მოამზადა საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე მოჯამაგირეებიდან კოლმეურნეობებში სამუშაოდ გასაგზავნად. ეს ციფრი გვიჩვენებს დიდ მუშაობას, რომელიც სასოფ.-სამეურნეო მუშათა კავშირმა ჩაატარა.

რამდენიმე სიტყვა სოფელთან დაკავშირებულ სხვა კავშირების (განათლების, საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების და მედსანშრომის მუშაკები) მუშაობის შესახებ. ამ კავშირების ამოცანები მდგომარეობენ იმაში, რომ მოახდინონ ყველა თავის წევრთა მთელი მასის მობილიზაცია აქტიური დახმარების აღმოსაჩენად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისათვის და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების კულტურ.-პოლიტიკურ ცოდნის ამაღლებისათვის.

პროფკავშირებმა შემდეგი დასკვნა უნდა გამოიტანონ თავისთვის სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციის დარგში შემდგომი მუშაობის შესახებ. ისინი უნდა დაეყრდნონ პროფკავშირების მასიურ მუშაობას სოფლად და არსებულ მიღწევებს საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების მშენებლობისათვის ხელისშეწყობის დარგში და გააფართოვონ ეს გამოცდილება. ყველა პროფკავშირების მუშაობა მობრუნებული უნდა იქნას პირით სასოფლო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ამოცანებისაკენ. საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობის მშენებლობის დარგში პროფკავშირების მუშაობის განმტკიცება უნდა გამოიხატოს პროფკავშირების მონაწილეობაში მთელს მუშაობაში საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების გეგმიანი მშენებლობის დარგში, მათში შრომისა და წარმოების ორგანიზაციაში, საწარმოებში მუშაობის მეთოდებისა და გამოცდილების გადატანაში იქ, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის აქტიური დახმარების აღმოჩენაში კოლექტივიზაციის გატარების საქმეში, გადამჭრელ ბრძოლაში პროფკავშირების როლისა და მნიშვნელობის სათანადოთ შეუფასებლობასთან სასოფლო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში. პრაქტიკული მუშაობის შემდგომი გაშლა უნდა მოხდეს საუკეთესო მუშებისა და მუშა-ქალებიდან კადრების მომზადების ხაზით, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოველმხრივ განსამტკიცებლად. მოწინავე სამრეწველო კავშირებმა უნდა გააძლიერონ სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირის დახმარება, განსაკუთრებით მოჯამაგირეთა დარაზმვის, მათი კოლმეურნეობებში ჩაბმის და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის, საბჭოთა და კოლმეურნეობებისათვის და სატყეო მეურნეობებისათვის ტრაქტორისტების, მექანიკოსების, კომბაინერების და სხ. კვალიფიც. მუშათა კადრების მომზადების საქმეში. საჭიროა აგრეთვე შესწავლილ იქნას სოფლად მუშათა ბრიგადების მუშაობის პრაქტიკა და მათი შემდგომი, უფრო გეგმაშეწონილი გამოყენება. მუშათა ბრიგადების საქმიანობა უნდა მივმართოთ საწარმოების საწარმოო და საორგანიზაციო მუშაობის გადატანისაკენ საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში.

საჭიროა გაძლიერდეს ხელმძღვანელობა საწარმოების შეფობაზე კოლმეურნეობებზე, საბჭოთა მეურნეობებზე და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის რაიონებზე. პროფკავშირებმა ყოველმხრივი დახმარება უნდა აღმოუჩინონ კულტურულ-პოლიტიკური მუშაობის გაშლას საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში.,

კავშირებმა პრაქტიკულად უნდა განახორციელონ ილიჩის მიერ დასმული ამოცანა: „პროფკავშირები, რომლებიც საერთოდ წარმოადგენენ კომუნიზმის სკოლას, კერძოდ უნდა შეიქნენ სოციალისტური მრეწველობის (და, შემდეგ, თანდათანობით, მიწადმოქმედებისაც) მმართველობის სკოლად ყველა მუშებისა და ყველა მშრომელებისათვის“.

მუშათა მატერიალური მდგომარეობისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება

სავსებით ნათელია, რომ სოციალისტური მშენებლობის დარგში გიგანტურ მიღწევებთან ერთად წლიდან წლამდე ხდებოდა მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება, იზრდებოდა მისი მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე. თუ ავიღებთ დაქირავებული შრომის ციფრებს, 1927-28 წ. ჩვენ გვყავდა 11.456.000 კაცი, 1929-30 წელს კი—13.128.000. ამავე დროს იზრდება პროფკავშირების წევრთა რიცხვი: 1928 წ. ჩვენ პროფკავშირებში გვყავდა 10.994.000 წევრი, 1930 წ. 12.000.000-დე. სისტემატიურად კლებულობს აგრეთვე უმუშევრობა. უმუშევართა რიცხვი ერთი წლის განმავლობაში შემცირდა 750.000 კაცით, ე. ი. 12,3 პროცენტით. დარჩენილ უმუშევრებიდან 100.000 კაცი გადამზადების შემდეგ დაუყოვნებლივ გაიგზავნება სამუშაოზე. უმუშევართა შორის არის 200.000 მოზარდი, რაც ვერ დააკმაყოფილებს საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში შემოდგომაზე მიღების მოთხოვნილებებსაც. ჩვენ დავდექით უმუშევრობის უსწრაფესი ლიკვიდაციის გზაზე და დიდი მოთხოვნილება გვაქვს კვალიფიციურ და თვით არაკვალიფიციურ მუშახელზე. მტკიცება არ ესაჭიროება იმას, რომ უმუშევრობის შემცირება და შემდეგ მისი ლიკვიდაცია საგრძნობად გააუმჯობესებს მუშათა კლასის მდგომარეობას. იზრდება მუშათა ხელფასიც. ინდუსტრიალურ მუშების საშუალო ხელფასი 4 ნახევ. წლის განმავლობაში 75 პროცენტით გაიზარდა. ამ ხნის განმავლობაში საშუალო ხელფასი გაიზარდა 43-დან 76 მანეთამდე. შემდგომი პოლიტიკა მუშათა ხელფასის გადიდების დარგში მიზნად უნდა ისახავდეს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ დარგების მუშათა ხელფასის გამოსწორებას და ხელფასის მოწესრიგების ელემენტების გაძლიერებას ცალკე დარგებსა და რაიონებს შორის, იმ განსხვავების ლიკვიდაციას, რომელიც არსებობს ერთიანი პროფესიის ხელფასებს შორის, დეფიციტურ პროფესიების შრომის ხელფასის მოწესრიგებას და შრომის ხელფასის მაქსიმალურად დაკავშირებას შრომის ნაყოფიერებასთან.

უნდა აღინიშნოს მუშაკების რიცხვის ზრდა მუშათა ოჯახში, რაც შემჩნეულ იქნა 1929-30 წლის პირველ ნახევარში და რაც მუშის ოჯახის შემოსავალს 15-16 პროცენტით ადიდებს 1928-29 წ. შესაფერ პერიოდთან შედარებით.

უკანასკნელი წლის განმავლობაში ხდება მუშების მასიური გადაჯგუფება დაბალი კვალიფიკაციიდან მაღალზე, რაც აგრეთვე ადიდებს მუშის ოჯახის შემოსავლის დონეს.

რეალური ხელფასი 1929-30 წლის პირველ ნახევარში შეადგენდა ომის წინადროინდელი ნორმის 139 პროცენტს, სოცდახმარებასთან და სხვ. ერთად კი—167 პროც. მაგრამ რეალური ხელფასის ზრდის მიუხედავად ჩვენ მაინც ვერ შევასრულეთ მისი გადიდების დასახული ტემპი.

რა გზებით უნდა უზრუნველვყოთ ჩვენ მუშათა მატერიალური კეთილდღეობა და რეალური ხელფასის ზრდა? ძირეულად უნდა შეიცვალოს კოოპერაციის მუშაობა. კოოპერაცია პირისპირ უნდა მიუდგეს საკვები პროდუქტების წარმოების საქმეს, გაშალოს ბოსტნეულის, სარძეო, მეღორეობის და სხ. მეურნეობათა ქსელი და ჩაატაროს საცალო ფასების დაკლება. სამწუხაროდ, ამ დარგში ერთგვარი გარდატეხის მიუხედავად პროფკავშირები მაინც ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ კოოპერაციის მუშაობას.

ამხ. სტალინმა სწორად აღნიშნა, რომ კოოპერაცია უფრო ბალანსზე ზრუნავს, კოოპერაციას აქვს ნეპმანური მიდრეკილება, რომელიც ხელს უშლის მას შესაფერად აწარმოოს მუშაობა რეალური ხელფასის გასადიდებლად. ამიტომ, პროფკავშირების ამოცანას შეადგენს კოოპერატიულ ორგანიზაციებთან ერთად ყველა ზომები მიიღოს ამ ნეპმანური მიდრეკილება ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრას კოოპერაციაში (აპლოდისმენტები). საჭიროა აქტიურად მოვკიდოთ ხელი ამ მუშაობას, გავაუმჯობესოთ მუშათა შეფობა მაღაზიებზე, შევქმნათ მასიური კონტროლი, მოვაწყოთ მუშათა დაწინაურება და გადამწყვეტი ბრძოლა დავიწყოთ ფასების დაკლებისათვის.

მე ვფიქრობ, რომ პროფკავშირების მუშაობის ახალი ეტაპი მით განსხვავდება წარსულისაგან, რომ პროფკავშირები ამ დარგში უდიდეს მუშაობას განაგითარებენ, დაეხმარებიან კოოპერაციას და გადამწყვეტ შედეგებს მიაღწევენ.

მუშათა მომარაგების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახეს წარმოადგენს საზოგადოებრივი კვება. საზოგადოებრივი კვების საქმეში 1928-29 წ. დაბანდებული იყო 17.611.000 მან., 1929-30 წ.—53,3 მილიონი მანეთი, 1930-31 წ. მასში განზრახულია 200 მილიონი მანეთის დაბანდება. სასადილოების და ფაბრიკა-სამზარეულოების მშენებლობამ ახლა ფართო გავრცელება უნდა ჰპოვოს. პროფკავშირების ამოცანაა—მიაღწიონ სადილების ხარისხის გაუმჯობესებას, გააიაფონ მათი ღირებულება, გააფართოვონ მუშათა დაკმაყოფილება სადილებით უმნიშვნელოვანეს რაიონებში: დონბასში, ურალზე და სხვ. და ჩააბან მუშები, განსაკუთრებით მათი ოჯახის წევრები, საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის საქმეში.

შრომის დაცვაზე 1928-29 წ. გადადებული იყო 54 მილ. მანეთზე მეტი. 1929-30 წელს კი—179 მილიონ მანეთზე მეტი. ასიგნობების ზრდის მიუხედავად, ეს თანხები მთლიანად არ იხარჯება, რის შედეგად ჩვენ გვაქვს ტრავმატიულ შემთხვევების ზრდა ცალკე საწარმოებში.

როცა დაინტერესდები იმით, თუ რაშია აქ საქმე, რით აიხსნება, რომ უშიშროების ტეხნიკის გასაუმჯობესებლად საჭირო თანხების არსებობის პირობებში ეს ფულები არ იხარჯება, ჩვეულებრივად სამეურნეო და პროფმუშაკები ერთხმად ამტკიცებენ, რომ გათვალისწინებულია ფართო ღონისძიებები, რომლებიც გატარებული იქნება, მაგრამ ვინაიდან ეს განზრახვა ჩვეულებრივ კრედიტების დახურვის პერიოდზე მოდის, თანხები, საბოლოო ანგარიშით, გამოუყენებელი რჩება.

მე ვთვლი, რომ ამგვარ „ფილოსოფიას“ უნდა გამოეცხადოს გადამწყვეტი ბრძოლა. ყველა ძალები უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ პროფკავშირებმა მეტი ყურადღება მიაქციონ შრომის პირობების გაუმჯობესებას და შრომის დაცვისა და უშიშროებისათვის გადადებული თანხების დროზე გამოყენებას.

სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი 988 მილიონიდან, 1927 წელს, გაიზარდა 1.400 მილიონამდე, 1929-30 წელს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დროებით შრომის უნარის დაკარგვაზე დაიხარჯა 631 მილიონი მანეთი, საექიმო დახმარებაზე—576 მილიონი მანეთი. სანატორიუმებში, კურორტებზე და დასასვენებელ სახლებში გატარებულ იქნა: 1928-29 წ.—546.000 კაცი, 1929-30 წ.—671.000 კაცი, მათგან თითქმის 80 პროც. მუშები.

სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის ზრდა მოითხოვს პროფკავშირების აქტიურ მონაწილეობას სოცდაზღვევის ორგანოებში, სოცდაზღვევის ორგანოების ამ მუშაობაში მუშების ჩაბმას და კონტროლის დაწესებას სოცდაზღვევის უდიდესი თანხების წესიერად და რაციონალურად ხარჯვაზე, კლასობრივი პრინციპის დაცვაზე მათ გამოყენებაში.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საბინაო მშენებლობაზე დაიხარჯა 880 მილიონი მანეთი. საბინაო ფართობი მრეწველობის სახლებში 8.599.000 კ. მეტრიდან 1929 წელს გაიზარდა 10.924.000 მეტრამდე 1930 წ. საშუალო საბინაო ფართობი თვითეულ მუშაზე და მოსამსახურეზე ამ დროის განმავლობაში 4,9 კვ. მეტრიდან 5,2 კვ. მეტრამდე გაიზარდა.

მაგრამ ეს კიდევ არ არის საკმაო და პროფკავშირებმა უფრო მეტად, ვიდრე აქამდე უნდა მიიღონ მონაწილეობა საბინაო მშენებლობის საკითხების გადაწყვეტაში. მათ უნდა მიიღონ ზომები ასიგნობების გასადიდებლად საბინაო მშენებლობისათვის, გადადებულ თანხების ხარჯვის მოსაწესრიგებლად, მათი გამოყენების მაქსიმალური ნაყოფიერებისათვის და მშენებლობის გასაიაფებლად.

საბინაო მშენებლობასთან ერთად საჭიროა, რომ ახალი მშენებლობის ყველა გეგმებში უსათუოდ იქნას გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო ხასიათის დაწესებულებები: სასადილოები, კლუბები, ბაგები, სამრეცხაოები და აბანოები. პარტიულმა, პროფესიონალურმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას, ახალი ქალაქების მშენებლობას და საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მოწყობას, რაც ამსუბუქებს და აუმჯობესებს მუშისა და მუშა-ქალის ცხოვრების პირობებს.

7 საათიანი სამუშაო დღე და განუწყვეტელი საწარმოო კვირა წარმოადგენენ მუშათა კლასის უდიდეს პოლიტიკურ მონაპოვარს. 1930 წ. მაისის დამდეგისათვის მთელს მრეწველობაში განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანილი იყო მუშების 55,4 პროც., შვიდ საათიან სამუშაო დღეზე კი—47 პროც. ყველა სამრეწველო და სატრანსპორტო მუშების გადაყვანა 7 საათიან სამუშაო დღეზე დამთავრებული უნდა იქნას 1932 წელს, განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანა კი 1930-31 წელს. სამეურნეო და პროფესიონალურმა ორგანოებმა გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღონ იმ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რომლებიც დაკავშირებულია 7 საათიან სამუშაო დღეზე გადასვლასთან. ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ მუშათა მასების კულტურული და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმე და უზრუნველვყოთ დასვენების წესიერი ორგანიზაცია გამოსასვლელ დღეებში.

ბრძოლამ ბიუროკრატიზმთან სამეურნეო და საბჭოთა აპარატში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა დაიკავოს პროფკავშირების მუშაობაში. პროფკავშირები უნდა გადაიქცნენ ძლიერ წყაროდ ახალ ათასეულ პროლეტარების დასაწინაურებლად სახელმწიფო და კოოპერატიულ აპარატში სახელმწიფო მმართველობაში უშუალო მონაწილეობის მისაღებათ.

პროფკავშირებმა უკანასკნელ წლებში დააწინაურეს 25.000 მუშა და მუშა-ქალი. უნდა უზრუნველყოფილი იქნას ათეულ ათას თავდადებულ პროლეტარების—სოციალისტური მეურნეობის ორგანიზატორების—შემდგომი სისტემატიური დაწინაურება და მომზადება, სახელმწიფო აპარატზე ქარხნების შეფობის ორგანიზაცია, აქტიური მონაწილეობა საბჭოთა აპარატის წმენდაში და ამ საქმეში მუშათა ფართო მასების ჩაბმა. ზრუნვა მუშათა ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე მოქცეული უნდა იქნას პროფკავშირების მუშაობის ცენტრში. უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია პროფკავშირების მუშაობის შესუსტება ამ დარგში. დამახასიათებელია „იზვესტია“-ს ქარხკომის ანგარიში. აი რას სწერს იგი: „პროფმუშაობის საფუძველს დღევანდელ საპასუხისმგებლო პირობებში წარმოადგენს ლოზუნგი—პირით წარმოებისაკენ. აქედან გამომდინარეობს ის, რომ საკავშირო მუშაობის დაცვითი ფუნქციები უკანა რიგში ექცევა“.

საკითხის ასე დაყენება ძირფესვიანად შემცდარია. დაუშვებელია პროფკავშირების საწარმოო ამოცანების განცალკევება პროფკავშირების ამოცანიდან—იზრუნონ მუშათა ყოველდღიურ საჭიროებებზე. საჭიროა ბრძოლა ცალკე სამეურნეო მუშაკების მიერ პარტიის დირექტივების ბიუროკრატიულ გადამახინჯებასთან, ტრედიუნიონისტურ გადახრებთან და პროფმუშაკების ამქრულ ტენდენციებთან.

რა ამოცანები ისმება პროფკავშირების წინაშე მუშათა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების დარგში? საჭიროა ყოველმხრივ გავაძლიეროთ პროფკავშირების მუშაობა მუშათა მასების სოციალისტური აღზრდის მხრივ, ფართოდ გავავრცელოთ იდეა, რომ საბჭოთა ფაბრიკები, ქარხნები, მაღაროები და რკინის გზები—სოციალისტური ტიპის საწარმოებია და წარმოადგენენ საერთო-სახალხო კუთვნილებას, რომელთა ზრდაზე და აყვავებაზე დამოკიდებულია მუშათა მასების კეთილდღეობის ზრდა, მუშათა კლასის პოლიტიკური სიძლიერის ზრდა, სოციალისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობა და საბოლოო გამარჯვება მუშათა კლასისა, რომელიც გაბატონებულ კლასს წარმოადგენს საბჭოთა კავშირში.

მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის და კულტურულ დონის ზრდა განუყრელად არის დაკავშირებული ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სასოფლო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის დასახული ტემპების განხორციელებასთან. პროფკავშირებმა არ უნდა დაივიწყონ თავისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია—ზრუნვა მუშათა ყოველდღიურ საჭიროებებზე.

კულტურული რევოლიუციის პრობლემა და პროფკავშირების კულტურულ-პოლიტიკური მუშაობის ამოცანები

კულტურული რევოლიუციის პრობლემა პარტიამ დღის წესრიგში დასვა ჯერ კიდევ მე-XV ყრილობაზე. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ პროფკავშირებმა განვლილი 2 ნახევ. წლის განმავლობაში მთლიანად შეიგნეს ეს პრობლემა და მობრუნდნენ პირით კულტურული რევოლიუციისაკენ. რეკონსტრუქტიული პერიოდი განსაკუთრებულის სიმწვავით აყენებს სწორედ კულტურულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხს, ამავე დროს კი, პროფკავშირების კულტურულ-პოლიტიკური მუშაობა უფრო მეტად, ვიდრე მუშაობის სხვა რომელიმე დარგში, გამსჭვალული იყო აპოლიტიურობის, ვიწრო ცეხური განწყობილებების და ვიწრო „კულტუროსნობის“ სულისკვეთებით. ასეთი მდგომარეობა მთლიანად გამომდინარეობდა მემარჯვენე ოპორტუნისტების შეხედულებებიდან. მათ არ ესმოდათ პროფკავშირების ამოცანები ახალ ეტაპზე, მათ არ ესმოდათ, თუ რა ამოცანებს უნდა ემსახუროს კულტურულ-პოლიტიკური მუშაობა სოციალისტური რეკონსტრუქციის ეპოქაში.

კულტურულ მუშაობაზე აპოლიტიურობის ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს იმის შეუგნებლობა, რომ ეს მუშაობა უნდა ემსახურებოდეს ფართო მასების კომუნისტური, კლასობრივი აღზრდის ამოცანებს. პროფკავშირების კულტურულ-პოლიტიკური მუშაობა მხოლოდ მაშინ იქნება შესაფერ სიმაღლეზე, როცა იგი ყოველდღიურად იქნება პარტიის გენერალური ხაზის გამტარებელი და მუშათა ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ფენებს აამაღლებს პროლეტარიატის საერთო კლასობრივი ინტერესების შეგნებამდე. მემარჯვენეების მიერ კულტურული მუშაობის სათანადოთ შეუფასებლობიდან, კლასობრივი აღზრდის ამოცანების შეუგნებლობიდან, ვიწრო „კულტუროსნობის“ და ცეხური განწყობილებების პრაქტიკიდან, ისეთი შეხედულებების გავრცელებიდან მასების აღზრდაზე, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ ლენინიზმთან,—გამომდინარეობდა შეცდომები და უდიდესი ნაკლოვანებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა მუშაობის ამ დარგში.

ამხ. კაგანოვიჩი ლაპარაკობდა თანხების ხარჯვაზე. როგორ იხარჯება ეს თანხები ახლა და როგორ იხარჯებოდა რამდენიმე ხნის წინ? მაგალითად, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაზე 1928 წ. დაიხარჯა მხოლოდ 1.564.000 მანეთი. როგორ შევცვალეთ ჩვენ ბიუჯეტი? 1928 წ. წერა-კითხვის უცოდინარობაზე ჩვენ დავხარჯეთ 16.800.000 მან. საწარმოო განათლებაზე ძველი ხელმძღვანელობა ხარჯავდა 632.000 მანეთს, ახლა კი ჩვენ ვხარჯავთ 17.300.000 მანეთს (აპლოდისმენტები). ჩვენ ვთვლით, რომ ეს კურსი რომელიც ჩვენ ავიღეთ ბიუჯეტის გარდაქმნაში, ყველაზე უფრო სწორია. იგი პროფკავშირებს აძლევს შესაძლებლობას უახლოესი წლების განმავლობაში ნამდვილად აქტიურად შეუდგნენ ტეხნიკური კადრების მომზადებას მუშათა წრიდან და, ამრიგად, შეავსონ ის ნაკლი, რომელიც პროფკავშირებს ჰქონდათ ამ დარგში.

ჩვენ ბევრ თანხებს ვხარჯავთ პროფმოძრაობის კადრების მომზადებაზე. ძველი ხელმძღვანელობა ხარჯავდა 1.428.000 მანეთს, ჩვენ ვხარჯავთ 54 მილიონ მანეთს (აპლოდისმენტები). საერთოდ ხარჯები მასების კულტურულ მომსახურებაზე 185 მილიონ მანეთიდან 1928 წ. გაიზარდა 270 მილიონ მანეთამდე 1930 წ.

გვაქვს თუ არა ჩვენ რაიმე გარდაქმნა კულტმუშაობაში? უსათუოდ გვაქვს, მაგრამ იგი ჯერ-ჯერობით არ არის საკმაო. თუ სადმე ჯერ კიდევ არის დარჩენილი მუშაობის მონური ტემპები, ეს—კულტურულ-პოლიტიკური მუშაობის დარგში. განა შეიძლება საკმაოდ ჩაითვალოს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ტემპი, როცა 1928-29 წ. კულტლაშქრობის შედეგად წერა-კითხვა შეისწავლა მხოლოდ 800.000 უცოდინარმა, იმ დროს, როცა წერა-კითხვის უცოდინარობა საშუალოდ 2,6 პროცენტით იზრდება ყოველწლიურად, როცა მოსახლეობის 87 პროც. წერა-კითხვის უცოდინარია, კავშირის წევრთა შორის კი გვყავს 1.200.000 უცოდინარი. კულტმუშაობის გარდაქმნა ჯერ კიდევ ძლიერ ნელა ხდება და ვერ გაუთანასწორდა სოციალისტური მშენებლობის ტემპებს.

რას ნიშნავს კულტმუშაობის დამორჩილება სოციალისტური მშენებლობისათვის? ეს ნიშნავს—გავშალოთ ლოზუნგი პირით წარმოებისაკენ, როგორც პირით მობრუნება არა მარტო ინდუსტრიალიზაციისაკენ, კოლექტივიზაციისაკენ, არამედ აგრეთვე კულტურული რევოლიუციისაკენ. ეს ნიშნავს კულტურული მუშაობის გადაქცევას პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად იარაღად. ეს ნიშნავს—ბოლოს მოღებას იმ მდგომარეობისათვის, როცა პროფკავშირები ცხოვრობენ მხოლოდ ვიწრო ინტერესებით, თავის კულტურულ სამრეკლოდან; ეს ნიშნავს—პროფკავშირების კულტურული მუშაობის გადაქცევას კულტურული რევოლიუციის ამოცანების განხორციელების ერთ-ერთ მძლავრ იარაღად, ერთ-ერთ იარაღათ, რომელიც აქტიურად შეუწყობს ხელს და მოაწესრიგებს კულტურულ მუშაობას ყველა ორგანიზაციებისას, განათლების კომისარიატიდან დაწყებული და გათავებული ნებაყოფლობითი საზოგადოებებით. ეს ნიშნავს კულტმუშაობის ისეთი ტემპების უზრუნველყოფას, როცა ჩვენ უახლოესი წლების განმავლობაში ნამდვილად მოვსპობთ წერა-კითხვის უცოდინარობას შეკავშირებულ მოსახლეობაში და ყველა ღონისძიებებს ვიხმართ იმისათვის, რომ მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და მოჯამაგირეთა შორის. ეს ნიშნავს ლოზუნგი საყოველთაო განათლებისა,—და პირველ რიგში ინდუსტრიალურ მუშათა შორის,—გავხადოთ პროფკავშირების მთელი კულტურული მუშაობის ბრძოლის დროშათ. ეს ნიშნავს—მივაღწიოთ მუშათა მასების საერთო და ტეხნიკურ დონეს ამაღლებას აქტივობის ზრდისა და დამკვრელობის განვითარების საფუძველზე. ეს ნიშნავს—ისე დავაყენოთ მუშათა კლასობრივი აღზრდა, რომ ისინი უმოკლეს ვადაში გავხადოთ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის აქტიურ მებრძოლებათ. ეს ნიშნავს—სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ მუშათა მასების ინტერნაციონალური აღზრდა. ეს ნიშნავს—მოვახერხოთ სწორი კლასობრივი აღზრდის შეთავსება მუშათა მასების კულტურული დასვენების წესიერ ორგანიზაციასთან.

ამისათვის ბოლო უნდა მოუღოთ პროფკავშირების კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობისა და სახელმწიფო ორგანოების კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ერთმანეთისათვის დაპირისპირების პრაქტიკას. ამისათვის საჭიროა მთავარი ყურადღება დაეთმოს ცეხს და მუშებისაგან ახალი კადრების აღზრდას მშენებლობისათვის.

დამკვრელთა მოძრაობა—პროფკავშირების მუშაობის გარდაქმნის საფუძველია

პროფკავშირების გარდაქმნის ძირითად ფაზას წარმოადგენს დამკვრელობა. გარდაქმნა უკვე დაიწყო, მაგრამ ჯერ კიდევ შორს არის დასრულებიდან. საჭიროა პარტიისა და პროფკავშირების შემდგომი მუშაობა მის დასასრულებლად. მაგრამ ამ გარდაქმნას ხელს უშლის აპარატი, რომელიც წლობით იქმნებოდა პროფმოძრაობაში და, რომელიც ხშირად არის უძრავი, ბიუროკრატიული, არ ესმის რეკონსტრუქტიული პერიოდის ამოცანები, არ შესწევს თავისი რიგების გარდაქმნის უნარი, რაც საჭიროა პროფკავშირების წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად.

რას წარმოადგენდა პროფმოძრაობის ძველი აპარატი? კავშირების ცენტრალური კომიტეტების არჩეულ და დაქირავებულ მუშაკებს შორის 1930 წ. 1-ლ აპრილისათვის 11,9 პროც. შეადგენდნენ სხვა პარტიებიდან გამოსულები; პროფსაბჭოების მუშაკებს შორის 1930 წ. 1-ლი იანვრისათვის სხვა პარტიებიდან გამოსულები შეადგენდნენ 13,9 პროც.; საკავშირო პროფსაბჭოს პასუხისმგებელ მუშაკებს შორის 1930 წ. 1-ილ იანვრისათვის სხვა პარტიებიდან გამოსულები შეადგენდნენ 15 პროც. კავშირების ცენტრალური კომიტეტების პასუხისმგებელ მუშაკებს შორის მუშები შეადგენენ მხოლოდ 59 პროცენტს, პროფსაბჭოებში—58 პროცენტს. 1929 წლის მაისამდე საკავშირო პროფსაბჭოს და კავშირების ცენტრალური კომიტეტების აპარატში არ ყოფილა არც ერთი დაწინაურებული. აშკარაა, რომ ასეთი აპარატით შეუძლებელი იყო აპარატის გარდაქმნის წარმატებით შესრულება.

პარტიის ცეკამ თავის დროზე და სწორად წამოაყენა წმენდის ჩატარების საკითხი. საჭიროა გაიხეხოს ეს აპარატი და ისე პროლეტარულად გაიხეხოს, რომ გაიგავოს ყველაფერი, რასაც არ შესწევს გარდაქმნის უნარი, რაც აფერხებს და არ უზრუნველჰყოფს იმ ამოცანების გადაჭრას, რომლებიც ჩვენს წინაშეა დასმული რეკონსტრუქციის ეპოქაში.

წმენდასთან დაკავშირებით საკავშირო პროფსაბჭოს და კავშირების ცენტრალური კომიტეტების აპარატში ჩავაბით 250 დამკვრელი. ეს, რასაკვირველია, ჯერ კიდევ უმნიშვნელო რაოდენობაა, მაგრამ ოღონდ ამ გზით სიარულის სურვილი გვქონდეს. საკავშირო პროფსაბჭოს, კავშირების ცენტრალური კომიტეტების, საოლქო პროფსაბჭოების და ადგილობრივ ძირითად პროფორგანიზაციებს აქვთ ამ მუშაობის მნიშვნელობის შეგნება, ისინი მზად არიან იგი შეასრულონ. ეს წარმოადგენს პროფორგანიზაციების გარდაქმნის სწრაფად განხორციელების საწინდარს.

პროფმოძრაობის ახალი კადრების დაწინაურების მომზადება წარმოადგენს პროფკავშირების გარდაქმნის ერთ-ერთ გადამწყვეტ ამოცანას. პროფკავშირების აპარატში უნდა ჩავაბათ დამკვრელები წარმოებიდან, უნდა უზრუნველვყოთ მათი შესაფერი მომზადება და აღმოუჩინოთ მათ დახმარება პრაქტიკულ მუშაობაში.

მტკიცედ უნდა შევცვალოთ მუშაობის აპარატული წესი, გადაჭრით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პროფორგანიზაციების აპარატის მუშაობაში ფართოდ ჩავაბათ მოხალისეები.

ამ დარგში მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული და აქ კიდევ მოგველის უდიდესი მუშაობა, რომ მუშათა ფართო მასები მოხალისეობის საფუძველზე ჩავაბათ პროფორგანიზაციების მთელ მუშაობაში. და მაშინ კავშირის ის გაწყვეტა, რომელიც ძველ ხელმძღვანელობას ქონდა მასებთან, საბოლოოდ იქნება თავიდან აცილებული, ვინაიდან პროფორგანიზაციების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობის დროს მუშები თან მოიტანენ ფართო მუშათა მასების შემოქმედებითი ინიციატივას და ცოცხალ სულს და პროფკავშირებს მებრძოლ ორგანიზაციებათ გადააქცევენ.

რომ წარმატებით გარდავქმნათ ჩვენი რიგები ჩვენ შესაფერად უნდა განვახორციელოთ თვითკრიტიკის ლოზუნგი. მუშური თვითკრიტიკა წარმოადგენს პროფორგანიზაციების წარმატებით გარდაქმნის და იმ ტრედიუნიონისტურ ტენდენციებთან ბრძოლის საწინდარს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა პროფკავშირების აპარატში, რომლებიც ზოგან ახლაც არსებობენ და რომლებიც მთელის სიძლიერით უნდა იქნას აღმოფხვრილი უახლოეს დროში.

პროფკავშირების გარდაქმნის წარმატებით განსახორციელებლად საჭიროა, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები დაეხმარონ პროფკავშირებს, პირველ რიგში პროფაპარატის განმტკიცების საქმეში. სანამ პარტიული ორგანიზაციები არ იკისრებენ ამ საქმეს და გადამწყვეტ დახმარებას არ აღმოგვიჩენენ, ჩვენთვის ძნელი იქნება პროფკავშირების გარდაქმნის ამოცანის დაძლევა.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის ბოლშევიკური შეტევა და პროფკავშირების საერთაშორისო მუშაობა

საბჭოთა პროფმოძრაობის გარდაქმნას შედეგად უნდა მოჰყვეს ჩვენი ინტერნაციონალური მუშაობის გაშლა. საბჭოთა პროფმოძრაობა, რომელიც პროფინტერნის მთავარ ხერხემალს წარმოადგენს, მასში ხელმძღვანელ როლს თამაშობს. ახლანდელ ეტაპზე მან განსაკუთრებით მკაფიოდ უნდა აღნიშნოს ის გზები და საშუალებები, რომლებიც ნამდვილად განამტკიცებენ ჩვენს საერთაშორისო რევოლიუციონურ მუშაობას. გადამწყვეტი გარდატეხის მიღწევა საბჭოთა პროფკავშირების საერთაშორისო საქმიანობის გაძლიერების დარგში, აქტიური მონაწილეობა პროფინტერნის მუშაობაში, საბჭოთა პროფკავშირების რევოლიუციონური მუშაობის გამოცდილების გადატანა პროფინტერნის ყველა და, განსაკუთრებით კი—სუსტ სექციებში,—სწორედ ეს ნიშნავს პირველ რიგში პროფინტერნის მუშაობის განმტკიცებას.

ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტურ და კოლონიალური ქვეყნების მუშებს შორის კავშირის განმტკიცების საკითხი უნდა წარმოადგენდეს არა მარტო ლამაზ დეკლარაციას, არამედ იგი უნდა გადაიქცეს საბჭოთა კავშირის პროფკავშირების მუშაობის შემადგენელ ნაწილად.

საჭიროა ყოველმხრივ იქნას განმტკიცებული საბჭოთა კავშირის მუშების ურთიერთ-კავშირი კაპიტალისტური ქვეყნების მუშებთან, რათა კაპიტალიზმის ქვეყნებიდან ჩამოსულმა მუშათა დელეგაციებმა, არჩეულმა უშუალოდ ფაბრიკა-ქარხნებში, შესძლონ ჩვენი სოციალისტური მშენებლობისა და ბრძოლის მთელი გიგანტური გამოცდილების გადაცემა. საჭიროა, რომ ეს მუშათა დელეგაციები უკან დაბრუნების შემდეგ გადაიქცნენ კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო აგიტატორებად, პროპაგანდისტებად და ორგანიზატორებად.

განა დამახასიათებელი არ არის ის ფაქტი, რომ ჩვენს პროფკავშირულ პრესაში ძლიერ ცოტა იბეჭდება ცნობები საერთაშორისო რევოლიუციონური პროლეტარიატის ბრძოლისა და ცხოვრების შესახებ? განა ფაქტი არ არის, რომ ის ხაზი, რომელიც ძველ ოპორტუნისტულ ხელმძღვანელობას ჰქონდა, იწვევდა პროფკავშირების მთელი ინტერნაციონალური მუშაობის მიჩქმალვას და შესუსტებას?

ჩვენ თვითეული ჩვენი მუშისათვის ნათელი უნდა გავხადოთ ის მკაცრი ბრძოლა, რომელიც შრომასა და კაპიტალს შორის ხდება კაპიტალისტურ ქვეყნებში და პროლეტარ. მასების მდგომარეობის გაუარესების პროცესი: ხელფასის დაკლება, ფართო მასების საცხოვრებელი მინიმუმის გაუარესება კაპიტალისტურ ქვეყნებში. საბჭოთა კავშირის თვითეულმა მუშამ უნდა შეითვისოს, რომ დახმარების აღმოჩენა საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობისათვის საბჭოთა კავშირის თვითეული პროლეტარის უპირველეს მოვალეობას შეადგენს.

ჩვენ უნდა შევსძლოთ დაყრდნობა უფართოესი მასების გამოცდილებაზე ამ მუშაობის გაშლაში, რომ ეს მუშაობა გადაიქცეს არა მარტო პროფკავშირების ათეულ და ასეულ მუშაკების, არამედ საბჭოთა კავშირის ასეულ და მილიონ მუშების საქმედ. მხოლოდ ამ პირობის შესრულება უზრუნველჰყოფს პროფკავშირების მობრუნებას პირით საბჭოთა პროფმუშაობის საერთაშორისო მუშაობის ამოცანებისადმი და ნამდვილად განამტკიცებს პროფინტერნის მუშაობას.

როგორია უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომლებიც პროფკავშირებისათვის გამომდინარეობენ ბოლშევიკური შეტევის ფაქტიდან თანამედროვე პირობებში?

საჭიროა, რომ პროფკავშირების მთელი მუშაობის ხელმძღვანელობა აგებულ იქნას პარტიული, ბოლშევიკური ხაზის საფუძველზე, რომ პროფკავშირები ნამდვილად, საქმით, ყოველდღიურად აწარმოებდნენ მასების აღზრდას კომუნისტური პრინციპების მიხედვით, რომ პროფკავშირებმა აწარმოონ უკიდურესად შეურიგებელი ბრძოლა ჩვენი პარტიის გენერალური ხაზისათვის და მოახდინონ მასების მობილიზაცია მის გასატარებლად ცხოვრებაში, რომ პროფკავშირებმა დარაზმონ მასები სოციალისტური მშენებლობის გაშლის და სოფლის მეურნეობის გარდაქმნის ბოლშევიკური ტემპებისათვის, რომ ისინი თავის მუშაობაში ხელმძღვანელობდნენ ორ ფრონტზე ბრძოლით და ამასთანავე ახლანდელ სტადიაზე განსაკუთრებით მთავარ საფრთხესთან—მემარჯვენე გადახრასთან და მასთან შემარიგებლობასთან ბრძოლით. პროფკავშირები მხოლოდ მაშინ შესძლებენ მათ წინაშე მდგომ ყველა ამოცანების დაძლევას, როცა სინამდვილეში შესძლებენ დაიკავონ ის ადგილი, რომელიც მათ დათმობილი აქვთ დიდ ბოლშევიკურ შეტევაში.

პროლეტარიატის გადამწყვეტი შეტევა მთელს ფრონტზე პარტიის ხელმძღვანელობით—აი მთავარი დებულება, რომელიც თვითეული პროფმუშაკისათვის სახელმძღვანელო უნდა იყოს პროფკავშირების მუშაობის ყველა დარგში.

საბჭოთა პროფმოძრაობამ უკვე ითამაშა და ყოველთვის ითამაშებს თვალსაჩინო როლს მსოფლიო პროფმოძრაობის განვითარებაში და სოციალიზმის მშენებლობაში პირველ პროლეტარულ სახელმწიფოში.

სოციალიზმის ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ ასეულ მილიონ მშრომელებს ამოძრავებს დედამიწის ყველა კუთხეში. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ მომავალი ახალ დიდ ბრძოლისათვის, რომლებშიაც საბჭოთა პროფკავშირებს დიდი როლის შესრულება მოუხდებათ.

ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში სწარმოებს დიდი ბრძოლები შრომასა და კაპიტალს შორის, ძლიერდება მსოფლიო ეკონომიური კრიზისი, იზრდება უმუშევრობა, მცირდება მუშათა შრომის ხელფასი. მიმდინარეობს კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის შემდგომი შერყევის პროცესი.

საბჭოთა კავშირი კი, კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში, კაპიტალისტური ქვეყნების რევოლიუციონური პროლეტარიატისა და კოლონიების ჩაგრულ ხალხთა დახმარებით ძლევამოსილად აშენებს სოციალიზმს და, ყველა სიძნელეთა მიუხედავათ, გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიდის.

პარტიის ცეკას ხელმძღვანელობით და მთელი პარტიის დახმარებით ჩვენმა პროფკავშირებმა დაიწყეს თავისი რიგების გარდაქმნა, მათი გაწმენდა ოპორტუნისტებისაგან და თავისი იარაღი გაამახვილეს ბრძოლაში ბოლშევიკური ტემპებისათვის, ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის, სასოფლო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის.

პარტიის მე-XVI ყრილობა მსოფლიო მუშათა მოძრაობაში შევა როგორც დიადი ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის ყრილობა.

საბჭოთა პროფმოძრაობა, რომელმაც სოციალისტური რევოლიუციის ყველა ეტაპებზე უდიდესი ისტორიული როლი ითამაშა, ახლანდელ რეკონსტრუქტიულ პერიოდში ავა ახალ საფეხურზე და გახდება სოციალისტური საზოგადოების დიადი მშენებლობის კიდევ უფრო აქტიურ და გადამწყვეტ ძალად (ხანგრძლივი ტაში).

ამხ. შვერნიკის საბოლოო სიტყვა

ამხ. შვერნიკი თავის საბოლოო სიტყვას იწყებს იმის აღნიშ[illegible] რომ მას არსებითად ბევრი არაფერი [illegible]სამატებელი იმისათვის, რაც ორატ[illegible] სიტყვებს კამათში.

ამხ. შვერნიკი მიუღებლად თვლის იმის მტკიცებას, რომ საჭიროა არ გაგვიტაცოს პროფმუშაობის ახალმა ფორმებმა. საკითხის ასე დაყენება შემცდარია, — მე ვთვლი, —ამბობს ის, — რომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ამხანაგებს, რომლებიც გვირჩევენ არ გაგვიტაცოს ახალმა ფორმებმა. სოციალისტური შეჯიბრების გაშლის დარგში ჩვენ კიდევ გვჭირდება ახალი ფორმები. ახალი ფორმების შემოღებით ხორციელდება მუშათა კლასის შემოქმედებითი ინიციატივის გაშლა. ჩვენ კიდევ ვერ გამოგვინახავს მუშაობის სავსებით სრულქმნილი ფორმები, ჩვენ უნდა ვეძებოთ და განვაგრძობთ მათ ძებნას. ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ გავაღვივოთ პროლეტარიატის შემოქმედებითი ძალები. საკავშირო პროფსაბჭოს ძველი ხელმძღვანელობა ფხიზლად არ ადევნებდა თვალყურს მუშათა განწყობილებებს და ამიტომ მოსწყდა მასებს. პროფმუშაობის გარდაქმნა — მეტად რთული და საპასუხისმგებლო ამოცანაა. ქარხკომების გადარჩევა მელითონეთა კავშირში, რომელიც ჩატარდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივით, წარმოადგენდა საკავშირო პროფსაბჭოს ახალი ხელმძღვანელობის მუშაობის გამოცდილების შემოწმებას. გადარჩევის კამპანია ჩატარდა საფინანსო-საწარმოო გეგმის შესრულების შემოწმების ლოზუნგით. გადარჩევის შედეგად ქარხკომების შემადგენლობა განახლებულია 65 პროცენტით, ზოგან კი 80 პროცენტით. ეს გვარწმუნებს ჩვენ იმაში, რომ ქვედა საფეხურის პროფორგანიზაციების შემადგენლობა არა დამაკმაყოფილებელი იყო.

ქარხკომების შემადგენლობის დიდი განახლება ხდებოდა ქარხკომებში დამკვრელთა ახალი ძალების ჩაბმის გზით.

შემდეგ ამხ. შვერნიკი ჩერდება პროფმუშაკების კადრების მომზადებაზე. მელითონეთა ქარხკომების გადარჩევა ნათელყოფს ამ ამოცანის უდიდეს მნიშვნელობას. ახალმა მუშაკებმა, რომლებიც პროფკავშირების აპარატში ებმებიან, უნდა გაიარონ მოკლევადიანი კურსების ქსელი, რომ შესძლონ ნამდვილად აწარმოონ პროფმუშაობა, რომელიც ახალ პირობებში გართულდა.

ამხ. შვერნიკი ყრილობის დელეგატების განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს პროფმუშაობის დაყენებაზე ნაციონალურ რესპუბლიკებში და რაიონებში. მომხსენებელი მიუთითებს, რომ საჭიროა ამ რაიონების პროფკავშირების აპარატში ჩაბმულ იქნან მუშაკები ადგილობრივ მკვიდრთაგან და აგრეთვე ნაციონალურ პროფკავშირულ კადრების სასწრაფო მომზადების საჭიროებაზე.

— ლენინი გვასწავლიდა, — ამბობს შემდეგ ამხ. შვერნიკი, — რომ პროლეტარიატი ჩინური კედლით არ არის გამიჯნული სხვა კლასებისაგან. ახლა, კაპიტალისტურ ელემენტებზე სოციალისტური შეტევის მომენტში, ძლიერდება ამ უკანასკნელთა წინააღმდეგობა. კაპიტალისტური ელემენტები ცდილობენ გავლენა მოახდინონ მუშათა ჩამორჩენილ ფენებზე, კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში პროლეტარიატმა განსაკუთრებული სიმტკიცე უნდა გამოიჩინოს. ამიტომ პროფკავშირებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მუშაობის გაშლას მუშათა კლასის პოლიტიკური მომზადების დარგში იმ მიზნით, რომ გადამჭრელი წინააღმდეგობა გაუწიონ წვრილ-ბურჟუაზიულ გავლენებს მუშათა კლასის ცალკე ჩამორჩენილ ნაწილებში.

ამხ. შვერნიკი მიუთითებს, რომ პროფმუშაობის გარდაქმნა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ პარტიული ორგანიზაციები მტკიცე დახმარებას აღმოუჩენენ პროფკავშირებს და დასასრულ ამბობს: — „სოციალიზმის შეტევის ორგანიზაცია მთელ ფრონტზე მოითხოვს არა მარტო პარტიის რკინისებურ ლენინურ მთლიანობას, არამედ მჭიდრო მთლიანობას პროლეტარული მასებისას, რომლებსაც პროფკავშირები აერთიანებენ პარტიის ხელმძღვანელობით. მხოლოდ ეს უზრუნველყოფს სოციალისტური მშენებლობის ბოლშევიკურ ტემპს და დააჩქარებს გამარჯვებას“.

კამათი ამხ. იაკოვლევის მოხსენების გარშემო

ამხ. შ. ელიავას სიტყვა

პრინციპიალურ დებულებებს, რომლებიც ამხ. იაკოვლევმა მოგვცა, ვერაფერს დაუმატებ. ნებას მივცემ ჩემს თავს თქვენი ყურადღება შევაჩერო მხოლოდ სასოფლო მეურნეობის ამოცანებზე ამიერ-კავკასიის პირობებში და ამოცანათა იმ რიგებზე, რომლებზედაც ამხ. იაკოვლევმა ილაპარაკა.

ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ჯერ კიდევ პირველ დღეებში ლენინი გვირჩევდა ჩვენ პირველ რიგში შევსდგომოდით ელექტროფიკაციასა და ირიგაციას, განსაკუთრებით კი ჩვენი კავშირის ამ კუთხის ირიგაციას. ლენინი თვლიდა, რომ ირიგაცია აღორძინებს ჩვენს მხარეს და დაანგრევს მეურნეობის ძველ წესებს. ის, რასაკვირველია, ხელმძღვანელობდა ამიერ-კავკასიის სპეციფიურ თავისებურობებით. ეს თავისებურობანი დამატებითი დაბრკოლებებს ქმნიან ჩვენს მუშაობაში სოფლის სოციალისტურად გარდასაქმნელად. ჩვენს მხარეში კი სასოფლო მეურნეობის სოციალისტურად განვითარების ობიექტური პირობები უდიდესია. საკმაოა ითქვას, რომ ამიერ-კავკასიას აქვს განსაკუთრებული შეთავსება პირობებისა, რომლებიც ამ რაიონს ანსხვავებენ საბჭოთა კავშირის ყველა დანარჩენი რაიონებისაგან. ეს არის—მშვენიერი შეთავსება მიწის, წყლის და მზის, რომლის საფუძველზე შესაძლებელია სასოფლო მეურნეობის გიგანტიური ზრდა სწორედ კოლექტიურ ფორმებში.

ჩვენი რაიონი არის რაიონი, რომელიც ნედლეული პროდუქციით ჰკვებს საბჭოთა მრეწველობას, როგორც ცენტრალურს, ისე ადგილობრივს. იგი წარმოადგენს სუბტროპიკულ პროდუქტების წარმოების რაიონს. მას შეუძლია დაამზადოს ისეთი პროდუქტები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში აბსოლიუტურად საჭიროა და რომლებიც ჩვენ ახლა უცხოეთიდან შემოგვაქვს. ძირითად დარგს ჩვენს სასოფლო მეურნეობაში წარმოადგენენ ტეხნიკური კულტურები, მათ რიცხვში ისეთი კულტურები, როგორიც არის ბამბა, ჩინური ქინქარი, კენაფი, კენდირი და ისეთი შრომის ტევადი კულტურები, როგორიც არის, თამბაქო, სუბტროპიკული მცენარეები, ჩაი და ხილი.

ჩვენი რაიონი ნაწილობრივ წარმოადგენს მესაქონლეობის რაიონსაც. მე მინდოდა განსაკუთრებული ყურადღება მიმექცია მესაქონლეობაზე, რომელსაც ყველა წინასწარი პირობები აქვს სწრაფი და ფართო განვითარებისათვის. სასოფლო მეურნეობის დარგში ჩვენ მეტად ნელა და სუსტად ვვითარდებით—უმთავრესად იმიტომ, რომ წარმოვადგენთ ფრიად ჩამორჩენილ რაიონს, როგორც ტეხნიკურ-ეკონომიურად, ისე კულტურულადაც. ამას უნდა მიემატოს მთელი რიგი დიდი სიძნელეები, რომლებიც გამომდინარეობენ კულტურების უაღრესი მრავალფეროვანებიდან და ჩვენი მხარის ცალკე ეროვნებათა და ცალკე რაიონების განვითარების დონეს მრავალფეროვანებიდან, ყველა ეს სიძნელეები რთულდება კიდევ იმ გარემოებით, რომ ჩვენში არსებობს მეურნეობის ინდივიდუალური ფორმები. ახლა თითქო უკვე არავინ დაობს იმას შესახებ, შესაძლებელია თუ არა საბჭოთა კავშირის სასოფლო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია კოლექტივიზაციის საფუძველზე. ჩვენში კი, ამიერ-კავკასიაში, არის ხალხი, რომლებიც სთვლიან, რომ ჩვენს პირობებში, ჩამორჩენილ პირობებში, მძიმე რელიეფის პირობებში, კულტურების მრავალფეროვნების პირობებში, კოლექტიური მშენებლობა მეტად გაძნელებულია და ამ საქმეზე თავის შეწუხება ჯერ არ ღირსო. მე კი მინდა ვსთქვა, რომ ჩვენი უაღრესად ჩამორჩენილობის პირობებში ჩვენი სასოფლო მეურნეობის განვითარების ზღვარს წარმოადგენენ მეურნეობის ჩამორჩენილი ფორმები, ინდივიდუალური მეურნეობანი. ჩვენ უნდა გაუთანასწორდეთ საბჭოთა კავშირის სხვა მოწინავე რაიონებს, რომ მათთან ერთად გავსწიოთ წინ, სოციალიზმისაკენ. ისმება კითხვა, შეგვიძლია, თუ არა ჩვენ, ამიერ-კავკასიაში, ჩვენს სპეციფიურ პირობებში, შევძლოთ თუ არა ჩვენ ჩვენი მეურნეობის განვითარება კოლექტივიზაციის საფუძვლებზე? მე უპასუხებ კატეგორიულად: დიახ, შეგვიძლია. განვითარების სხვა გზები ჩვენ არა გვაქვს. მეურნეობის ჩამორჩენილობის პირობებში, მომთაბარე მოსახლეობის დიდი მასების არსებობის პირობებში, ჩვენ სხვაფრივ არ შეგვიძლია ავიდეთ უმაღლეს საფეხურზე. ამის მიღწევა შეუძლებელია, თუ რაც შეიძლება დაჩქარებით და გამოსავალ პოზიციების შესაფერად მომზადებით, ჩვენ არ შევუდგებით კოლექტივიზაციას და ჩვენი მეურნეობის განსაზოგადოებას.

ჩვენ ეხლა ვატარებთ დიდ მუშაობას ელექტროფიკაციის დარგში, დიდ მუშაობას ვატარებთ ირიგაციის დარგში, ვიწყებთ ახალი მიწების გამოყენებას, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეხლანდელი ინდივიდუალური მეურნეობა ამ მეურნეობათა დღევანდელ ტეხნიკური შეიარაღების პირობებში ვერ ახერხებს იმ მიწების გამოყენებას. რომელთა ექსპლოატაციასაც ჩვენ ახლა ვიწყებთ.

აქედან გასაგებია იმ ამოცანა, რომელიც ჩვენ უნდა დავსვათ როგორც უახლოესი წლების ამოცანა. იგი მდგომარეობს ჩვენი სასოფლო მეურნეობის დაჩქარებით შეიარაღებაში მიწის მექანიკურად დამუშავების შესაფერი საშუალებებით, რათა ჩვენ შევსძლოთ ჩვენი სუბტროპიკული ნედლეულის რაიონი დაუახლოვოთ სოციალისტური მეურნეობის საერთო ზრდას საბჭოთა კავშირში. ამ შემთხვევაში ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმით, რომ ჩვენს მხარეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ კულტურებს, რომელთა განვითარება განსაზღვრულია ჩვენი ჰავისა და ნიადაგის პირობებით. ჩვენ ხელი უნდა მოვკიდოთ ისეთ კულტურებს, რომელთა განვითარება შეუძლებელია საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში. პრინციპი დარაიონებისა სპეციალიზაციის საფუძველზე ბოლომდე უნდა იქნას გატარებული. თუ ჩვენ ქვეყანაში გამოვიყენებთ ელექტრონის ენერგიას, თუ მოვრწყავთ აზერბეიჯანის უდიდეს ველებს, რომელთაც მოსარწყავ სამუშაოთა შედეგად შეძლებით მოგვცემ მილიონ ასი ათასი ჰექტარი ხმელ ნათესებისათვის, თუ ამოვაშრობთ ჭაობებს საქართველოს ნალექებიან სუბტროპიკულ რაიონებში, რომელთაც შეუძლიათ ორასი ათასი ჰექტარი მიწის მოცემა სუბტროპიკულ კულტურებისა და სამკურნალო მცენარეებისათვის, თუ სასოფლო მეურნეობას შევაიარაღებთ შესაფერი მექანიკური საშუალებებით, ამიერ-კავკასია შეძლებს გასწიოს წინ უფრო სწრაფი ტემპებით, ვიდრე ჩვენი საბჭოთა კავშირის სხვა რაიონები. მე შემიძლია დარწმუნებით ვსთქვა რომ ამ პირობებში ჩვენ შევძლებთ რამდენჯერმე გადავაჭარბოთ ის ტემპები, რომლებიც ჩვენ ეხლა მივიღეთ. ჩვენი ტემპები კი, როგორც თქვენ აქ გაგაცნოთ ამხ. სტალინმა, ბევრად სჭარბობენ კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების ტემპებს. გამოსავალი პოზიციები ჩვენი სასოფლო მეურნეობის ზრდისა სოციალისტურ საფუძველზე ჯერ კიდევ არ არის სავსებით მზად. ჩვენს მუშაობას კოლექტივიზაციის დარგში, რომელსაც ჩვენ მიმდინარე წელს ვაწარმოებდით, თან სდევდა დიდი გადახრები და დიდი შეცდომები სწორედ იმის შედეგად, რომ მომზადების მხრივ ჩვენ უფრო მძიმე პირობებში აღმოვჩნდით, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა რაიონები. ახლა ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა—რაც შეიძლება დაჩქარებით მოვამზადოთ ეს გამოსავალი პოზიციები, მოვამზადოთ მოსახლეობა, გავატაროთ იგი შეურიგებელ ბრძოლაში კლასობრივ მტერთან, კულაკობასთან და ექსპლოატატორულ ელემენტებთან. გავრცელებას ტეხნიკური კულტურებისას, რომლებითაც ჩვენ გვინდა შევცვალოთ ხორბლეულის კულტურები ჩვენს მხარეში, აუცილებლობით უნდა სდევდეს თან მეურნეობის წარმოების კოლექტიური ფორმების ორგანიზაცია. ასევე, მეურნეობის წარმოების კოლექტიური ფორმების ორგანიზაცია უნდა სდევდეს თან მომთაბარეებს და ნახევრად მომთაბარეების დასახლებას ერთ ადგილზე. ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციების ამოცანა იმაში იქნება, რომ ჩვენ გავშალოთ მთელი ის ენერგია, რომლის გაშლა შეუძლია მუშურ-გლეხურ მასებს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომ ეს სპეციფიური კუთხე საბჭოთა კავშირისა ნამდვილად ვაქციოთ აყვავებულ სოციალისტურ სამოთხედ. მით უფრო, რომ ყველა წინასწარი პირობები ამისათვის ჩვენ გვაქვს. ჩვენი გლეხობის ტეხნიკურ შეიარაღებას, მის სრულ მომარაგებას პურით, წყლის წესიერად გამოყენებას, მიწის წესიერად გამოყენებას, მეურნეობის ორგანიზაციას კოლექტიურ საფუძველზე,—ყველაფერ ამას შეუძლია ამიერ-კავკასიის გადაქცევა ჩვენი კავშირის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნედლეულის რაიონად. ამავე დროს ამიერ-კავკასია მეხილეობის მხრივ უნდა გადაიქცეს საბჭოთა სოციალისტურ ფლორიდად და კალიფორნიად. ჩვენ მოვალეობას შეადგენს—ყველა ღონისძიებები მივიღოთ იმისათვის რომ ამიერ-კავკასია ყველა მისი ბუნებრივი სიმდიდრეებით და შესაძლებლობებით ჩავაყენოთ საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის სამსახურში. ამხ. იაკოვლევის, კუიბიშევისა და კრჟიჟანოვსკის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოგვცენ ჩვენ ყველა ტეხნიკური და მატერიალური პირობები, რომ ამ ტეხნიკურ და მატერიალურ საშუალებათა საფუძველზე ჩვენ გავშალოთ ენერგია და სასოფლო მეურნეობის განსაზოგადოების საფუძველზე ნამდვილად გადავაქციოთ ამიერ-კავკასია საბჭოთა კავშირის სიამაყეთ, სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთ მოწინავე ნაწილად აღმოსავლეთის მიჯნაზე.

ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა მესაქონლეობის განვითარებისა, როგორც მეღორეობის ხაზით, ისე მეცხვარეობის მატყლის მისაღებათ, აგრეთვე მეფრინველეობისა და მსხვილ მრეწველ საქონლის ხაზით. ამ მხრივ ამიერ-კავკასიას თავის დროზე პირველი ადგილი ეჭირა რუსეთში და მეორე—ევროპაში. ჩვენ ძლიერ ჩამორჩით როგორც ამ დარგში, მეორე ხარისხოვან დარგებში. მაგრამ მე მათ შესახებ არ ვლაპარაკობ. მე მინდოდა, პარტიული ყრილობის ყურადღების შეჩერება სასოფლო მეურნეობის ძირითად ხელმძღვანელ დარგებზე. ისინი წარმოადგენენ მშვენიერ საფუძველს ეხლა ჩამორჩენილი მხარის უსწრაფესი სოციალ და ტეხნიკურ რეკონსტრუქციისათვის. ეს მხარე უნდა გადაიქცეს საბჭოთა კავშირის სანიმუშო ნაწილად სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

ამხ. ერბანოვი

(ბურიატ მონღოლთა ოლქი)

პარტიის გენერალურმა ხაზმა უზრუნველჰყო სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის წარმატებები. ხორბლეულის პრობლემის წარმატებით გადაჭრა ქმნის ნიადაგს აგრეთვე მესაქონლეობის პრობლემის წარმატებით გადასაჭრელად. ამ საქმეში მთავარ როლს თამაშებენ ნაციონალური რესპუბლიკები და ოლქები. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გაშალონ მოსამზადებელი მუშაობა ნაციონალური რაიონების კოლექტივიზაციისათვის.

ამხ. ერბანოვი აღნიშნავს მნიშვნელოვან შეცდომებსა და გადახრებს, რომლებიც დაშვებულ იქნა ნაციონალური ოლქების და კერძოთ ბურიატ-მონღოლეთის ოლქის კოლექტივიზაციის საქმეში და ამასთანავე აღნიშნავს კოლექტივიზაციის მნიშვნელოვან პროცენტს ბურიატ-მონღოლეთის ოლქის კოლექტივიზაციაში (მოსახლეობის 23 პროცენტი, საიდანაც ნახევარს შეადგენენ ბურიატები).

დასასრულ, ამხ. ერბანოვი ჩერდება მომთაბარე მოსახლეობის ერთ ადგილზე დასახლების საკითხზე და აღნიშნავს ამ პრობლემის უშუალო კავშირს მასიური კოლექტივიზაციის პრობლემასთან.

ამხ. იაკოვლევის საბოლოო სიტყვა

ნება მიბოძეთ, რამდენიმე შენიშვნით დავკმაყოფილდე. რამდენსამე სიტყვას ვიტყვი ცხენის შესახებ. თავის თავად იგულისხმება, რომ ცხენის მნიშვნელობის სათანადოდ არ შეფასება ჩვენი მეურნეობის გარდაქმნის ეხლანდელ ეტაპზე უდიდესი შეცდომა იქნება. ის წარმატება, რომელსაც ამ გაზაფხულზე მივაღწიეთ, წარმოადგენს ტრაქტორისა და ცხენის მამოძრავებელი ძალის შეერთების შედეგს, ტრაქტორისა და ცხენის ასეთ შეერთებას მინდვრის სამუშაოებზე ჩვენში ჯერ კიდევ რამდენიმე წელიწადს ექნება ადგილი. ამ [illegible] ყოველ შემთხვევაში ფრთხილი მოპყრობა ცხენისადმი და სხვა ამოცანები, რომლებზედაც აქ ამხ. ბუდიონი ლაპარაკობდა, სრულებით არ წარმოადგენენ ისეთ რამეს, რასაც პარტიამ გვერდი უნდა აუხვიოს.

აღვნიშნავ კამათის ერთ თავისებურებასაც, რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს არის რაიონების და რესპუბლიკების შეჯიბრება, რამაც გამოხატულება ჰპოვა ყველა ამხანაგების სიტყვებში,

ჩვენში დღემდე ამ შეჯიბრებას ადგილი ჰქონდა უმთავრესად მრეწველობაში. სოფლის მეურნეობაში მას მეტად უმნიშვნელოდ ჰქონდა ადგილი. რა თქმა უნდა, ეხლა, როდესაც სოფლის მეურნეობის განვითარება უმთავრესად საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების ხაზით მიდის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რაიონების ასეთი შეჯიბრება ისეთივე მძლავრი საშუალება იქნება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, როგორც არის შეჯიბრება მრეწველობაში.

პრაქტიკული საკითხებიდან ნება მიბოძეთ შევეხო მხოლოდ ორს, რომლებიც მთელმა რიგმა ორატორებმა წამოაყენეს. პირველი საკითხი შეეხება კოოპერაციას, მეორე—კოლმეურნეობებში მოსავლის განაწილებას. კოოპერაციის საკითხის შესახებ ცენტრალური კომიტეტის თვალსაზრისი სავსებით მკაფიოდ მოცემულია თეზისებში. აღარ შეიძლება ისეთი მდგომარეობის მოთმენა, როდესაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, რომელიც სახალხო მეურნეობას 250 მილიონი მანეთი უღირს, ფაქტიურად თავს ვერ ართმევს ვერც კოლმეურნეთა და ვერც ინდივიდუალურ მეურნეთა დაკმაყოფილებას. არა მგონია რომელიმე კოოპერატორმა გაბედოს იმის თქმა, რომ სოფლის მეურნეობისათვის ეხლანდელ უმნიშვნელოვანეს მომენტში კოოპერაციამ თავისი ეხლანდელი სახით კოლმეურნეებისათვის ნამდვილი დახმარების გაწევის უნარი გამოიჩინა. ამას ვერავინ იტყვის. და თუ ამავე დროს ჩვენ გვაქვს ისეთი მდგომარეობა, რომ მომხმარებელი ზოლის მრავალ ოლქში, სადაც კოლმეურნეობები, როგორც ვიცით, ჯერჯერობით ერთეულ პროცენტებს შეადგენენ, დარჩნენ მხოლოდ კოლმეურნეობათა კავშირები და სრულებით არ არის კოოპერატიული ორგანიზაცია, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ინდივიდუალურ მეურნეს; ეს თავისთავად მოწმობს იმას, რომ საჭიროა განსაკუთრებული ორგანიზაცია კოლმეურნეთა დასაკმაყოფილებლად და განსაკუთრებული ორგანიზაცია ინდივიდუალურ მეურნეთა დასაკმაყოფილებლად საწარმოო ხელმძღვანელობის ხაზით. ეს ერთად ერთი საშუალებაა იმ სიმრავლის, მრავალსაფეხურიანობისა და პარალელიზმის აღმოსაფხვრელად, რასაც ადგილი აქვს ამჟამად. ცენტრალურ შავმიწადაგიან ოლქში, სადაც 170 ადმინისტრატიული რაიონია, არსებობს 500 რაიონული კავშირი, 28 საოლქო და 11 „საობლასტო“ კავშირი, ხოლო მთელ რიგ რაიონებში ვითომ სპეციალიზაციაქმნილი საკოლმეურნეო კოოპერატიული კავშირები,—ამის შედეგად კი კოლმეურნეობების მიმართ ხელმძღვანელობის ნაცვლად, კოლმეურნეობებისათვის დახმარების გაწევის ნაცვლად, გამოდის არევ-დარევა, დაუსრულებელი მიწერ-მოწერა და სახალხო სა[illegible] ფლანგვა—ეს ყოვლად შეუწყნარებ[illegible]. ვეებერთელა კოოპერატ[illegible] აპარატს, რომელიც საშინლად ძ[illegible]რია და თავის დანიშნულებასაც [illegible] ამართლებს, აქა-იქ კოლმეურნეობებში ურთდება დამატებითი აპარატები, რომლებიც აგრეთვე არ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას. მე თითონ ვიყავი მთელ რიგ კოლმეურნეობებში, სადაც აპარატისა და კანტორის ხარჯი თითქმის იმის მესამედს უდრის, რაც კოლმეურნეებს ნაშრომში ერგებათ.

ასეთი მდგომარეობა უნდა აღმოიფხვრას, რათა ვერც ერთ რაიონში, ვერც ერთ სოფელში, ვერც ერთ კოლმეურნეობაში ვერავინ გაბედოს ის უდიდესი უპირატესობა შრომის ნაყოფიერებაში, რომელსაც კოლმეურნეობანი იძლევიან, გაფლანგოს მოუხეშავი აპარატის შექმნაზე, რომელიც მხოლოდ ხელს უშლის კოლმეურნეობათა განმტკიცებას.

აი საიდან გამომდინარეობენ ცენტრალური კომიტეტის წინადადებანი კოოპერაციის შესახებ, რომელთა რაობაც ის არის, რომ იქმნება განსაკუთრებული ორგანიზაცია კოლმეურნეობებისათვის საწარმოო სამსახურის გასაწევად. ამ ორგანიზაციას აქვს სამი ფუნქცია—კადრების შექმნა, ტეხნიკური ბაზის ხელმძღვანელობა (სატრაქტორო ცენტრი შედის ამ სისტემაში ტრაქტორების ძირითადი ნაწილით და შემდეგში ატარებს სპეციალიზაციას სოფლის მეურნეობის დარგების მიხედვით) და შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში ინსტრუქტორებისა და ინსპექტორების საშუალებით. ამასთან ერთად იქმნება კოოპერატიული ორგანიზაცია, რომელიც ასრულებს დამზადებისა და ინდივიდუალურ მეურნეთათვის საწარმოო სამსახურის გაწევის ფუნქციებს.

მეორე და უკანასკნელი საკითხია მოსავლის განაწილება. აქ მთელმა რიგმა ამხანაგებმა მოითხოვეს სათანადო დირექტივები, მითითებები, ინსტრუქციები და სხვ. ძნელი გასაგებია, რა უკარნახებს ამხანაგებს ამ მოთხოვნას. ძირითადი მითითებანი მოცემულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ იმ დადგენილების სახით, რომლებიც გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის მწხკომის და კოლმეურნეობათა ცენტრის სახელით. თქვენ ყველანი იცნობთ ამ მითითებებს: კოლმეურნეობებში მარცვლეულ კულტურათა რაიონებში სახელმწიფო უნდა მიიღოს მარცვლის მესამედიდან მეოთხედამდე საშუალო მოსავლის დროს (კარგი მოსავლის დროს, რა თქმა უნდა, მეტი), კოლმეურნეთა კერძო საკუთრება რჩება ინდივიდუალური წესით დათესილ შემოდგომის ქირნახულზე, განსაზოგადოებულ ფონდებში შესატანი საჭირო მინიმალური ანარიცხების გამოკლების შემდეგ, და მთელი დანარჩენი მოსავლის ნაწილდება კოლმეურნეთა შორის კოლმეურნის ან მისი ოჯახის შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით (საერთო მოსავლის 5 პროცენტის გამოკლებით, რაც უნდა განაწილდეს კოლმეურნეებს შორის კოლმეურნეობაში შეტანილი ქონების მიხედვით).

საჭიროა თუ არა დამატებითი რეგლამენტით განვსაზღვროთ კოლმეურნეობათა ყოველი ნაბიჯი? ცენტრალური კომიტეტი ფიქრობს, რომ ეს საჭირო არ არის.

ჩვენ ვიცით, რომ აქა-იქ იყო ასეთი ცდები—ადგენდნენ ასსვეტიან ინსტრუქციებს, რომლითა საშუალებითაც ოლქის მუშაკები უნდოდათ გაეთვალისწინებინათ, თუ როგორ განაწილდებოდა ცალკე კოლმეურნეობაში მოსავალი კოლმეურნეებს შორის. აქედან ბიუროკრატიული ჩხირკედელობის გარდა არაფერი გამოდიოდა. უნდა დავკმაყოფილდეთ იმით, რასაც მნიშვნელობა აქვს პოლიტიკის თვალსაზრისით; ეს კი მთლიანად აღნიშნულია ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებში. ზოგიერთი ამხანაგი ამბობს: „ჩვენ მოსავლის განაწილების დროს გვინდა ანგარიში გავუწიოთ ოჯახის სიდიდესო“. განა ამისათვის საჭიროა რამე ინსტრუქცია? ნუთუ ჩვენ იმის წინააღმდეგი ვიქნებით, რომ კოლმეურნეებმა სადმე გადასწყვიტონ გამოჰყონ კოლმეურნეობის დიდოჯახიან წევრებისათვის სასურსათო პროდუქციის განსაზღვრული ნაწილი? ამისათვის საჭიროა რამდენიმე ასსვეტიანი ინსტრუქციის შედგენა, რომელიც მხოლოდ გზა-კვალს აურევს მუშაკებს? არ უნდა დავუშვათ შემდეგში ასეთი ბიუროკრატიული ჩხირკედელაობა და, ახალი ინსტრუქციების ნაცვლად, თვალყური უნდა ვადევნოთ, რომ მოსავლის განაწილების საკითხები სწყდებოდეს არა კოლმეურნეთა ზურგსუკან, არა რომელსამე კანცელიარიაში, არამედ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივის საფუძველზე თვით კოლმეურნეების მიერ, კოლმეურნეთა საერთო კრების მიერ. ეს იქნება საუკეთესო გარანტია შეცდომების წინააღმდეგ.

აი, ამხანაგებო, ყოველივე ის, რაც მთავარია.

ნება მიბოძეთ, დავამთავრო იმით, რომ ჩემი მოხსენების საერთო ჯამი გაგახსენოთ. ჩემი მოხსენების ძირითადი ჯამი არის ის, რომ კოლექტივიზაციის საფუძველზე, საბჭოთა მეურნეობების საფუძველზე,—ჩვენ უეჭველად შეგვიძლია დავეწიოთ სხვა ხალხებს ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე ეს დღემდე ხდებოდა. ეს იმიტომ, რომ ჩვენში განვითარების დაჩქარება უზრუნველყოფილია სოფლის მეურნეობაში; ხოლო სოფლის მეურნეობაში კერძო საკუთრების ხუნდები წარმოადგენენ გადაულახავ დაბრკოლებას პროგრესის გავრცელების სისწრაფისათვის კაპიტალისტურ ქვეყნებში.

მეორე დასკვნა იყო ის, რასაც ამბობდა ლენინი. ლენინი პარტ. მე-11 ყრილობაზე ამბობდა, რომ, როდესაც ჩვენ შევქმნით კავშირს გლეხურ ეკონომიკასთან და დავამარცხებთ კაპიტალიზმს, მაშინ აბსოლიუტურად უძლეველ ძალად გადავიქცევითო. ლენინის ეს მითითება უნდა გავიხსენოთ ეხლა, როდესაც ვახორციელებთ კოლექტივიზაციის საქმეს ჩვენს ქვეყანაში, როდესაც კოლექტივიზაციის საფუძველზე ვსპობთ კაპიტალიზმს, როდესაც კოლექტივიზაციის საფუძველზე მუშათა კლასის გუშინდელ მოკავშირეს—საშუალო გლეხს—ვაქცევთ საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილ მკვიდრ დასაყრდენად.

როგორიც უნდა იყოს ჩვენი მომავალი სიძნელეები, ჩვენ ვიცით, რომ განვითარების ეს სტადია ნამდვილად უძლეველს გვხდის.

გაუმარჯოს მუშათა კლასს, რომელიც სოციალისტურ საზოგადოებას აშენებს! (ხანგრძლივი ტაში).

შეცდომის გასწორება

(ა-კ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ახალ შემადგენლობაში, რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინწინდელ ნომერში გამოქვეყნდა, გაიპარა შეცდომა: სიაში ორჯერაა მოხსენებული ამხ. ბუბნოვის გვარი. სიის მეშვიდე სტრიქონში (ზევიდან) „ი. დ. ბუბნოვი“-ს მაგივრად უნდა იყოს: „ი. დ. კაბაკოვი“.

ბოლშევიკური ტემპით გავავრცელოთ სესხი „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში“

დამთავრებული მე-16 პარტყრილობა წარმოადგენს უდიდეს მოვლენას სოციალიზმის აშენებისათვის ჩვენს ქვეყანაში და მუშათა საერთაშორისო მოძრაობისათვის. კაპიტალიზმის ლპობის ფონზე მე-16 ყრილობამ განსაკუთრებულის სიცხადით გამოაშკარავა სოციალისტური მშენებლობის წარმატება საბჭოთა კავშირში. ერთ პოლიუსზე საბჭოთა კავშირში ვხედავთ სოციალისტური მშენებლობის ბუმბერაზულ ზრდას ქალაქად და სოფლად, კაცობრიობის ისტორიაში არ გაგონილი ინდუსტრიალიზაციის ტემპებს, მუშათა კლასისა და გლეხობის ღარიბ-საშუალო ფენების მატერიალურად და ყოფა-ცხოვრებითი პირობების გაუმჯობესებას. მეორე პოლიუსზე კაპიტალისტურ ქვეყნებში—უმუშევრობის ზრდას, რევოლიუციონური მოძრაობის აღმავალ ტალღას, უმკაცრეს ეკონომიურ კრიზისს, რომელიც ძირს უთხრის კაპიტალიზმის საფუძვლებს და უფრო და უფრო ადასტურებს იმას, რომ მწარმოებელ ძალთა შემდგომი განვითარება შეუთავსებელია კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობასთან.

ჩვენი ძლიერების ზრდა იწვევს საერთაშორისო ბურჟუაზიის გააფთრებულ სიძულვილს, ხუთწლედის შესრულების ყოველი წელიწადი და ყოველი წარმატებით ჩატარებული შინაური სესხი აძლიერებს პროლეტარიატის დიქტატურის ძალღონეს და წარმოადგენს კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა მასების გარევოლიუციონერების უდიდეს საშუალებას. აქედან გამომდინარეობს კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ჩვენი ქვეყნის შიგნით, წინააღმდეგობათა გამწვავება საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის. „საერთაშორისო ბურჟუაზიის სიძულვილი პროლეტარული დიქტატურის ერთად-ერთი სახელმწიფოსადმი მსოფლიოში და მისი გამარევოლიუციონერებელი გავლენისადმი გამოიხატება ეკონომიური ბლოკადის მოწყობის ცდაში, ბრძოლაში საბჭოთა ექსპორტის წინააღმდეგ, ეკლესიის მსახურთა კამპანიაში, ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პრესის გააფთრებულ, ცილისწამებით აღსავსე კამპანიაში და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ომის უფრო და უფრო გულმოდგინედ მზადებაში“ (მე-16 ყრილობის რეზოლიუცია).

აი რატომ იქნება სესხის „ხუთწლედი — ოთხ წელიწადში“ რეალიზაცია, რომელიც 15 ივლისს იწყება, საბჭოთა კავშირის პროლეტარიატისა და გლეხობის ღარიბ და საშუალო ფენების საუკეთესო პასუხი საერთაშორისო ბურჟუაზიისათვის.

მუშათა კლასის უდიდესი აქტივობა, მისი შეუპოვარი ბრძოლა სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ბოლშევიკური ტემპებისათვის, მისი მოთხოვნა განხორციელებულ იქნას „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში“,—ყოველივე ეს იმის უტყუარი საწინდარია, რომ სესხს უდიდესი ენტუზიაზმით და აღფრთოვანებით დაუჭერენ მხარს ჩვენი ქვეყნის მშრომელნი. მსხვილ პროლეტარულ ცენტრებში ჯერ კიდევ რამდენიმე თვით ადრე, სანამ ოფიციალურად გამოცხადებოდა სესხის რეალიზაციის კამპანია, თვით მუშათა მასების ინიციატივით დაიწყო ვადამდე ხელისმოწერა სესხზე „ხუთწლედი ოთხ წელიწადში“. მუშები და მოსამსახურეები მხურვალე თანაგრძნობით შეხვდნენ სესხის გამოშვებას.

როგორც ყოველთვის, ლენინგრადისა და მოსკოვის მუშები სოციალისტური მშენებლობის პირველ რიგებში მიდიან. ლენინგრადის ქარხნებმა „კრასნი პუტილოვეც“-მა, „ელექტროსილა“-მ, „კრასნი ტრეუგოლნიკ“-მა და სხვებმა ოთხი დღის განმავლობაში ხელი მოაწერეს 2 ნახ. მილიონ მანეთის ობლიგაციაზე, წითელმა პუტილოველებმა განაცხადეს, რომ ისინი მოიხდიან თავიანთ კლასობრივ ვალს მუშური სახელმწიფოს წინაშე. „რუსკაბელ“-ში მხოლოდ ერთი დღის ხელისმოწერამ მოგვცა 82.650 მანეთი. ქარხნის მუშების, მოსამსახურეებისა და სპეციალისტების საერთო კრებამ დაადგინა—უზრუნველყონ ასპროცენტიანი მონაწილეობა ხელის მოწერაში.

სესხის რეალიზაციის კამპანია ხვდება მე-16 პარტყრილობის დამთავრების მომენტს. ყრილობის მიერ პარტიის ლენინური ც. კ-ისათვის მიცემული მთავარი დირექტივაა: უზრუნველყოთ შემდგომაც სოციალისტური მშენებლობის მებრძოლი სოციალისტური ტემპები, მივაღწიოთ ხუთწლედის ნამდვილად განხორციელებას ოთხ წელიწადში და განუ[illegible] კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისა მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე მთელს საბჭოთა კავშირში. სესხი „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში“ წარმოადგენს ამ დირექტივის შესრულებისათვის გადადგმულ მეტად სერიოზულ ნაბიჯს.

უმნიშვნელოვანეს ამოცანათაგან პირველ რიგში შესასრულებელია: შექმნა ნახშირისა და ლითონის მრეწველობის ახალი ბაზისა ურალ-კუზნეცის ბასეინის კომბინატის სახით, ტრანსპორტის რეკონსტრუქცია და განვითარება, სოფლის მეურნეობის შემდგომი და გარდამწყვეტი ტრაქტორიზაცია, საბჭოთა მეურნეობების ხუთწლედის სამ წელიწადში შესრულება, ფართო მოხმარების საგანთა დამამზადებელი დარგების გაძლიერება, რაც შეანელებს საქონლის ნაკლებობას (შიმშილს) და სხვ. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი, ლენინური პარტიისა და მისი ც. კ-ის ხელმძღვანელობით, მიუხედავად მემარჯვენე ოპორტუნისტებისა—ამ კულაკურ აგენტურისა პარტიის რიგებში,—ბოლშევიკური შეუპოვრობით ახერხებს ამ სიძნელეთა გადალახვას და აშენებს სოციალიზმს. ჩვენი ზრდის სიძნელენი „თვით შეიცავენ მათი დაძლევის შესაძლებლობას“ (სტალინი). მსოფლიო კაპიტალიზმის მტაცებელთა ეკონომიურ და ფინანსიურ ბლოკადას მუშათა კლასი უპასუხებს საკუთარი რესურსების მობილიზაციით, რათა უმოკლეს ვადაში „დაეწიოს და გაუსწროს“ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ტეხნიკურად და ეკონომიურად და ააშენოს სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში.

სესხი „ხუთწლედი ოთხ წელიწადში“, რომელიც გამოშვებულ იქნა ჩვენი ქვეყნის მოწინავე პროლეტარების ინიციატივით, და მისი სრული და დროული რეალიზაცია,—იმის მთავარი პირობაა, რომ ყრილობის დირექტივები შესრულებული იქნება.

სესხის რეალიზაციის კამპანია, რომელიც ჩატარდება მასების მიერ მე-16 პარტიულ ყრილობის დადგენილებათა განხილვასთან ერთად, უნდა ატარებდეს აშკარად გამოხატულ პოლიტიკურ ხასიათს. ჩვენი ქვეყნის მუშებისა და მშრომელების ასპროცენტიანი ხელმოწერა უნდა გამოხატავდეს პარტიის ხაზისათვის სრული მხარის დაჭერას სოციალისტური მშენებლობის იმ ტემპების გატარებაში, რომლებიც დასახა მე-16 პარტყრილობამ და რომლებიც გამომდინარეობენ ჩვენი საერთაშორისო და შინაური მდგომარეობიდან. პროლეტარები, კოლმეურნეთა და გლეხობის ღარიბი და საშუალო ფენები სესხზე „ხუთწლედი ოთხ წელიწადში“ ხელისმოწერით აშკარად და საქვეყნოდ ამტკიცებენ, რომ ისინი ურთიერთდგებიან ჩვენი პარტიის ხაზს და მხარს უჭერენ მის ც. კ-ს. სესხზე ხელისმოწერით ისინი ხმას მისცემენ ინდუსტრიალიზაციის „კუს“ ტემპების წინააღმდეგ და წინააღმდეგ მემარჯვენე ოპორტუნისტების ხაზისა კაპიტალიზმის რესტავრაციისათვის.

სესხის „ხუთწლედი ოთხ წელიწადში“ რეალიზაცია უნდა მოხდეს სრული ნებაყოფლობის საფუძველზე, სწრაფად და დარაზმულად. გადახვევები და დამახინჯებანი სესხის რეალიზაციის საქმეში ძირშივე უნდა აღიკვეთოს, თუმცა ამავე დროს გადაჭრით და მედგრად უნდა შევებრძოლოთ მემარჯვენე უკლონისტურ თვითდინების განწყობილებას სესხის რეალიზაციის საკითხებში. სესხის „ხუთწლედი ოთხ წელიწადში“ კამპანიის წარმოების დროს უნდა გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება და გამოიწვიონ ერთმანეთი ფაბრიკისა და ქარხნის მუშებმა, მსხვილმა საწარმოებმა, რაიონებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, კოლმეურნეობებმა და სხვ.

პარტიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და ცენტრალურმა და ადგილობრივმა პრესამ თვით ფაბრიკა-ქარხნების გაზეთებამდე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სესხის რეალიზაციის საკითხს. პროფკავშირები, რომლებმაც პირი იბრუნეს წარმოებისაკენ, სესხის გავრცელების საქმეშიაც მოწინავე რიგებში უნდა იდგნენ. სესხის რეალიზაცია ჩვენი ქვეყნის სამეურნეო გეგმის შემადგენელი ნაწილია, ამიტომ მის წარმატებაზე დიდად არის დამოკიდებული სამეურნეო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულება.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა სესხის გავრცელებას სოფლად. უკანასკნელი წლების განმავლობაში ამ მხრივ ერთგვარ გარდატეხას ჰქონდა ადგილი. ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხზე სოფლად ხელი მოაწერა 20-ჯერ უფრო მეტმა რიცხვმა, ვიდრე პირველ სესხზე. მან მოგვცა 200 მილიონ მანეთზე მეტი. ეს იმის აშკარა დამამტკიცებელია, რომ, მიუხედავად მემარჯვენეების ცილისწამებისა საშუალო გლეხთან „კავშირის გაწყვეტის“ შესახებ, პარტიისა და მუშათა კლასის როლი სოფლად ძლიერდება და მაგრდება პროლეტარიატის დიქტატურა. თუ ახალი სესხი სოფლად გულმოდგინედ იქნება გავრცელებული, აუცილებლად უფრო მნიშვნელოვან შედეგს მივიღებთ. საშუალო მასების მიერ სოციალიზმისაკენ აშკარად პირის მობრუნებამ მკვეთრად შესცვალა კლასების ძალთა განწყობილება სოფლად. ამის შედეგია, რომ კოლმეურნე უკვე საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე დასაყრდენია სოფლად. ეს გარემოება ფართო გზას უხსნის სოფლად სესხს „ხუთწლედი ოთხ წელიწადში“. საჭიროა გაჩაღდეს სოფლად უდიდესი პოლიტიკური კამპანია და სესხის რეალიზაცია დაუკავშირდეს საკოლმეურნეო მშენებლობის უდიდესი აქტიურ საკითხებს და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკას მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.

მიუხედავად ხელსაყრელი პოლიტიკური პირობებისა სესხის გასავრცელებლად სოფლად, დღემდე მეტად სუსტად გაშლილი პროპაგანდა საფრთხეს უქმნის სესხის რეალიზაციას. პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სესხის გავრცელებას ქალაქად და სოფლად. სესხის წინააღმდეგ მიმართულ კულაკურ აგიტაციას და მემარჯვენე ოპორტუნისტულ პრაქტიკას სასიკვდილო ლახვარი უნდა ჩაეცეს.

დიდი და პასუხსაგები ამოცანა ეკისრებათ საფინანსო და საკრედიტო ორგანოებს. გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს უმოქმედობას და ბიუროკრატიზმს. საფინანსო და საკრედიტო ორგანოები დამკვრელი ტემპით უნდა მუშაობდნენ. სესხის რეალიზაციის ხელშემწყობის კომბრიგადებისა და სოფლად კამპანიის ჩატარების დროისათვის თავიანთი თავი მობილიზაციის წესით გაწვეულებად უნდა გამოაცხადონ, სესხის რეალიზაცია უპირველესად სერიოზული შემოწმება იქნება იმისა, თუ რამდენად არიან მომზადებული საფინანსო და საკრედიტო ორგანოები პარტიის დირექტივის პრაქტიკული განხორციელებისათვის.

ახალი სესხის გამოშვება ხდება იმავე საფუძვლებზე, რა საფუძვლებზედაც მოხდა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გამოშვება. ობლიგაციის პატრონებს მოგებათა და საპროცენტო ანარიცხების (კუპონებით) სახით აქვთ შემოსავალი წლიური 10 პროცენტი. სესხის ვადა 10 წელიწადია—1930 წლის 1 დეკემბრიდან 1940 წლის 1 დეკემბრამდე. კაპიტალისტური ქვეყნების სესხებისაგან, რომელთაც ჩვეულებრივ მიზნობრივი სამხედრო დანიშნულება აქვთ, საბჭოთა სახელმწიფო სესხები განირჩევიან იმით, რომ მათ დანიშნულებას შეადგენს ფინანსების მიწოდება ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული სოციალისტური მშენებლობისათვის, რომ ისინი წარმოადგენენ სესხებს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის.

ახალმა სესხმა სოციალისტურ მშენებლობას უნდა მისცეს მრავალი ასი მილიონი მანეთი. სესხის სრული და დროული რეალიზაცია ერთხელ კიდევ დაანახვებს მემარჯვენე ოპორტუნისტებს და გაბოროტებულ საერთაშორისო ბურჟუაზიას—რა დაუშრეტელი წყაროები მოგვეპოვება ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის. იგი ერთხელ კიდევ ნათელყოფს მემარჯვენე ოპორტუნისტების აზრის უსუსურობას, იმ მემარჯვენე ოპორტუნისტების, რომლებიც ამტკიცებენ ჩვენ მიერ აღებული ინდუსტრიალური ტემპების აუტანლობას და რომლებიც ამით ფაქტურად ზურგს უმაგრებენ კაპიტალიზმის რესტავრაციის მომხრეებს.

ახალი სესხის გავრცელებასთან ერთად მოხდება ინდუსტრიალიზაციის პირველი და მეორე სესხებისა და გლეხური მეურნეობის განმტკიცების სესხის გადაცვლა სესხის „ხუთწლედი—ოთხ წლიდში“ ობლიგაციებზე. ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ობლიგაციების გადაცვლა არ ხდება, ისინი კვლავ რჩებიან მიმოქცევაში, რადგან მათი გამოშვების ისტორია არ განსხვავდება მესამე სესხისაგან, ისინი დარჩებიან და ჩაითვლებიან სესხის „ოთხწლედი—ხუთ წელიწადში“ ობლიგაციებად.

ობლიგაციების გადაცვლას არ მოჰყვება არავითარი დანაკლისი მშრომელთათვის. მას ერთად-ერთი დანიშნულება აქვს—შეამციროს სახელმწიფოს ხარჯები, დაკავშირებული მრავალ სხვადასხვა სესხის ტირაჟებთან და გაუადვილოს მშრომელებს თვალყურის დევნება მოგებებზე. დღემდე მშრომელებს არ მოუთხოვნიათ 45 მილიონი მანეთის მოგება და კუპონებით კუთვნილი პროცენტები.

მუშათა კლასის უდიდესი რიცხობრივი ზრდა საბჭოთა კავშირში ამ ბოლო დროს, უმუშევრობის გადაჭრით შემცირება, მუშათა კლასის მატერიალურ-ყოფაცხოვრებითი პირობების გაუმჯობესება, მუშათა კლასის და გლეხობის ღარიბ-საშუალო ფენების წილის გადიდება ნაციონალურ შემოსავალში,—ყველაფერი ეს ნათელყოფს სესხის სწრაფი რეალიზაციის სრულ და რეალურ შესაძლებლობას. ჩვენი ქვეყნის მშრომელები სრული ნდობით ეპყრობიან საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებულ ყოველგვარ საქმეს, იმ საბჭოთა ხელისუფლების, რომელიც „დღეს მსოფლიოში არსებულ ხელისუფლებიდან ყველაზე უფრო მტკიცე ხელისუფლებაა“. (სტალინი).

საბჭოთა კავშირში არ უნდა დარჩეს არც ერთი მშრომელი, რომელიც ნებაყოფლობით არ მისცემს სახელმწიფოს სესხად თავის სახსრებს.

ვიბრძოლოთ ბოლშევიკური ტემპებისათვის სესხის „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში“ გასავრცელებლად!

ვიბრძოლოთ სოციალიზმის გამარჯვებისათვის ჩვენს ქვეყანაში!

„პრავდა“, 15 ივლისი.

ეგვიპტეში იწყება ინგლისთან თანამშრომლობაზე უარის თქმის კამპანია

გლეხთა შეიარაღებული გამოსვლები ინდოეთში.—ბენგალიის ოლქი აჯანყების ცეცხლშია გახვეული

კოლონიების ბრძოლა

ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ

გულუბრყვილო რეზოლიუცია

ლონდონი, 14 ივლისი. დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ნაციონალურმა საბჭომ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სთხოვს მაკდონალდის მთავრობას გაანთავისუფლოს ყველა პოლიტიკური პატიმრები ინდოეთში და დაიწყოს მოლაპარაკება ინდოეთის წარმომადგენლებთან ინდოეთისათვის პასუხისმგებელი მთავრობის მიცემის საფუძველზე.

რეიტერი ბენგალიაში მომხდარი ამბების შესახებ

ლონდონი, 14 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: მიმესინგში (ბენგალია) მომხდარი მღელვარების დროს მოკლეს 9 ინდოელი. ცეცხლის წაკიდება და თავდასხმა კვლავ ფართოდ გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ სასტიკ იარაღს მიმართა. მთელ ოლქში მღელვარებაა. დადიან პოლიციის შეიარაღებული პატრულები (ადს).

ინდოეთის მაჰმადიანობა წინააღმდეგია საიმონის კომისიის წინადადებების

ლონდონი, 14 ივლისი. სრულიად ინდოეთის ლიგის კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია იმის შესახებ, რომ მაჰმადიანთათვის საიმონის კომისიის მოხსენება და წინადადებანი ყოვლად მიუღებელია (ადს).

ქაბული, 14 ივლისი. ბომბეის პროვინციის კაირის ოლქში დაიწყო შეიარაღებული გლეხების გამოსვლა. ნამგლებითა და თოფებით შეიარაღებული გლეხთა რაზმები გამოდიან მოხელეების, მემამულეებისა და კულაკების წინააღმდეგ (ადს).

„ეგვიპტე რევოლიუციის წინ“

ლონდონი, 15 ივლისი. კონსერვატიული „დეილი მეილ“ სწერს, რომ „ეგვიპტე რევოლიუციის წინ იმყოფება“ და რომ ვაფდის (ნაციონალისტთა) პარტიამ გადასწყვიტა ხელი მოუჭიროს ფუადის მეფობას. 21 ივლის, ვაფდი იწყებს მთავრობასთან თანამშრომლობაზე უარის თქმის კამპანიას. ეგვიპტის ნაციონალისტების კამპანია ბევრად წააგავს ინდოეთის ნაციონალისტების კამპანიას და ითვალისწინებს ინგლისის ყველა საქონლის ბოიკოტს. კონსერვატიული პრესა მთავრობისაგან მოითხოვს ენერგიულ ზომებს ვაფდისტების წინააღმდეგ (ადს).

ეკონომიური კრიზისი შეერთ. შტატებში

„სასაცილო მეთოდი“

ნიუ-იორკი, 14 ივლისი. განვლილ კვირაში პურის, ბამბის, სორგის, აბრეშუმის, გაზოლინის, რკინისა და რეზინის ფასებმა დაიწია. ცხოვრება მოდუნებულია და შუა ზაფხული რამდენადმე გაუარესებით იწყება.

„ანალისტ“-ი ილაშქრებს მთავრობის ანგარიშის წინააღმდეგ უმუშევრობის შესახებ და უწოდებს მას „უმუშევრობის ციფრების მიშენებლობის დამალვის სასაცილო მეთოდს“. (ადს).

ნიუ-იორკი, 14 ივლისი. რკინიგზათა საზოგადოებამ „ნიუ-იორკ სენტრალ“-მა 10 ივლისიდან ორი კვირით დახურა რკინის გზის სახელოსნოები მთელს ხაზზე, რაც გამოიწვევს 60 ათასი მუშის უმუშევრად დატოვებას (ადს).

ნიუ-იორკი, 14 ივლისი. 54 რკინის გზათა საზოგადოების საერთო შემოსავალმა მაისში, წარსული წლის მაისთან შედარებით, 33 პროცენტით დაიკლო (ადს).

ნიუ-იორკი, 14 ივლისი. ხორბლეულის ბაზრის კრიზისი გრძელდება. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მოუწოდებს ფერმერებს—25 პროცენტით შეამცირონ დასათესი ფართობი. პურის ფასი ისე დაეცა, როგორც არ დაცემულა უკანასკნელი 17 წლის განმავლობაში (ადს).

ხუნხუზები თავს დაესხნენ

საბჭოთა კავშირის საკონსულოს მდივანს ციციკარში

ტოკიო, 14 ივლისი. როგორც ხარბინიდან იუწყებიან, 13 ივლისს საბჭოთა კავშირის საკონსულოს მდივანს ციციკარში ზიმინს და საკონსულოს შოფერს კურიცინს, რომლებიც ავტომობილით მიდიოდნენ სადგურ ციციკარში (სადგური 80 კილომეტრით არის დაშორებული ქალაქს), თავს დაესხნენ ხუნხუზები. ორივე გაძარცვეს. კურიცინი ფეხში დაჭრეს და ამჟამად საავადმყოფოშია. ციციკარის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ინახულეს საკონსულო, მწუხარება გამოსთქვეს ამ შემთხვევის გამო და განაცხადეს, რომ თავდასხმის ადგილზე იგზავნება ჯარი ბანდიტების დასაჭერად. ადგილობრივ წრეებში ყურადღებას აქცევენ იმას, რომ საკონსულოს თანამშრომლებზე თავდასხმა ხუნხუზების გამოსვლის პირველი შემთხვევაა ამ რაიონში და ეს საფუძვლიან ეჭვს იწვევს, რომ თავდასხმა მოაწყეს თეთრგვარდიელებმა, რომლებიც ძველებურად აქტიურად მუშაობენ ჩრდილოეთ მანჯურიაში. (ადს).

„საბჭ. მთავრობა სასწაულს ახდენს მრეწველობაში“

ნიუ-იორკი, 14 ივლისი. ნიუ-იორკში მოსულმა არქიტექტორმა მორიც კანმა, რომელიც სტალინგრადში მუშაობდა, ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა საგრძნობლად აუარესებს თავის პოზიციებს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში იმით, რომ არ სურს განაახლოს დიპლომატიური ურთიერთობა. კანი შეეხო მუშაობას სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანაზე. მან სთქვა, რომ „საბჭოთა მთავრობა მრეწველობაში სასწაულებს ახდენს“-ო. (ადს).

მარცვლეულის ფასების დაცემა რუმინეთში

ვენა, 14 ივლისი. მარცვლეულის ფასის დაცემა რუმინეთში კატასტროფიულად გრძელდება. პურის ფასი იმდენად დაეცა, რომ ტომარა უფრო ძვირი ღირს, ვიდრე შიგ მოთავსებული მარცვალი. პრესა აღნიშნავს, რომ არსებულ პირობებში გლეხი პურის გაყიდვისას ჰკარგავს, მეტი რომ არა ვთქვათ, თვითღირებულების 30 პროცენტს (ადს).

ანტიფაშისტური აეროპლანი მილანზე

ბერლინი, 14 ივლისი. მილანში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ანტიფაშისტური აეროპლანის ფრენამ მილანის თავზე, იმ ქალაქის თავზე, სადაც ორი ესკადრილიაა. 200 მეტრის სიმაღლიდან ჩამოყრილი მოწოდებები მოუწოდებენ მუშებს ფაშიზმთან საბრძოლო ბრძოლისაკენ და იუწყებიან, რომ იტალიის ბევრ ქალაქებში არსებობენ საიდუმლო კომიტეტი, რომლებიც ამზადებენ შეიარაღებულ აჯანყებას ფაშიზმის წინააღმდეგ. ფაშისტები და პოლიციელები რამდენიმე საათი დარბოდნენ და აგროვებდნენ მოწოდების ფურცლებს. მოხდა შეტაკებები ხალხსა და ფაშისტებს შორის. ბევრი დააპატიმრეს იმათგანი, ვინც არ მოისურვა მოწოდების გადაცემა. ქალაქში ყველა ამ მოწოდებაზე ლაპარაკობს (ადს).

პარიზი, 14 ივლისი. როგორც ფრანგული გაზეთები იუწყებიან, მილანზე გადაფრენილი აეროპლანი გამოფრინდა პარიზის აეროსადგურიდან. აეროპლანს მართავდა ფრანგი პილოტი ბრამანი და იტალიელი ანტიფაშისტი ბასანეცი. მათ შვეიცარიიდან წაიღეს პროკლამაციები, საიდანაც ბასანეცი პირდაპირ მილანისაკენ გაფრინდა. შვეიცარიიდან მილანისაკენ უკან დაბრუნებისას აეროპლანმა ავარია განიცადა (ადს).

ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ჩინეთში

ჯარისკაცები წითლებს შეუერთდნენ

შანხაი, 14 ივლისი. აჯანყდა ანხუეის არმიის მე-15 კორპუსი, რომელიც წითელი ჯარის წინააღმდეგ გაიგზავნა. ერთი რაზმი ჯარისკაცები წითლებს შეუერთდნენ (ადს).

გლეხთა მოძრაობის გაძლიერება

შანხაი, 14 ივლისი. ძლიერდება გლეხთა კავშირების მოქმედება გუანდუნის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში და ამ მაზრებში, რომლებიც აღმოსავლეთის მდინარეს აკრავენ. ძიოუჯოუს და მეიძიანის მაზრებში გლეხთა კავშირებში ირიცხება 800.000 გლეხი. ხაიფინის საბჭო აერთიანებს 200.000 გლეხს. გუანდუნის რაიონის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში გლეხი ქალები თოფებით და ხელის ყუმბარებით იარაღდებიან ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად. ძიანსის პროვინციის მჭიდროდ დასახლებულ სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის გლეხობა კომუნისტურ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს. იქ გლეხთა კავშირებში ირიცხება 240.000 გლეხი. სამხრეთის პიონერთა რაზმებში 100.000 ბავში ითვლება. მდინარე განის რაიონში წითელმა არმიამ ალყა შემოარტყა ნანკინის მთავრობის ადგილობრივ ჯარს. მდ. ფანზე სამხედრო დემონსტრაციაში, წითელი არმიის გარდა, მონაწილეობას იღებდა რამდენიმე ათი ათასი გლეხი (ადს).

ბალკანეთის სახელმწიფოთა კონფერენცია

ბერლინი, 14 ივლისი. შემოდგომაზე ათინაში მოხდება ბალკანეთის სახელმწიფოების კონფერენცია. კონფერენცია განიხილავს „ბალკანეთის ლოკარნოს“ საკითხებს და ზოგად პრინციპებს ბალკანეთის მთლიანობის შესაქმნელად (ადს).

კოლმეურნეობათა მიერ ჩასაბარებელ პროდუქციის ნორმა

მოსკოვი, 15 ივლისი. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაადგინა: სახელმწიფოსათვის კოლმეურნეობათა მიერ მარცვლეული პროდუქციის ჩაბარების ნორმად დაწესდეს ძირითად მარცვლეულ რაიონებში საერთო მოსავლის ერთი მეოთხედიდან ერთ მესამედამდე იმ ვარაუდით, რომ გამოსანგარიშებელ საფუძვლად დაიდება რაიონის საშუალო მოსავალი. არამარცვლეულ რაიონების კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ მარცვლის საერთო მოსავლის არა უმეტეს ერთი მერვედისა. ამასთან დადგენილებაში აღნიშნულია, რომ იმ კოლმეურნეობათათვის, რომელთა მოსავალიც საშუალოს აღემატება, ჩაბარების ნორმად უნდა დაწესდეს მოსავლის ერთ მესამედზე მეტი, ხოლო იმ რაიონებსა და კოლმეურნეობებში, სადაც მოსავალი საშუალოზე დაბალია, ჩაბარების ნორმა სათანადოდ უნდა იქნას შემცირებული. ამიერკავკასიისათვის პურის ჩაბარების ნორმად დაწესებულია 8 პროცენტი (ადს).

ნავთის მრეწველობის პროგრამა შესრულებულია გადაჭარბებით

მოსკოვი, 15 ივლისი. 9 თვის განმავლობაში ძირითადმა ნავთის ტრესტებმა — აზნავთმა, გროზნავთმა, ემბანავთმა და ურალნავთმა — პროგრამა შეასრულეს 101,1 პროც., საბურღავი სამუშაოები შესრულებულ იქნა მხოლოდ 96 პროცენტით. საერთოდ, პროგრამა შესრულებულია 101,1 პროცენტის გადაჭარბებით (ადს).

ჭარხლის მოსავალი შარშანდელზე 2-ნახევარჯერ მეტია

მოსკოვი, 15 ივლისი. ჭარხლის რაიონების წარმომადგენელთა თათბირმა, რომელიც საკავშირო მიწსახკომთან შესდგა, აღნიშნა, რომ ჭარხლის მოსავალი მიმდინარე წელს 2 ნახევარჯერ მეტია, ვიდრე შარშან იყო (ადს).

ბუდუ მდივანის განცხადება

საკავშირო კომპარტიის (ბ) ც-კს.

მოსკოვი, 15 ივლისი. „ამით ვაცხადებ, რომ ვუერთებ ჩემს ხელმოწერას ამხ. სმირნოვისა და ბოგუსლავსკის განცხადებას, რომელსაც ვიზიარებ სავსებით და მთლიანად. ბუდუ მდივანი“.

1930 წლის 14 ივლისი.

რუსთაველის თეატრი ხარკოვში

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ხარკოვი, 15 ივლისი. ხარკოვის მუშათა საზოგადოებრიობა და კულტურულ-განმანათლებელი ორგანიზაციები იშვიათი თანაგრძნობით შეხვდნენ უკრაინაში საგასტროლოდ ჩამოსულ რუსთაველის თეატრს.

თეატრის ჩამოსვლამდე ხარკოვის ყველა გაზეთებმა მოათავსეს წერილები და მიმოხილვები ქართული ხელოვნებისა და, კერძოდ, ქართული თეატრის შესახებ. პრესა ერთხმად აღნიშნავს, რომ რუსთაველის თეატრმა დიდი გამარჯვება მოიპოვა საკავშირო ოლიმპიადაზე.

13 ივლისს დილის პირველ საათზე რუსთაველის თეატრი მთელი შემადგენლობით ჩამოვიდა ხარკოვში. სტუმრებს შეხვდნენ დროშებით და მუსიკით. სადგურზე თავი მოიყარა დიდძალ ხალხმა. სახელდახელოთ გაიმართა მიტინგი. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ რუსთაველის თეატრი მოკლე დროის განმავლობაში გადაიქცა მსოფლიო მნიშვნელობის თეატრად.

რუსთაველის თეატრის გასტროლების პრემიერა იყიდა უკრაინის სახალხო განათლების კომისარიატმა მუშათა ორგანიზაციებისათვის და ლიტერატურისა და თეატრის მუშაკებისათვის.

„ხუთწლიანი გეგმა—ოთხ წელიწადში“

საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის მიმართვა

საბჭოთა კავშირის მთელ მშრომელ მოსახლეობას

მოსკოვი, 15 ივლისი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა მუშებისა და მშრომელი გლეხობის ღონისძიებათა მეოხებით დიდი წარმატებით ახორციელებს გარდაქმნას სოციალისტურ საფუძვლებზე. შენდებიან და უკვე მუშაობას იწყებენ ახალი უდიდესი ფაბრიკა-ქარხნები, სოფლის მეურნეობა გადადის გლეხისათვის ერთად-ერთ ხელსაყრელ კოლექტიურ მიწადსარგებლობაზე. კოლმეურნეობანი გლეხობის უნაყოფო ინდივიდუალურ შრომას სცვლიან ნაყოფიერი კოლექტიური შრომით. მთელი ეს დიდი სოციალისტური მშენებლობა ხორციელდება მთავრობის მიერ წინასწარ დამტკიცებული სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმით.

მუშებისა და მშრომელი გლეხობის აღფრთოვანებამ და გამძაფრებულმა შრომამ შესაძლებელი გახადა ამ ხუთწლიანი გეგმის განხორციელება უფრო მოკლე ვადაში—ოთხ წელიწადში. მაგრამ ამ ძირითადი ამოცანის წარმატებით გადაჭრა, რაზედაც დამოკიდებულია მშრომელი მასების კეთილდღეობა, შესაძლებელია მატერიალური და ფულადი სახსრების, ნებისყოფისა და ენერგიის მხოლოდ შემდგომი დაძაბვით. ჩვენს სამრეწველო მშენებლობაში და სოციალისტური გარდაქმნის გზაზე დამდგარ სოფლის მეურნეობაში უკვე დაბანდებულია მრავალი მილიარდი როგორც სახელმწიფო ბიუჯეტით, ისე გლეხების სახსრებით, გლეხები ყოველნაირად უწყობენ ხელს ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას და თავიანთ დანაზოგ თანხებს ათავსებენ იმ სესხებში, რომლებიც მთავრობამ ასეთი წარმატებით გამოუშვა ამ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში.

ეხლა მთავრობა უშვებს ახალ სესხს „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში“, რომელმაც ახალი დამატებითი სახსრები უნდა მოგვცეს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში წარმატებით დამთავრებისათვის.

ეს სესხი მთავრობამ გამოუშვა მუშათა კლასის მოწინავე რაზმების მოთხოვნით. ამ სესხმა ხელი უნდა შეგვიწყოს უფრო დაჩქარებით დავამთავროთ ჩვენი დიდი სოციალისტური მშენებლობა და უფრო მალე დავაკმაყოფილოთ მუშებისა და მშრომელი გლეხების აუცილებელი მოთხოვნილებანი.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმი დარწმუნებულია, რომ ყოველი მუშა და ყოველი მშრომელი გლეხი ისევე, როგორც ტეხნიკისა და მეცნიერების მუშაკები, გაიგებს თუ რამდენად საჭიროა ეს სესხი ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის, ამიტომ სესხის „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში“ უზრუნველყოფა მაღლობელი საქმე უნდა იყოს თვითეული მშრომელისათვის.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმს ეჭვი არ შეაქვს, რომ მშრომელნი მხურვალედ დაუჭერენ მხარს ახალ სესხს, წინანდელი სესხების მაგალითისამებრ, თავიანთ დანაზოგ თანხებს მისცემენ სახელმწიფოს და ხელს შეუწყობენ ხუთწლიანი გეგმის უმოკლეს ვადაში შესრულებას.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმს ეჭვი არ შეაქვს აგრეთვე იმაში, რომ საბჭოთა საზოგადოებრიობა და პრესა უაღრესად აქტიურ დახმარებას გაუწევენ ახალი სესხის განაწილების კამპანიის ჩატარებას და მოაწყობენ სოციალისტურ შეჯიბრებას საწარმოებს, კოლმეურნეობებს, დაწესებულებებს, სოფლებსა და რაიონებს შორის.

არ უნდა იყოს არც ერთი მშრომელი, მუშა, გლეხი და მოსამსახურე, რომელმაც არ შეიძინოს სესხის „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში“ ობლიგაცია.

მშრომელი მასების აქტიური მონაწილეობა სესხის „ხუთწლედი,—ოთხ წელიწადში“ განაწილებაში იქნება საუკეთესო პასუხი მუშათა, მშრომელთა და გლეხთა მტრებისათვის, იმ მტრებისათვის, რომელთაც სურთ შეაფერხონ ხუთწლიანი გეგმის შესრულება და ხელი შეუშალონ დიად სოციალისტურ მშენებლობას.

საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარე
კალინინი.

საბჭოთა კავშირის ცაკის მდივანი
ენუქიძე.

ახალი სესხი გამოშვებული იქნება 10 წ. ვადით

მოსკოვი, 15 ივლისი. სესხი „ხუთწლედი —ოთხ წელიწადში“ გამოშვებული იქნება 10 წლის ვადით, 1930 წლის დეკემბრიდან 1940 წლის 1 დეკემბრამდე. ახალი სესხით მიღებული სახსრების 10 პროცენტი გადაიდება ადგილობრივი მშენებლობისათვის. სესხი შესდგება ორი ნაწილისაგან—პროცენტიან-მომგებიანი და უპროცენტო-მომგებიანი. პროცენტიან მომგებიანი გამოშვებით ობლიგაციის პატრონი მიიღებს 6 წლიურ პროცენტს. მთელი ობლიგაცია ღირს 50 მანეთად, მოგება არის 200 მანეთიანი, 1.000 მანეთიანი და 5.000 მანეთიანი. მოგების შანსები დიდია: პროცენტიან-მომგებიანი გამოშვებით 10 წლის განმავლობაში ერთი მოგება მოდის 12 ობლიგაციაზე, ხოლო უპროცენტო-მომგებიანი გამოშვებით—ერთი მოგება 5 ობლიგაციაზე. სულ მოხდება 38 ტირაჟი. ობლიგაციების გაყიდვა და დაგირავება შეიძლება სახელმწიფო კრედიტის ხელშემწყობი კომისიების ნებართვით. ობლიგაციების გაყიდვა ხდება ინდივიდუალური ხელის მოწერის წესით, შეძენილი ობლიგაციების ღირებულების ნაწილ-ნაწილად გადახდა შეიძლება 1931 წლის 1 იანვრამდე; ხოლო კოლექტიური ხელმოწერით ნაწილ-ნაწილად გადახდა შეიძლება 1931 წლის 1 ივლისამდე. იმ პირებს, რომლებიც საარჩევნო უფლებებით სარგებლობენ, შეუძლიათ იყიდონ სესხი კოლექტიური ხელმოწერით და ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ 10 თვე-ნახევრის განმავლობაში. კოლექტიურ ხელმოწერაში ნაწილ-ნაწილ გადახდით მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სოფლის საწარმოებისა და დაწესებულებების მუშებსა და მოსამსახურეებს, კოლმეურნეებს და კოოპერატივებისა და არტელების წევრებს, რომელთა ფულადი ანგარიში ძლევა ამის შესაძლებლობას, რომ ობლიგაციის ღირებულების გასასტუმრებლად ფული დაქვითებულ იქნას ნაწილ-ნაწილ. პირველი გადახდა უნდა მოხდეს არა უგვიანეს 1930 წლის 1 ნოემბრისა. უკანასკნელი გადასახდელი თანხა კოლმეურნეებმა მარცვლეული მეურნეობის რაიონებში უნდა შეიტანონ არა უგვიანეს 1 მარტისა, ხოლო ტეხნიკურ კულტურათა რაიონებში—არა უგვიანეს 1931 წლის 1 მაისისა. სოფლის საწარმოებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებს კოლექტიური ხელის მოწერის დროს შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ ობლიგაციების ღირებულება 1931 წლის 1 აპრილამდე. ამასთან პირველი გადასახდელი თანხა, შეტანილი უნდა იქნას არა უგვიანეს 1930 წლის 1 ნოემბრისა.

ინდივიდუალურ მეურნე გლეხებს შეუძლიათ შეიძინონ ობლიგაციები და მათი ღირებულება გადაიხადონ ერთდროულად ან რამდენსამე ვადაში. ნაწილ-ნაწილად გადახდის დროს თანხის შეტანისას მას ეძლევა ობლიგაცია შეტანილი თანხის ღირებულების მიხედვით. ინდუსტრიალიზაციის ორი სესხის ობლიგაციების და გლეხური მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციების გადაცვლა სესხის „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში“ ობლიგაციებზე მოხდება ა. წ. 15 ივლისიდან 1931 წლის პირველ იანვრამდე. ამის შემდეგ გაუცვლელი სესხების ობლიგაციებზე შეწყდება პროცენტების დარიცხვა და მოგების გაცემა. ამ ობლიგაციების გადაცვლის ვადა იქნება 1934 წლის 1 იანვრამდე, რის შემდეგაც ობლიგაციის პატრონი ჰკარგავს ობლიგაციის ღირებულების მიღების უფლებას. ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ობლიგაციები არ გადაიცვლება და ჩაითვლება სესხის „ხუთწლედი—ოთხ, წელიწადში“ ობლიგაციებად (ადს).

სესხის რეალიზაციის წესი

მოსკოვი, 15 ივლისი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა დაადგინა — შეუდგეს სესხის „ხუთწლედი — ოთხ წელიწადში“ გავრცელებას 1930 წლის 15 ივლისიდან იმ ვარაუდით, რომ ქალაქად სესხის რეალიზაცია დამთავრდეს 1930 წლის ოქტომბრისათვის, ხოლო სოფლად 1930 წლის ნოემბრისათვის.

სესხის რეალიზაცია უნდა მოხდეს ნებაყოფლობის საფუძველზე ფართო საზოგადოებრივი და პოლიტიკური კამპანიის ჩატარების წესით. ინდუსტრიალიზაციის პირველი და მეორე სესხებისა და გლეხური მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციების გადაცვლის დროს მოხდება პროცენტის გაცემის შემოწმება. გადაწყვეტილია გამოცემულ იქნას მოწოდება ამხანაგ — კოლმეურნეებისადმი, რომ ისინი პირადი მაგალითით გახდნენ სესხის კამპანიის დამწყებებად და ორგანიზატორებად, რომ მათ ჩააბან ამ საქმეში კოლმეურნეობაში შეუსვლელი გლეხობის მასა. სესხის კამპანიის წარმოების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გამოყენებას ფაბრიკა-ქარხნებსა და კოლმეურნეობებსა, რაიონებსა და სოფლებს შორის.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა—გამოშვებულ იქნას 1930 წელს გასავრცელებლად 3.117 თანრიგის სესხი „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში“, სულ 80 მილიონ მანეთისა (ადს).

17 ივლისს, საღ. 7 საათზე, ხელოვნების სასახლეში, მაჩაბლის ქ. № 13
(ყოფ. სერგიევის)

გაიხსნება

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სრულიად საქართველოს მე-7 ყრილობა

დღის წესრიგი:

1. მოხსენება პრესის ამოცანების შესახებ რეკონსტრუქციის პერიოდში (მომხსენებელი ამხ. ს. მამულია), 2. საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ბიუროს მოხსენება (მომხსენებელი ამხ. კასლუხინი), 3. ა.კ.ს.ფ.ს.რ. ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის მოხსენება (მომხსენებელი ამხ. ერენტრაუტი), 4. საქ. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ბიუროს არჩევნები, 5. დელეგატების არჩევა სექციის საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნად, 6. მიმდინარე საქმეები.

მოწვეულნი არიან ბეჭდვითი სიტყვის ყველა მუშები და მუშკორები.

საქ. ბეჭდვ. სიტყვის მუშაკთა სექციის ბიურო.

პროფინტერნის ათი წლის თავის გამო

რამ გამოიწვია პროფკავშირების წითელი ინტერნაციონალის წარმოშობა? ამის მიზეზს წარმოადგენდა ის გაკოტრება, რომელიც ომის პირველივე დღეებიდან განიცადეს სოციალისტურმა და პროფკავშირების ინტერნაციონალებმა და აგრეთვე ე. წ. ოფიციალური სოციალიზმის სრული გაკოტრება. სამხედრო იდეოლოგიამ სოციალდემოკრატიისა და რეფორმისტულ პროფკავშირების სამხედრო პოლიტიკამ და სხვ. გამოიწვია ომამდე არსებულ ინტერნაციონალების დანგრევა და პოლიტიკური დიფერენციაცია მუშათა კლასის ბანაკში. ძველ სოციალდემოკრატიულ პარტიებში და ძველ პროფკავშირებში წარმოიშვა პატარა უჯრედები და ჯგუფები, რომლებმაც დაიკავეს ანტი-სამხედრო ინტერნაციონალისტური პოზიცია და რომლებიც გამოდიოდნენ კლასობრივი თანამშრომლობის წინააღმდეგ, კლასობრივი ბრძოლის გაგრძელებისათვის ომის დროსაც. ეს ჯგუფები, რომლებიც მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობდნენ, გადაიქცნენ ინტერნაციონალისტური განწყობილებების მიმზიდველის ცენტრებათ მუშათა კლასში. ყველა ეს ძალები, რომლებიც ომის განმავლობაში იქმნებოდნენ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლის გარშემო, ყველა ეს ჯგუფები, რომლებიც ომის პერიოდში ყალიბდებოდნენ ბრძოლაში სამოქალაქო ზავის წინააღმდეგ, ბრძოლაში იმპერიალისტური ომის გადასაქცევად სამოქალაქო ომად, გახდნენ კომინტერნის შექმნის საფუძვლათ. ესავე ჯგუფები, შემდეგ ორგანიზაციები, პარტიები, პროფკავშირების ნაწილები და მთელი პროფკავშირები იყვნენ პროფკავშირების წითელი ინტერნაციონალის ინიციატორები და ორგანიზატორები.

პროფკავშირთა წითელ ინტერნაციონალის წარმოშობის მეორე მიზეზი—ეს არის ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვება რუსეთში და საბჭოთა კომუნისტური პროფმოძრაობის გამოსვლა ისტორიულ სარბიელზე, წარმოშობა პროფკავშირების ახალი ტიპის, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ბრძოლაში ძალაუფლებისათვის, ბრძოლაში მთელი იმპერიალისტური მსოფლიოს წინააღმდეგ. ამას არ შეეძლო არ გამხდარიყო საბაბათ ჯერ იდეურად და შემდეგ ორგანიზაციულად ნამდვილად კლასობრივ პროფმოძრაობის ძალების შეკრებისათვის რევოლიუციონური პლატფორმისა და რევოლიუციონურ-კლასობრივ მოთხოვნილებების გარშემო.

პროფინტერნის წარმოშობის მესამე მიზეზი იყო ის, რომ პროფკავშირთა ინტერნაციონალი, რომლის აღდგენა დაიწყო უშუალოდ ომის შემდეგ (1919 წლის ივლისი) ამსტერდამში შემდგარ კონგრესზე და რომელიც ცნობილია პროფკავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალის სახელწოდებით, აღმოჩნდა ერთა ლიგის დანამატი, მისი სამუშაო ორგანო. ამსტერდამის ინტერნაციონალი თავიდანვე წარმოადგენდა ჯამს ნაციონალური სექციებისას, რომლებიდანაც თვითეული ზრუნავდა თავის ბურჟუაზიის ინტერესებზე. თუ ომის პერიოდში კლასობრივი თანამშრომლობა თავის ნაციონალურ ბურჟუაზიასთან მართლდებოდა სამშობლოს ხსნის აუცილებლობით, ომის შემდეგ ის საბაბიც გაქრა. ომის შემდეგ საერთაშორისო სოციალდემოკრატია გამოვიდა უკვე ახალი თეორიებით; მან თავი გაიტანა კლასობრივი თანამშრომლობის დაფარვას სოციალისტური ფრაზეოლოგიით. პროფკავშირთა ახალი ინტერნაციონალი თავიდანვე იყო ერთა ლიგის განყოფილება და ამას არ შეეძლო მისგან არ ჩამოეშორებინა მუშათა მნიშვნელოვანი ჯგუფები, რომლებიც შორდებოდნენ კლასობრივ თანამშრომლობას და უნდა წასულიყვნენ კლასობრივი ბრძოლის ხაზით, უნდა აელოთ მოსკოვის ორიენტაცია.

დაბოლოს წითელი ინტერნაციონალის შექმნის უშუალო მიზეზი იყო 1919 წლის მარტში კომინტერნის შექმნა, კომპარტიებისა და ჯგუფების გაერთიანება ბოლშევიზმის დროშის ქვეშ. აგრეთვე პროფკავშირული ცენტრის შექმნის აუცილებლობა ყველა რევოლიუციონური ძალების გასაერთიანებლად მსოფლიო პროფმოძრაობის შიგნით, ნათელი შეიქნა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის საარსებო მოთხოვნილებათ.

ფორმალურ საბაბათ პროფინტერნის წარმოშობისათვის გახდა მუშათა რამდენიმე დელეგაციის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში 1920 წელს და ამ დელეგაციების მოლაპარაკება საბჭოთა პროფკავშირებთან და კომინტერნთან. საბჭოთა რუსეთში მაშინ ჩამოვიდნენ ინგლისის, იტალიის, საფრანგეთის, სამხრეთ-სლავიის, ბულგარეთის და ესპანეთის პროფკავშირთა დელეგაციები. ესენი იყვნენ პირველი დელეგაციები, რომლებმაც კომინტერნის პირველი კონგრესის შემდეგ გაარღვიეს მავთულის ხლართები საბჭოთა კავშირის გარშემო. იმისათვის, რომ ნათელი შეიქნეს, თუ რამდენად გახურებული იყო ნიადაგი ამ პერიოდში, საკმაოა ითქვას, რომ ამ დელეგატებს შორის, რომლებიც მეტად „მემარცხენე“ სიტყვებს ამბობდნენ, იყვნენ ისეთი ვაჟბატონები, როგორიც დ,არაგონა, პერსელი და მთელი რიგი სხვ. დ,არაგონა ამჟამად ფაშიზმის რიგებშია, პერსელი — სოციალ-ფაშიზმის რიგებში, ყველა დანარჩენები კი — პროფინტერნისა და ოქტომბრის რევოლიუციის მოწინააღმდეგეების ბანაკში. მაგრამ იმ პერიოდში ეს „მემარცხენე“ ელემენტები საბჭოთა საზღვარზე გადმოსვლის შემდეგ გრძნობდნენ რაღაც წმინდა წესის მაგვარს და მოსკოვში ჩასვლისას იწყებდნენ რევოლიუციონური სიტყვების წარმოთქმას. მართალია მოსკოვიდან გამგზავრებისთანავე მათში ქრებოდა რევოლიუციონური ცეცხლი და საბჭოთა ტერიტორიიდან დაშორებასთან ერთად მათ უბრუნდებოდათ რეფორმიზმი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში იმ პერიოდში იყო მრავალი ყოფილი და მომავალი რეფორმისტები, რომლებიც მზად იყვნენ ხელი მოეწერათ მეტად რევოლიუციონურ დეკლარაციებზე, მოეცათ ყოველგვარი დაპირებები, რომელთაც ისინი, რასაკვირველია, აშკარად არ ასრულებდნენ.

პირველი თათბირი, რომელიც ასე ვსთქვათ, პროფინტერნის ორგანიზაციის „შესავალს“ წარმოადგენდა, გაიმართა 1920 წლის 16 ივნისს, საბჭოთა პროფკავშირებსა და იტალიისა და ინგლისის პროფკავშირების წარმომადგენლებს შორის. ამ თათბირმა განიხილა საკითხი, საჭიროა თუ არა პროფმოძრაობის მსოფლიო ცენტრის შექმნა, და თუ საჭიროა, როგორი უნდა იყოს ეს ცენტრი. საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენლები იმ თვალსაზრისს იცავდნენ, რომ რევოლიუციონური პროფკავშირები უნდა გაერთიანდნენ და სექციების სახით შევიდნენ მესამე ინტერნაციონალში. ამის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ დ,არაგონა, დიანგი, აგრეთვე პერსელი და რობერტ ვილიამსი, რომლებიც მაშინ ინგლისის დელეგაციის „მემარცხენე“ ფრთას წარმოადგენდნენ.

მაგრამ ამ თათბირს არ მოჰყოლია უშუალო ორგანიზაციული შედეგები. უკვე ამ თათბირის შემდეგ დაიწყო უფრო ხანგრძლივი მოლაპარაკება იტალიის, ბულგარეთის, ესპანეთის, სამხრეთ-სლავიის პროფკავშირებისა და სინდიკალისტური ორგანიზაციების იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც კომინტერნის მეორე კონგრესთან დაკავშირებით ამ დროს მოსკოვში იმყოფებოდნენ. ეს მოლაპარაკება აღბეჭდილია დოკუმენტებში და მათი შინაარსი შეიძლება ორი საკითხით გამოიხატოს. ჩვენ, საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენლები ყველა ამ სტუმრებთან მოლაპარაკების დროს წავაწყდით ოპოზიციას მარჯვნიდან და „მარცხნიდან“, თუ შეიძლება ლაპარაკი ანარქისტული ელემენტების „მემარცხენეობაზე“. ერთის მხრივ სინდიკალისტური ორგანიზაციების წარმომადგენლებს არას გზით არ სურდათ ეცნოთ ახალი ინტერნაციონალისათვის პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპი და გადაჭრით უარყოფდნენ რაიმე კავშირს პროფინტერნსა და კომინტერნს შორის, ვინაიდან ისინი იცავდნენ პროფკავშირების დამოუკიდებლობას. ისინი აღიარებდნენ ეკონომიკის ბატონობას პოლიტიკაზე, უარყოფდნენ კომპარტიების საჭიროებას სოციალურ რევოლიუციის მოსახდენათ და ამტკიცებდნენ, რომ პროფკავშირები თვითონ მოახდენენ რევოლიუციას და თვითონ მიიყვანდნენ მას ბოლომდე.

მეორე მხრივ კი დ,არაგონა და მისი თანამოაზრეები პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ სულ სხვა მოსაზრებებით. უკანასკნელნი ყოველ შემთხვევაში პრინციპში მაინც აღიარებდნენ რევოლიუციას, ბურჟუაზიის დამხობას და სხვ. დ,არაგონა კი უფრთხოდა რაიმე გარკვეულ აზრის ჩამოყალიბებას, ის თითქო მზად იყო ხელი მოეწერა ფორმულაზე რევოლიუციონური მოქმედების მეთოდების შესახებ, მაგრამ არავითარი სხვა, უფრო გარკვეულ და უფრო ჩამოყალიბებულ წინადადებების ხელის მოწერა მას არ სურდა. ჩვენი თათბირები იტალიის დელეგატებთან, რომლებიც მაშინ წარმოადგენდნენ დიდ ორგანიზაციას, რომელიც ორ მილიონზე მეტ წევრს აკავშირებდა და რომლებსაც ამიტომ, ეჭვს გარეშეა, მეტი წონა ჰქონდა, ვიდრე წვრილი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სწარმოებდა არა ნაკლებ ორი კვირის მანძილზე. მდგომარეობა მით უფრო საგულისხმო იყო, რომ სოციალისტური პარტია, რომლის წევრები იყვნენ დ,არაგონა და კომპანია, ემხრობოდა კომინტერნს. მართალია ეს უფრო ფორმალური მიმხრობა იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა იტალიის სოციალისტური პარტია იყო კომინტერნის სექცია. იმ პარტიის წევრები კი, რომლებიც კომინტერნს ემხრობოდნენ, უფრთხოდნენ ხელის მოწერას პუნქტზე, რომელშიც ლაპარაკი არის პროლეტარიატის დიქტატურაზე? როცა მოლაპარაკება ჩიხში მოექცა, მე განუცხადე დ,არაგონას, რომ თუ საქმე მომავალშიც ასე წავა, ჩვენ იძულებული ვიქნებით მის წინააღმდეგ აშკარად გამოვიდეთ და იტალიის პროლეტარიატს პირდაპირ დაუსვათ საკითხი, რომ ისინი კომინტერნის სექციის წევრები არიან, მაგრამ ამავე დროს მიდიან კომინტერნის ელემენტარული პრინციპების წინააღმდეგ. სერატიმ, იტალიის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელმა იმ დროს, იკისრა შედგენა საშუალო რეზოლიუციის, რომელიც ყველას დააკმაყოფილებდა. მან დასწერა რეზოლიუცია, რომელიც უკეთესი იყო, ვიდრე რეზოლიუცია, რომელსაც გვაძლევდა დ,არაგონა, მაგრამ ჩვენ ეს რეზოლიუციაც არ გვაკმაყოფილებდა მთლიანად. ჩვენ ჩიხში მოვექეცით.

მაშინ მე მივმართე ლენინს რჩევისთვის: წავსულიყავით თუ არა დათმობაზე იმ ცენტრის დამფუძნებელი აქტის ჩამოყალიბებაში, რომელსაც ჩვენ ვქმნიდით, თუ წავსულიყავი პირდაპირ, არ დაგვეთმო არც ერთი მძიმე. ლენინმა წაიკითხა სერატის მიერ შედგენილი და ჩვენს მიერ უკვე ცოტათი შესწორებული დოკუმენტი და სთქვა: „მართალია, აქ ბევრი რამ არის გაურკვეველი, მაგრამ ამისთვის კავშირის გაწყვეტა არ ღირს. თქვენ ხელი მოაწერეთ, გარკვეულობას კი ჩვენ შემდეგ შევიტანთ“-ო.

რჩევა, ეჭვს გარეშე, სწორი იყო. შემდეგში ჩვენ მართლა შევიტანეთ გარკვეულობა: დ,არაგონას გარეშე და მის წინააღმდეგ. ახლა რომ გადავხედოთ ჩვენ მიერ ხელმოწერილ დამფუძნებელ აქტს, მასში შეიძლება კომპრომისის ნიშნების დანახვა, მაგრამ ამის მიუხედავად ეს იყო ის, რაც ჩვენ გვესაჭიროებოდა. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ამ ძირითად დამფუძნებელ აქტში — რევოლიუციონური პროფკავშირების საერთაშორისო საბჭოს შექმნის შესახებ, თუგინდ არასაკმაოდ მკაფიო ფორმებში, მაგრამ მაინც იყო ნათქვამი რევოლიუციონური კლასობრივი ბრძოლის შესახებ, პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლის შესახებ, ამსტერდამის ინტერნაციონალის წინააღმდეგ ბრძოლისა და პროფმოძრაობის საერთაშორისო ცენტრის შექმნის შესახებ. ეს კი, რასაკვირველია, იყო ყველაზე მთავარი. გამოცდილებამ შემდეგში დაგვანახვა, რომ ბრძოლაში ყველა მტრული ტენდენციების წინააღმდეგ მარჯვნიდან და მარცხნიდან, პროფინტერნის ეს ჩანასახი ორგანო, რომელიც მაშინ ატარებდა გრძელ სახელწოდებას—„რევოლიუციონურ - პროფესიონალურ და საწარმოო პროფკავშირების საერთაშორისო საბჭო“—სჭედდა თავის იდეოლოგიას და თავის პრინციპებს აყალიბებდა მაქსიმალური სიცხადითა და გარკვეულობით.

ყოველ შემთხვევაში, უკვე მაშინ პროფინტერნის თვით ჩასახვის დროს, მას შიგნით სწარმოებდა ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპის, პარტიისა და პროფკავშირების ურთიერთობის, ძველი, რევოლიუციის წინადროინდელი პროფმოძრაობის შეფასებისა და სხვ. გარშემო. ჩვენს ხაზზე იერიში მოჰქონდათ სხვადასხვა მხრიდან და არა ერთნაირი მოტივებით, მაგრამ მაინც 1920 წლის 15 ივლისს დამფუძნებელი აქტი ხელმოწერილი იქნა. ასე იშვა პროფკავშირთა ახალი რევოლიუციონური ცენტრი, რომლიდანაც გაიზარდა პროფინტერნი.

პროფინტერნის ათი წლის თავი ხვდება მე-5 კონგრესს, რომელიც ამ დღეებში გაიხსნება. იგი იხსნება სწორედ ათი წლის შემდეგ იმ დღიდან, როცა საფუძველი ჩაეყარა პროფკავშირთა წითელ ინტერნაციონალს. მრავალი მათგანი, რომლებმაც ჩვენთან ერთად ხელი მოაწერეს პაქტს პროფინტერნის შექმნის შესახებ, ბარიკადების იქითა მხარეს იმყოფებიან, მრავალი მათგანი, რომლებიც პირველ წლებში ჩვენთან ერთად იყვნენ, სრულიად გაჰქრნენ პოლიტიკურ ჰორიზონტიდან, მაგრამ რევოლიუციონური პროფმოძრაობა იზრდება, ორგანიზაცია, რომელიც დაარსებულ იქნა 1920 წლის 15 ივლისს, იზრდება და ვითარდება. სააგიტაციო პროპაგანდისტული ცენტრიდან იგი გადაიქცა პროფკავშირების მსოფლიო გაერთიანებათ. მრავალი სიძნელე იყო პროფკავშირთა წითელი ინტერნაციონალის განვითარების გზაზე, მრავალი სიძნელის დაძლევა მოუხდება მას კიდევ მომავალში, მაგრამ ყველაზე უფრო მძიმე გზა უკვე განვლილია, უახლოესი წლები შლიან ჩვენს წინაშე უდიდეს და ხელსაყრელ პერსპექტივებს, ვინაიდან მუშათა მოძრაობა ამჟამად აღზევების პერიოდში იმყოფება. მსოფლიო ეკონომიური კრიზისი მწვავდება, იგი შეეხო ახლანდელი კაპიტალიზმის ციხე-სიმაგრესაც — შეერთებულ შტატებს; კოლონიალურ ქვეყნებში, განსაკუთრებით ჩინეთში, ინდოეთში სწრაფად იზრდება მუშურ-გლეხური რევოლიუციონური მოძრაობა; უდიდესი კოლონიალური რეზერვები, ადამიანთა ახალი მასიები იწყებენ ამოძრავებას ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებში რევოლიუციონური მოძრაობის ზრდასთან პარალელურად. ახლა უკვე აღარ აქვს ადგილი კავშირის გაწყვეტას მოძრაობას შორის კაპიტალისტურ და კოლონიალურ ქვეყნებში, რამაც უარყოფითი როლი ითამაშა 1919—20 წლებში. ეს სურათი უნდა შეივსოს საბჭოთა კავშირის უდიდესი ზრდით, ჩვენი ხუთწლიანი გეგმის ცხოვრებაში სწრაფად გატარებით. ამ სამი მძლავრი კოლონის—საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის, კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა მოძრაობის აღზევების და კოლონიალურ ქვეყნებში უდიდესი მუშურ-გლეხურ რეზერვების ამოძრავების შეერთება ჩვენს წინაშე შლის ბრწყინვალე პერსპექტივებს პროფკავშირთა წითელი ინტერნაციონალის მძლავრი ზრდის თვალსაზრისით. და მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უახლოეს რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ საბოლოოდ გავანადგურებთ ამსტერდამის ყვითელ ინტერნაციონალსა და ყვითელ პროფკავშირებს და შევქმნით პროფკავშირთა ერთ მებრძოლ წითელ ინტერნაციონალს, რომელიც შეაკავშირებს პროფმოძრაობას მთელ მსოფლიოში და კომინტერნის ხელმძღვანელობით წაიყვანს მას მუშათა კლასის უმრავლესობის დაპყრობისაკენ, კაპიტალის ბატონობის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისაკენ.

ა. ლოზოვსკი.

ქრონიკა

ფეხსაცმელების ახალი ფაბრიკა

ფეხსაცმელების ახალი ფაბრიკის ასაგები ადგილი გამოყოფილია ორთაჭალაში. ფაბრიკის სამშენებლო პროექტი, რომელსაც მოსკოვში ამუშავებენ, მზად იქნება სექტემბრისათვის.

ფაბრიკა ყოველწლიურად გამოუშვებს 4 მილიონ წყვილ სხვადასხვა ფეხსაცმელს.

აგურის ქარხნების ამუშავება

სამშენებლო მასალათა ტრესტის ცნობით, მომავალი შემოდგომიდან ამუშავებული იქნებიან შემდეგი აგურის ქარხნები: გურჯაანის სტალინისის (ყოფ. ხაშური), ზუგდიდის, ოზურგეთის და სოხუმის.

აღნიშნული ქარხნების მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს. პარალელურად სწარმოებს საავგურე თიხის დამზადება, რომ ზამთარში ქარხნები უზრუნველყოფილ იქნენ ნედლეულით. ყველა ქარხნები ყოველწლიურად გამოუშვებენ 15.500.000 ცალ აგურს.

შაქრის მეურნეობის მოწყობა

შაქრის ქარხნის სამშენებლო კომიტეტი უკვე შეუდგა მუშაობას გორის ოლქში შაქრის ჭარხლის საბჭოთა მეურნეობების მოსაწყობად. კომიტეტი შეუდგა მეურნეობებისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შეძენას. ახლო ხანში მიღებულ იქნება 25 ტრაქტორი, რომელთა გამოგზავნის შესახებაც ცნობა უკვე მიღებულია.

შეფობა — დამკვრელი მუშაობა

თბილისის საშეფო საზოგადოების გაფართოებულმა პლენუმმა დაადგინა პროლეტარული შეფობა სოფელზე გამოაცხადოს მე-16 პარტყრილობის სახელობის დამკვრელ მუშაობათ.

მხატვრების საზოგადო კრება

ხელოვნების მუშაკთა კავშირის საზაფხულო კლუბში 16 ივლისს 1 საათზე შესდგება მხატვრების საზოგადო კრება. დღის წესრიგშია: 1. საკავშირო მე-2 სახვითი ხელოვანთა მეორე კონფერენციის შედეგები,

ავიამოდელისტების შეკრება

დღეს, 16 ივლისს, დილის 10 საათზე, დაიწყება საქართველოს და ამიერ-კავკასიის ავიამოდელისტების პირველი შეკრება. შეკრების მიზანია ავიამოდელისტების წრეების მიღწევების გამომჟღავნება.

შეკრებაში მონაწილეობას იღებენ ავიამოდელისტები-ავიაქიმის წევრები.

შეკრება გასტანს 18 ივლისამდე. 18 ივლისს, საღამოს 6 საათზე, კულტურისა და დასვენების პარკში, შესდგება ავიამოდელისტების კონფერენცია.

საუკეთესო მოდელისტები მივლინებული იქნებიან სრულიად საკავშირო ავიამოდელისტების შეკრებაზე მოსკოვში.

ავიაქიმკაბინეტის და ტირის გახსნა

„სოფლის კავშირი“-ს თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედმა ხელოვნების კავშირის ბაღში (ოპერის ბაღი) მოაწყო ავიაქიმკაბინეტი და ტირი. კაბინეტში მრავლად არის დატროვილი მასალა სამხედრო ქიმიიდან.

თბილისის ალმასკომში

◆ **ტრამვაის ახალი ქვე-სადგური.** თბილისის ალმასკომმა დაამტკიცა ტრამვაის დირექციის შუამდგომლობა მადათოვის კუნძულზე ტრამვაის ახალი ქვე-სადგურის აგების შესახებ. ქვე-სადგურის ასაგებათ გადადებულია 218.000 მანეთი.

◆ **ქუჩების გაფართოება.** მომავალი წლის განმავლობაში ქალაქის ზოგიერთ უბნებში ქუჩების გასაფართოებლად გათვალისწინებულია 1 მილიონი მანეთის დახარჯვა.

◆ **მუშა-ხელი კომუნალური მშენებლობისათვის.** ალმასკომის კომუნალური განყოფილება შეუდგა კომუნალური მშენებლობისათვის საჭირო კვალიფიციური მუშა-ხელის მოსამზადებლათ საჭირო წინასწარ მუშაობას.

სხვადასხვა

◆ **შეღავათები მიწის საზოგადოებრივი წესით დამმუშავებელ ამხანაგობებს.** კოლმეურნეობათა ცენტრმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობაში, რომ კოლმეურნეობებისათვის არსებული შეღავათები გავრცელებულ იქნას მთიან ადგილებში და ნაცუმცირესობათა წარმომადგენლებისაგან შემდგარ მიწის საზოგადოებრივი წესით დამმუშავებელ ამხანაგობებზე.

◆ **სამედიცინო ტეხნიკუმის შენობა.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა აავოს თბილისში სამედიცინო ტეხნიკუმისათვის ახალი შენობა.

◆ **სამზადისი შემოდგომის თესვისათვის.** მიწსახკომი შეუდგა სამზადისს შემოდგომის თესვის კამპანიისათვის. გადაწყვეტილია პირველ რიგში ჩატარებულ იქნას სათესლე მასალის შეწამვლის კამპანია.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

მომღერალ სანდრო კავსაძის იუბილე

◆ 19 ივლისს ქ. ჭიათურაში შესდგება დამსახურებულ სახალხო მომღერლის და ლოტბარის სანდრო კავსაძის 35 წლის ხელოვნების დარგში მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილე.

◆ **თბილისის სატირის თეატრი.** გასტროლებიდან დაბრუნების შემდეგ თბილისის სატირის თეატრი შეუდგა მუშაობას მუშათა კლუბებში. პირველი წარმოდგენა დაიდგა მბეჭდავთა კლუბში 17 ივლისს—„კიდევ თბილისი“ —მიმოხილვა 7 სურ. დადგმა შ. მანაგაძის და გ. ბუხნიკაშვილის.

◆ **„მართალი აბდულლა“ ფრანგულად.** ფრანგულ სალიტერატურო გაზეთ „კანდიდ“-ში დაიბეჭდა მ. ჯავახიშვილის მოთხრობა „მართალი აბდულლა“-ს თარგმანი.

◆ **„პროლეტ. მწერლობას შემოქმედებითი გზები“.** 13 ივლისს ხელოვნების სასახლეში პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სხდომაზე ამხ. გ. გორბაჩოვი წაიკითხავს მოხსენებას: „პროლეტარული მწერლობის შემოქმედებითი გზები“. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

გავაჯანსაღოთ საწარმოების შეფობა დაწესებულებებზე

(თათბირი ა.-კ. მ. და გ. ინსპექციაში)

14 ივლისს ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში შესდგა წარმოება - დაწესებულებების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა წარმოებების შეფობის მდგომარეობა დაწესებულებებზე.

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის წევრმა ამხ. ბაბაჯანოვმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ წარმოებებზე მუშათა შეფობის იდეამ, რომელიც ამ რვა თვის წინად წარმოიშვა მოსკოვის ელექტრო-ქარხნის მუშათა ინიციატივით, ფართო გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეებში. ხსენებულ ელექტრო-ქარხნის მუშებმა იკისრეს შეფობა საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატზე. მათ უშუალო და აქტიური მონაწილეობა მიიღეს კომისარიატის აპარატის წმენდაში, ხოლო წმენდის დამთავრების შემდეგ განუწყვეტლივ ადევნებდნენ თვალყურს, თუ რამდენად ხორციელდება გამწმენდ კომისიის მიერ დასახული ზომები. მუშებმა თავისი აქტიური მონაწილეობით დიდად შეუწყვეს ხელი აპარატის შტატების შემცირებას, მის გამუშურებას. გარდა ამისა საშეფო ბრიგადებმა თავის თავზე აიღეს კომისარიატის ოპერატიული საქმე—ნარჩენების შეგროვება და რამოდენიმე მილიონი მანეთის ნარჩენი შეაგროვეს, რომელთა აკრეფა უიმედოთ იყო მიჩნეული. ასეთივე თვალსაჩინო შედეგები გამოიღო ლენინგრადისა და მოსკოვის დანარჩენ შეფების მუშაობამაც.

რვა თვის პრაქტიკამ ცხადად დაამტკიცა, რომ შეფობა მასების თვითმოქმედების საუკეთესო გამოხატულებაა, რომ იგი საუკეთესო იარაღია სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციებზე მასების კონტროლის განსახორციელებლად.

ამასთან ერთად დღევანდელ პირობებში, როდესაც წარმოებები მოწყვეტილი არიან დაწესებულებებს, მუშათა დაწინაურება დიდ სიძნელეს წარმოადგენს: დაზგიდან დაწინაურებული მუშა ხვდება მისთვის უჩვეულო პირობებში, ხედავს დაწესებულების დეფექტებს, მაგრამ თავის დამწინაურებელი წრის დახმარებას მოკლებული საჭირო გამბედაობა-ინიციატივას ვერ იჩენს და თანდათან ვარდება აპარატის გავლენის ქვეშ. აი, ამ მოვლენების წინააღმდეგ საუკეთესო საშუალებას შეფობა წარმოადგენს. იგი მასებს ასწავლის სახელმწიფოს გამგებლობას.

შეცდომებისა და დამახინჯებათა გამოსწორების და შეფობის საქმის სათანადო დონეზე დაყენების მიზნით მ.-გ. ინსპექციამ და ცენტრალურ საკონტროლო კომისიამ დაადგინეს უახლოეს მომავალში თვით საშეფო ბრიგადების საშუალებით ჩატარებულ იქნას საშეფო მუშაობის თვითშემოწმება.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ საშეფო მუშაობა ჩვენში ფაქტიურად ჯერ კიდევ არ გაშლილა. მართალია, თბილისში 20 წარმოებას აქვს გამოცხადებული შეფობა სხვადასხვა დაწესებულებაზე, მაგრამ აქედან მხოლოდ რამოდენიმე შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას, დანარჩენებმა ზეიმით დასდეს ხელშეკრულებები და ამით გათავდა მათი საქმიანობა. საშეფო მოძრაობის ასეთი მდგომარეობა მეტად ცუდ გავლენას ახდენს მუშათა მასების განწყობილებაზე და ყოველგვარ ხალისს უკარგავს მათ ამ საქმისადმი. საშეფო საქმისადმი უგულობას იჩენენ როგორც თვით შეფები, ისე შეფობაზე მყოფი დაწესებულებები.

საშეფო ბრიგადების მეტმა ნაწილმა დღემდე არ იცის რაში უნდა მდგომარეობდეს მათი მუშაობა. ამაში მთავარი ბრალი ედება მუშათა და გლეხთა ინსპექციას და პროფესიონალურ ორგანიზაციებს, რომლებმაც არავითარი დახმარება და ხელმძღვანელობა არ აღმოუჩინეს საშეფო ბრიგადებს. არის შემთხვევები, როცა საშეფო ბრიგადა მოწადინებულია გაიცნოს დაწესებულების მუშაობა და თავისი დახმარებით ხელი შეუწყოს მისი აპარატის გაჯანსაღებას, მაგრამ დაწესებულება გაურბის შეფის დაახლოვებას. ასეთ შემთხვევებში საჭიროა მ.-გ. ინსპექციის უშუალო ჩარევა.

თვითშემოწმება უსათუოდ ნაყოფს გამოიღებს, მაგრამ მას თან უნდა ახლდეს ცოცხალი ინსტრუქტაჟი. შემმოწმებელ ჯგუფებს უნდა მიეცეს გარკვეული და პრაქტიკული სამუშაო გეგმა, რომელშიაც ასახული უნდა იქნას საშეფო საქმიანობის მთავარი მომენტები და პრაქტიკული ამოცანები. საჭიროა თბილისის საშეფო ბრიგადების წევრებიდან რამოდენიმე მუშა გაიგზავნოს მოსკოვსა და ლენინგრადში, სადაც შეფობის საქმე გაცილებით მაღლა დგას. იქ მუშები გაეცნობიან საშეფო მუშაობის ახალ პრაქტიკასა და მეთოდებს.

აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ თათბირმა დაადგინა, რომ თვითშემოწმება დამთავრდეს 3 კვირის ვადაში. თვითშემოწმების ობიექტად გამოყოფილი იქნა ათი დაწესებულება, რომლებშიაც შეფების მუშაობას შეამოწმებენ საშეფო ბრიგადების წევრებისაგან შემდგარი ოთხი ჯგუფი. ამ ჯგუფებს უხელმძღვანელებენ მ.-გ. ინსპექციის და პროფსაბჭოს მიერ გამოყოფილი ამხანაგები.

საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ ჯგუფებზე მიმაგრებული იქნან მ.-გ. ინსპექციის კოლეგიის წევრები.

თათბირმა საჭიროდ აღიარა საშეფო მუშაობის გასაცნობათ მოსკოვსა და ლენინგრადში გაიგზავნოს 7—8 კაცი თბილისის აქტიურ საშეფო ბრიგადებიდან.

გარდა ამისა საჭიროდ იქნა ცნობილი ახლო მომავალში თბილისში მოწვეულ იქნას საშეფო ბრიგადების ფართო კონფერენცია, რომელსაც დაესწრებიან ბაქოს და ერევნის საშეფო ბრიგადების წარმომადგენლები. კონფერენციაზე ბრიგადები ერთი მეორეს გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებებს.

თბილის-კოჯრის რკინის გზის გაყვანა

საესკიზო პროექტი მზად იქნება აგვისტოსათვის

თბილის-კოჯრის ელექტრონის რკინისგზის სამშენებლო კომიტეტის ცნობებით გზის საესკიზო პროექტი მზად იქნება აგვისტოს პირველ რიცხვებში. თბილისის ალმასკომის დადგენილებით კოჯრიდან გზა გაგრძელებული იქნება აგარაკ კიკეთამდე, რითაც გზის საერთო სიგრძეს მოემატება 7 ნახევარი კილომეტრი.

ელექტრონის რკინის გზის მთავარი სადგურების მოწყობა გადაწყვეტილია თბილისში და კოჯორში. თბილისში სადგურის მოსაწყობათ დასახელებული იყო თავისუფლების მოედანი. იქ საჭირო იყო ზოგიერთი შენობების აღება და შემდეგ კი წერეთლის ქუჩის მიმართულებით აიგებოდა დიდი ხიდი, რომელზედაც გაივლიდა რკ. გზის ლიანდაგი. ეს პროექტი ამჟამად უკვე უარყოფილია. გადაწყვეტილია სადგური აგებულ იქნას სოლოლაკის ზემოთ, მთის ძირას, სადაც ამჟამად მიწის თავისუფალი ნაკვეთია.

გზის გასაყვანად, გარდა ხიდების აგებისა, საჭირო ხდება გვირაბების გაყვანა. გაფართოებული იქნება ფეხით მოსიარულეთათვის გაყვანილი გვირაბი ბატანიკურ ბაღამდე, რაც გამსაკუთრებულ ხარჯებს არ მოითხოვს. მე-2 გვირაბი გაყვანილი იქნება კოჯორში 200 მეტრის სიგრძეზე. კოჯორში გვირაბის გაყვანით თავიდან იქნება აცილებული საგარაკო სახლების დანგრევა.

გვირაბების გასაყვანი პროექტების დამუშავება უკვე მიენდო ინჟ. ჯორჯაძეს. ხიდების და სხვა ხელოვნურ ნაგებობათა პროექტს ამუშავებს ინჟ. დმიტრიევი, ხოლო გზის ასამუშავებლათ საჭირო ელექტრო-დადგმულობათა პროექტის დამუშავება მიენდო ინჟ. მესხს.

გარდა პროექტის დამუშავებისა, დაწყებულია აგრეთვე სამშენებლო სამუშაოთა კალენდარული პროგრამის შედგენა. კალენდარული პროგრამით გზის გაყვანა უნდა დამთავრდეს ორ წელიწადში.

გზის გასაყვანი სამუშაოების დაჩქარების მიზნით გადაწყვეტილია მოხდეს ყველა სამუშაოთა მექანიზაცია, რისთვისაც გამოყენებული იქნება რიონჰესის დამთავრების შემდეგ დარჩენილი ყველა მექანიკური მოწყობილობები.

აბრეშუმის პარკის დიდი მოსავალი ა.-კავკასიაში

მიმდინარე წელს აბრეშუმის მოსავალმა ამიერ-კავკასიაში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ერთი კოლოფი აბრეშუმის თესლიდან საშუალოდ ღებულობენ 40 კილოგრამ აბრეშუმის პარკს, ჩვეულებრივი 30—32 კილოგრამის ნაცვლად. ზოგიერთ ადგილას თითო კოლოფი თესლიდან მიღებულია 50 კილოგრამი პარკიც. თუმცა წელს დარიგდა გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის მხოლოდ 80% თესლი, ეხლავე შეიძლება ითქვას, რომ დამზადების გეგმა შესრულებული იქნება საგრძნობი გადაჭარბებით. გარდა ამისა, დაურიგებელ აბრეშუმის თესლს ამჟამად არიგებენ მეაბრეშუმეთა შორის, რომ წელსვე მოესწროს აბრეშუმის ჭიის მეორეთ გამოყვანა. აბრეშუმის ჭიის მეორედ გამოყვანის ცდა ზაფხულის ისეთ პერიოდში, როგორიც ამჟამადაა, უკვე მოახდინეს მეაბრეშუმეობის საცდელმა სადგურებმა და მათ დადებითი შედეგები მიიღეს.

აბრეშუმის პარკის დამზადება რაიონებში წარმატებით მიმდინარეობს. აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკებს ვადაზე ადრე მიაწოდეს აბრეშუმის პარკი (ადს).

რა ხდება ადგილებზე

მემარჯვენე გადახრა პრაქტიკაში

ქუთაისი, 14 ივლისი. პროკურორის გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ხარაგოულის რაიონში დღემდე არ არის გამოსწორებული ის შეცდომები, რომლებიც დაშვებულ იქნენ კოლმეურნეობათა მშენებლობის პირველ ხანებში. ასე, მაგალითად, სოფ. ხიდარში, სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარის მოქ. ფერაძის უხეშობის მიზეზით, დაიშალა სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელიც აერთიანებდა 30 მეურნეობას. დადასტურდა, რომ მოქ. ფერაძე აშინებდა და ტერორ ქვეშ აყენებდა არტელიდან გასულ ღარიბ გლეხებს.

სოფ. ხორითში კოლმეურნეობის თავმჯდომარე მოქ. ნავაძე, რათა შური ეძია კოლექტიურ მეურნეობიდან გასულთათვის, კოოპერატივს უკრძალავდა სიმინდის გაყიდვას კოლმეურნეობებიდან გამოსულებზე, ხელს უშლიდა და აბრკოლებდა, რომ მათ მიეღოთ დასაზღვევი პრემიები და სხვ. ამავე სოფელში, სადაც არსებობს პარტუჯრედი, სასოფლო საბჭოს საანგარიშო კამპანია და არჩევნები ჩატარდა კოლმეურნეობათა წევრების დახურულ კრებაზე. ამის გამო სოფლის ღარიბებს გლეხობას არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია და არც თავისი წარმომადგენელი გაუყვანია სასოფლო საბჭოში. კოლექტიურ მეურნეობებიდან გამოსულ გლეხებს აუკრძალეს ახალი მოსავლის მოწევა მათი მიწის ნაკვეთებიდან (ადს).

საზაფხულო თეატრის გახსნა

გორი, 15 ივლისი. (საქ. კორ.). დამთავრდა საზაფხულო თეატრის აგება. თეატრის გახსნა მოხდება 19 ივლისს.

შეჯიბრება სროლაში

პირველი და მეორე დღე

14 ივნისს, დღის 12 ს. ვაკეს სასროლო მოედანზე გაიხსნა სრულიად საქართველოს მესამე და ქალთა პირველი სასროლო შეჯიბრება, რომელსაც ესწრებიან ყველა ოლქების და მაზრების საუკეთესო მსროლელები.

შეჯიბრების დაწყების წინ სასროლო სპორტის მდგომარეობაზე საქართველოში მოხსენება გააკეთა ამხ. ა. წილოსანმა. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში სასროლო სპორტი საგრძნობლად განვითარდა. ამჟამად არსებობს 350 სასროლო წრე, სადაც მიმდინარეობს სისტემატიური მეცადინეობა. სასროლო წრეებს აქვთ თოფების საკმაო რიცხვი. წრეებს აქვთ 800 მცირე ყალიბიანი თოფი. გაზრდილია აგრეთვე ტირების რაოდენობა. სულ საქართველოში მოწყობილია 57 ტირი (აქედან თბილისში—12). არსებობს ერთი ცენტრალური ტირი. სასროლო საქმის ინსტრუქტორების მოსამზადებლად საქ. ავიაქიმმა მოაწყო კურსები თბილისში და ბათომში. გამოიცა ლიტერატურა სროლის საქმის შესახებ და სხვ.

ამხ. წილოსანის შემდეგ ილაპარაკა საქართველოს ავიაქიმის სასროლო სექციის ინსტრუქტორმა ამხ. გ. თავაძემ, რომელმაც გააცნო შეჯიბრების მონაწილეთ შეჯიბრების ამოცანები და პირობები.

პირველ დღეს სროლა სწარმოებდა საბჭოთა სისტემის მცირე ყალიბიანი თოფიდან („ტოზ“-იდან) 50 მეტრის მანძილზე.

შეჯიბრების მეორე დღეს, 15 ივლისს, დაიწყო სროლა რუსული სისტემის შაშხანა და ინგლისური სისტემის („როს“) თოფებიდან 500 მეტრის მანძილზე.

რკინის გზებზე

მძიმე მატარებლების გამოცდა

ამჟამად ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე აწარმოებენ ცდებს 3.000 და 2.000 ტონიან მატარებლებით.

როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, ამიერ-კავკასიის რკინის გზების მუშაობას ძალზე აფერხებს ზოგიერთ უბნებზე ტვირთების დაგროვება. გზა ვეღარ ასწრებს მათ გადატვირთვას თავის დროზე და ეს ქმნის მძიმე მდგომარეობას.

სწორედ ამისათვის ტარდება ცდები 3.000 ტონიან სიმძიმის მატარებლებით. თუ ცდებმა დადებითი შედეგები გამოიღო, ასეთი დიდი შემადგენლობის მქონე მატარებლებს გამოიყენებენ ისეთ შემთხვევებში, როდესაც ადგილი ექნება დიდძალი ტვირთების დაგროვებას.

ცდები დამთავრდება ახლო მომავალში.

ცდები 2.000 ტონიან სიმძიმის მატარებლებით ტარდება ბაქო-ბათომის მთელ უბანზე. გამოსარკვევია: შესაძლებელია თუ არა ასეთი სიმძიმის მატარებლის ექსპლოატაცია ამ უბანზე.

ეს ცდები ამჟამად სწარმოებს განჯა-აქსტაფის უბანზე და ახლო მომავალში მას ჩაატარებენ სურამის საუღელტეხილო უბანზე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 16 ივლისს, 1-ლ საათზე, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას საგიტაციო-მასიურ განყოფილებაში შესდგება თათბირი, რომელზედაც განხილული იქნება საკითხი ტეხნიკური კულტურების მოსაწევი კამპანიის მსვლელობის შესახებ. თათბირს ყველა საჭირო მასალებით უნდა დაესწრონ ქვემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კოლმეურნეობათა ცენტრის, სოფლის კავშირის, მემინდვრეთა კავშირის, ცეკავშირის, საზ-ბა „საქართველოს ჩაი“-ს და ს.ა.ლ.კ.კ. ცენტრალური კომიტეტის.

—:—

დღეს, 16 ივლისს, 12 საათზე, საქართველოს კომპარტიის (ბ) კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებაში შესდგება თათბირი მეტად მნიშვნელოვან საკითხზე. თათბირს აუცილებლათ უნდა დაესწრონ: ორახელაშვილი, ვაშაყმაძე, ბარამიძე, ვაჩაძე, დოლიძე და ჩანკვეტაძე.

დღეს, 16 ივლისს, 12 საათზე საქ. სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში შესდგება პარტ. კოლექტივის ბიუროს სხდომა. დასწრება წევრებისათვის სავალდებულოა.

—:—

საქ. სახ. პოლიტეხნ. ინსტიტუტის უკანასკნელი კურსების ს.ა.ლ.კ.კ. წევრთა შემმოწმებელი კომისია იუწყება, რომ კომკავშირელები, რომლებმაც წმენდა უკვე გაიარეს, უნდა გამოცხადდნენ კომკავშირის ცეკაში ამხ. აკოპოვთან 15 ივლისიდან 1-ლ აგვისტომდე, ბილეთების მისაღებათ.

ამასთანავე ცხადდება, რომ წმენდის საერთო შედეგების შესახებ ცნობები გამოქვეყნდება 1-ლ სექტემბერს.

—:—

თბილისის საგზაო საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტთა საყურადღეოთ ცხადდება, რომ 15 ივლისიდან, საქართ. კომპარტიის (ბ) და ა.ლ.კ.კ. ბიუროების მუშაობა იწარმოებს დილის 10 საათიდან, ნაშუადღევის 1-ლ საათამდე, ინსტიტუტის ახალ შენობაში (პლეხანოვის პროსპ. № 138, მე-3 სართული).

საქ. სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში

მიღების წესები 1930-31 წლ.

1. საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში 1930/31 სამოსწავლო წელს მიღებულ იქნება 800 მსმენელი, მათ შორის ფიზიკო-მათემატიკურ ფაკულტეტზე—160, საბუნებისმეტყველოზე—160, ენისა და ლიტერატურის—120, პედაგოგიურ-პედოლოგიურზე—130, საზოგადოებრივ-ეკონომიურზე—170 და სახვითი ხელოვნების—60.

ამ რიცხვიდან 150 ადგილი ეთმობა სოფლის მასწავლებლებს, რომელთაც მოეპოებათ პედაგოგიურ-საზოგადოებრივ მუშაობის 3 წლის სტაჟი. მეცადინეობა იწარმოებს ქართულ ენაზე.

2. მისაღებ მსმენელთა მთელი რიცხვი განაწილებულია ოლქებსა, მაზრებსა და აფხაზეთის, აჭარისტანის რესპუბლიკებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომ. ოლქის შორის შემდეგნაირად:

№№	სახელწოდება იმ ორგანიზაციათა, რომელთაც მიეცათ ადგილები	სულ	აქედან სოფ. მასწავ.
1.	თბილისის ოლქს	180	20
2.	კახეთის „	52	15
3.	გორის „	47	15
4.	ქუთაისის „	140	20
5.	ოზურგეთის მაზრას	50	10
6.	სენაკის „	40	7
7.	ზუგდიდის „	40	8
8.	ახალქალაქის „	11	5
9.	ახალციხის „	11	5
10.	ზემო სვანეთის	11	2
11.	ს.ს.ს.რ. აფხაზეთს	70	4
12.	ს.ს.ს.რ. აჭარისტანს	30	5
13.	სამხრეთ-ოსეთს	10	5
14.	განათლების მუშაკთა პროფკავშირს	20	5
15.	წითელ ჯარს	10	3
16.	ახკომკავშირის ცეკას	28	5
17.	განსახკომისარიატს	50	16
	სულ	800	აქედან სოფ. მასწ. 150

3. მსმენელთა შერჩევის მიზნით ოლქებში, მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში შემრჩევი კომისია არსდება შემდეგი შემადგენლობით.

კომისიის თავმჯდომარე—საოლქო ან სამაზრო ალმასკომის მიერ დანიშნული პირი, წევრები: განათლების განყოფილების, პროფკავშირების საოლქო და სამაზრო პარტიულ და ა.ლ.კ.კ. ორგანიზაციების წარმომადგენლები.

4. კომისიის ამოცანას შეადგენს მისაღებ პირთა არჩევა კომისიაში შეტანილ განცხადებების მიხედვით კლასობრივი ხაზის მტკიცეთ დაცვით. ჩასარიცხავ კანდიდატების სია ყველა საჭირო საბუთის დართვით, გადაიგზავნება ცენტრალურ მიმღებ კომისიაში, რომელიც დანიშნულია განსახკომის კოლეგიის მიერ შემდეგი შემადგენლობით: განათლების კომისარიატის, განათლების მუშაკთა კავშ. ცენტრ. გამგეობის, ადგილობრივი უჯრედის და პროლეტ. სტუდენტთა ბიუროს წარმომადგენლების მონაწილეობით და სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტის დირექტორის თავმჯდომარეობით.

5. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში შემსვლელთათვის საჭიროა შემდეგი საბუთები:

ა) განათლების მოწმობა.

ბ) დაბადების მოწმობა, გაცემული მმაჩის მიერ, ან მეტრიკული.

შენიშვნა: შემსვლელი პირი წლოვანებით უნდა იყოს არა ნაკლებ 17 და არა უმეტეს 35 წ.

გ) სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების მოწმობა.

დ) ჯანმრთელობის მოწმობა, გაცემული სახელმწიფო სამკურნალო დაწესებულების მიერ.

ე) მოწმობა სოციალური მდგომარეობის შესახებ.

ლ) ცნობა შრომის სტაჟის შესახებ, გაცემული სახელმწიფო დაწესებულება—საწარმოო, პარტიულ ან და პროფორგანიზაციის მიერ.

ნ) მოწმობა იმის შესახებ, რომ ინსტიტუტში შემსვლელი პირი და მისი მშობლები არ არიან ხმის უფლებას მოკლებული.

ო) ოლქის, მაზრის ან რაიონის ალმასკომის მიერ გაცემული შემოწმებული ცნობა 1928/29 წელში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რაოდენობის შესახებ (გლეხებისათვის და მათი შვილებისათვის).

თ) ორი ფოტოგრაფიული სურათი.

შენიშვნა: წარმოდგენილ უნდა იქნეს ყველა საბუთების დედანი ორ-ორი ასლით.

6. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში არ მიიღებიან: საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებულნი, არა შრომითი შემოსავლით მცხოვრებნი, მათი შვილები და ის პირები, რომლებიც მიცემული არიან გამოძიებაში ან სამართალში.

7. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში პირველ რიგში ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებმაც დაასრულეს: მუშათა ფაკულტეტები, პროფესიონალური, სახელმწიფო და პარტიული ორგანიზაციების მიერ უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად მოწყობილი კურსები, ტეხნიკუმებში კურსდამთავრებულნი, რომელთაც აქვთ წარმოებაში ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი. ამის შემდეგ ათწლედის და დანარჩენი სკოლების მსმენელებიდან, რომელთაც უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება აქვთ. ამათ შორის უწინარეს ყოვლისა უპირატესობა ეძლევათ მუშებს, მოჯამაგირეებს, კოლმეურნეობის წევრებს, ღარიბებს, საშუალო გლეხებს და მათ შვილებს, კ. პ. (ბ) წევრებს, კანდიდატებს და მათ შვილებს, კომკავშირელებს. განათლების მუშაკთა შვილებს, საკადრო-სამწყობრო და მეთაურთა შემადგენლობის სამხედრო მუშაკებს და მათ შვილებს, ომის ინვალიდებს და მათ შვილებს, ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექციის წევრების, აგრონომების, ბეითლების და მიწათმოწყობათა შვილებს, ლიტერატურულ დარგში მომუშავეებს, მხატვრების, მოქანდაკეების, პოლიტკატორღელების და გადასახლებულთა საზოგადოების წევრთა შვილებს, რევოლიუციონურ მუშაკთა შვილებს, სამედიცინო დარგში იმ მუშაკთა შვილებს, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლების დროს უმუშავნიათ სოფლად არა ნაკლებ 3 წლისა, ან რომელთაც ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სამი წლის მუშაობის სტაჟი აქვთ.

8. მეორე რიგში ჩაირიცხებიან მშრომელი ინტელიგენტები და მათი შვილები, მოსამსახურეები, ხელოსნები, შინამრეწველები და მათი შვილები.

9. სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში მიღებული მუშები, მოჯამაგირეები, ღარიბი გლეხები, კოლმეურნეობის წევრები, საშუალო გლეხები და აგრეთვე პედაგოგები და მათი შვილები უნდა შეადგენდენ საერთო რაოდენობიდან 50 პროც.-ს, ხოლო ქალები კი 40 პროც.-ს.

10. მე-4 და მე-5 მუხლში აღნიშნული საბუთები ადგილობრივი შემრჩევი კომისიების მიერ გადაგზავნილი უნდა იქნეს ცენტრალურ მიმღებ კომისიაში 1 აგვისტოდან 15 აგვისტომდე შემდეგი მისამართით: ქალ. თფილისი, ვაკე, სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის—მიმღებ კომისიის თავმჯდომარეს.

შენიშვნა: რესპუბლიკები, ოლქები და მაზრები, თითონ აწესებენ სათანადო შემრჩევი კომისიაში განცხადებების შეტანის ვადას.

11. ის პირნი, რომლებიც სწავლის დაწყების შემდეგ სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ორი კვირის განმავლობაში, ე. ი. 15 სექტემბრამდე არ გამოცხადდებიან, მექანიკურად გამოირიცხებიან და მათი ადგილი შევსებულ იქნება კანდიდატებით.

12. მე-2 მუხლში აღნიშნული ნორმების ზევით და მე-11 მუხლში გათვალისწინებული ვადის გარეშე და აგრეთვე არა ამ წესით არჩეული კანდიდატები პედაგოგიურ ინსტიტუტში არ მიიღებიან.

საქ. ს.ს. განათლების სახალხო კომისარი მარ. ორახელაშვილი.

სახელმწიფო პედაგ. ინსტ. დირექტორი ი. ვაშაყმაძე.

სახელმწიფო ოპერის თეატრი
ქართული დრამის თეატრი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

ოთხშაბათს, 16 ივლისს — როგორ — პირველი აბონემენტი
ხუთშაბათს, 17 ივლისს — ყვარყვარე თუთაბერი — მეორე აბონემენტი
პარასკევს, 18 ივლისს — როგორ — მესამე აბონემენტი

წარმოდგენების დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე

სახკინმრეწვის თეატრებში

საზაფხ. ეთერი (სახ. ოპ. ბაღი) I სეანს. დ. 9 ს. 15 წ.
განსაკუთრ. გმირული ეპოპეია
მკვდართა შეთქმულება
პროგრამის გარეშე გიგანტების პატაკი. ესტრადაზე—იონოვას და მანევიჩის გასტროლები.

საზაფხ. აპოლო (დარბ. ბაღი) I სეანს. დ. 9 ს 15 წ.
ყვირილი ღამეში
პროგრამის გარეშე თურქესტან-ციმბირ. რკ. გზა. ესტრადაზე—იონოვას და მანევიჩის გასტრ.-ბი.

სპარტაკი (ყოფ. არფასტო) I სეანსის დასაწყ. 7 ს.
ახალი მხატვრული ფილმი
ხიდი ვიაზე
პროგრამის გარეშე
მუნჯი მოწმენი.

საზაფხულო პალასი 1-ლი სეანსის დასაწ. 7 საათ.
უცხოეთის კომედია
ნამდვილი ჯენტლმენი
მალე „სამი ჯიმი“

როზა ლიუქს. სახ. (ყოფ. მინიონი)
რემონტის გამო თეატრი დახურულია.

სანიმუშო სია

კინო ფილმებისა, რომელთა ჩვენებაც სასურველად არის ცნობილი მოსავლის აკრეფის, პურის დამზადების და შემოდგომის თესვის კამპანიების ჩატარების დროს

1. ძველი და ახალი
2. ხოლტზე
3. მეზღვაური გალაი
4. ცხოვრების შესახვედრად
5. მარი კუქერი
6. მესამე ახალგაზრდობა
7. მორევი
8. ჯავშნოსანი პოტიომკინი
9. დონ დიეგო და პელაგია
10. ოუდა
11. შორეულ აღმოსავლეთის განსაკ. არმია
12. პირველი ცხენოსანი არმია
13. დამსხვრეული ღმერთები
14. ჩინგის-ხანის შთამომავალი
15. საბჭოთა მეურნეობა „გიგანტი“
16. მოსავლისათვის
17. ბესარაბიის კომუნა
18. საბჭოთა კავშირის ხუთწლიანი გეგმა
19. ბრძოლა მოსავლისათვის
20. ხამარის ელევატორი
21. სოციალისტურ შეჯიბრებისათვის
22. უჯიშო თესლის შეცვლა
23. სიმდიდრის წყარო
24. მზესუმზირა
25. მოახდინეთ ნათესების კონტრაქტაცია
26. ნიადაგის დამუშავება გაზაფხულის კულტურებისათვის
27. ნიადაგის დამუშავება შემოდგომის კულტურებისათვის
28. ბამბა
29. ფრონტის ნაწილი
30. სარეველა მცენარეები და მათთან ბრძოლა
31. მწკრივად თესვა
32. პურის ფრონტი
33. განახლებული მარცვალი
34. საკოლმეურნეო მშენებლობა
35. რკინის ცხენი
36. ხალეწი მანქანა
37. სათიბი მანქანა
38. გუთანი
39. სოფლის საბჭოთა კინო-ჟურნალები 1, 2, 3
40. აგრომინიმუმი
41. შაქრის ჭარხლის კულტურა
42. თამბაქო
43. ხელი
44. მესაქონლეობა
45. მეფრინველეობა
46. მექათმეობა
47. მეცხვარეობა
48. ცხენების ფაბრიკა
49. იცინის ცხოვრება
50. ორი მეგობარი, მოდელი და მეგობარი ქალი
51. ახალგაზრდობა იმარჯვებს
52. საქმე № 128
53. მოულოდნელი გმირი
54. ს. პეტერბურგის აღსასრული
55. ამბოხება
56. რომანოვთა დინასტიის დაცემა
57. იმპერიის ნამსხვრევი
58. ცისფერი ექსპრესი
59. ხაკანი № 79
60. ელისო
61. თურქესტან-ციმბირის რკინის გზა
62. ოპიუმი
63. თეთრი მხედარი
64. მარცვლეულ კულტურათა ნათესების კონტრაქტაცია
65. დედალ წეროს აღსასრული
66. ოქროს ბაკერი
67. გაზაფხულის სიმღერა
68. რიაზანელი დედა-კაცები
69. ოქროს ვერძი
70. სიკვდილის ყურე
71. მაგარი კაცი
72. ხექტანტები
73. მოჩვენება, რომელიც აღარ ბრუნდება
74. ორდერი სიცოცხლისათვის
75. კუნძული ტოგუი
76. სამხრეთი ტამბოვში
77. დედა
78. რაზე ბღავის ძროხა
79. მიჩურინის სანაშენო
80. ალექშინსკის ქვიშები
81. ტრაქტორის როლი
82. თესვა
83. ნასვენი მიწების დამუშავება
84. ყამირი და მიტოვებული მიწების დამუშავება
85. მავნებლებთან ბრძოლა
86. პურის გუდაფშუტა
87. სოციალისტური თესვისათვის
88. გვალვასთან ბრძოლა
89. პურეულის ავადმყოფობა და მასთან ბრძოლა
90. ორი გიგანტი
91. ბელლის მავნებლები
92. ნეხვის კარგად გამოყენება და შენახვა
93. მებაღეობა
94. სოციალისტური სოფლისათვის
95. ლაშქრობა მოსავლისათვის („სოვკინო“)

ყოველგვარი ცნობები აღნიშნული სურათების გაქირავების შესახებ გაიცემა ყოველდღე საქართველოს სახკინმრეწვის გასაქირავებელ განყოფილებაში—8 საათიდან 11 საათამდე ადგილობრივ კლიენტებზე და 8 საათიდან 2 ს. 30 წუთამდე სხვა ქალაქების კლიენტებზე. დასასვენებელ დღეებში—16, 21, 26, 31 და სხვ.—9 საათიდან 11 საათამდე.

ნ. 1056

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

პ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“ ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—91. 3—1

მასწავლებლები უმაღლესი ცოდნით ამზადებენ მოწაფეებს: სპეც-ტეხნიკუმებისათვის, მუშფაკებისათვის და საბუხჰალტრო კურსებზე შესასვლელად. პირობების გაგება 4—7 საათამდე. კარგარეთელის ქ. № 3-A, ბინა № 2. (ყოფ. პირაგოვის ქ. კინო აპოლლოს მახლობლად). 25—21

დაიკარგა ხელოვნური - სამკურნალო წყლების სარეწაო კოოპერატივის „მაისი“-ს კუთხიანი შტამპი ჩაითვალოს გაუქმებულად

2 2 3682

უბედურნი და სამუდამოდ გამწარებულნი მამა ვარდენი, დედა ელენე შვილით ვენერათი დასტირიან თავიანთ უდროოდ დაკარგულ

პატარა თემური კირვალიძეს

გამოსვენება ქალ. 1-ლ საავადმყოფ. დღეს, 16 ივლისს, 5 ს. 3762

მუშკოოპის პურის განყოფილების თანამშრომლები და ამავე განყოფილების პურის მექანიკური საცხობის მუშა-მოსამსახურეები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს, რომ 15 ივლისს, ღამის 3 საათზე გარდაიცვალა ამავე განყოფილების საბულკე ქარხნის გამგის ვ. კირვალიძის ვაჟიშვილი

პატარა თემურაზი

გამოსვენება ყოფილ არამიანცის საავადმყოფოდან. დაკრძალვა დღეს, 5 საათზე, ავლაბრის სასაფლაოზე. (ე)

სამუდამოთ გულმოკლულნი: მეუღლე ნასტია, შვილი დათო, სიდედრი პასიკო, გაზრდილი ელისაბედ მგალობლიშვილისა, ძმისშვილი კვარაცხელია ცოლშვილით, ქვისლები არჩილ იმნაძე, ვლადიმერ ცხომელიძე ცოლშვილით, რძლები ნუცა და ლიზა მგალობლიშვილი შვილებით, გაზრდილი გოგუცა ესებუა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის საყვარელი

ნესტორ დავითის-ძე კვარაცხელიას

უეცარ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა ა. წ. 15 ივლისს ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე. 3725

დამწუხრებულნი მშობლები: ვარლამი და ნადია, ძმა ტოლია, ბაბუა კოსტა, ბებია ბარბარე ნადარეიშვილები, ბაბუა ლევანი, ბებია პეპუ ყვანიანი, მამიდა მარო, ბიძები ვევანი, მალვა ნადარეიშვილები, დეიდები: ტატიანა, ლიდა, სონია, ლოლა, ბიძა მიშა ყვანიანი დასტირიან უდროოდ დაკარგულ

გულნარას

დაკრძალვა სოფ. ონტოფოში. (ლ)

ა. კ. კავშირგაბმულობის და რადიოცენტრის აპარატის გამწმენდი კომისია.

იუწყება, რომ ამიერ-კავკასიის კავშირგაბმულობის და რადიოცენტრის აპარატის ღია შემოწმება და წმენდა დაიწყება 16 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის საზაფხულო კლუბში (კინო „სოლეის“ გვერდით, შესასვლელი ელბაქიძის დაღმართიდან). თხოვნაა ყველა საწარმოების მუშებისადმი და მოსამსახურეებისადმი, ორგანიზაციებისადმი და დაწესებულებებისადმი, რომელთაც აქვთ კავშირგაბმულობის სამმართველოს და რადიოცენტრის აპარატის მთლიანად და ცალკე მუშაკების მოქმედების დამახასიათებელი მასალები, აქტიური მონაწილეობა მიიღონ წმენდაში და გაუგზავნონ მასალები შემმოწმებელ კომისიას.

ნ. 1054 კომისია.

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

— პურის. წიგნ. ლიტ. „ბ“—გრიგოლ ლოლაძის სახელზე.	3765
— 7-წლ. დამთავრ. ატესტ. № 904—ოლია ჯაფარიძის სახ.	3736
— მუშკ. საწ. წიგნ. № 24883—სპ. ქუთნის სახელზე.	3768
— ს.ა.ლ.კ.კ. საწ. წიგნ. № 5476—ბესირე შარაშიძის სახელზე.	3758
— გლეხთა ახალგაზრდობის კ. დამთ. ატესტ. № 74—სირანა ოსკანოვის სახელზე.	3759
— მუშკ. წიგნ. 78317—გრიგოლ თათაშის-ძე თოფურიას სახ.	3763
— ატესტ. № 518 გაცემ. კ. ხონის 9-წლედ.—ივანე პეტრეს-ძე მაისაიას სახელზე.	3760
— ზაკტ. საწ. წიგნ. № 4177—თეუფანე მანუჩარის-ძე გოგელიას სახ.	3754
— სამხ. წიგნ.—ვასილ დიმიტრის-ძე ჯანგიანის სახელზე.	3754
— მეტრ. ამონაწ. № 192—ეთერი მამაჯანოვის სახელზე.	3752
— კოოპ. სახ. წიგნ.—ბესია საბას-ძე კვირიკაძის სახელზე.	3748
— პურ. წიგნ. „ა“ და „ბ“—და პირად. მოწმ.—ა. ნ. არჩაძის სახ.	3747
— პირად. მოწმ. № 5233—ზაქრო წერეთელიშვილის სახელზე.	3756
— მუშკ. საწ. წიგნ. № 43051—რაჟდენ ქერელიშვილის სახელზე	3745
— კავშ. წიგნ. № 1150368—გრიშა მინას ასული ხუციშვილის სახ.	3735
— მე-8 ჯგ. დამთ. მოწმ. გაცემ. ახალ-სენაკის ათწლიანი შრ. სკოლიდან—დესპინე გიტოსიას ასული ბესელიას სახელზე.	3747
— კავშ. წიგნ. № 47006—პავლე ნიკოლოზის-ძე ამაშუკელის სახ.	3737
— მატრიკ. № 771 გაცემ. ლენ. სახ. ს.ს.პ. ინსტიტ.—დავით კაკუშაძის სახელზე.	3739
— პირად. მოწმ. და დამცველთა კოლეგიის წევრ. წიგნ. გაცემ. ა. კ. პრეზიდიუმის მიერ—მიხეილ მაქსიმეს-ძე ლეკიშვილის სახელზე.	3735
— პურ. წიგნ. „ბ“ № 36221—სამუელ ჩხიკვიშვილის სახელზე.	3720
— სამხ. წიგნ.—ალექსი აბდრიას-ძე კოტორაშვილის სახელზე.	3733
— მუშკ. წიგნ.—დათიკო დანიელის-ძე ტყეშელაშვილის სახელზე.	3744
— საპენსიო წიგნ.—რუსუდან ალექსანდრეს-ძე ლეჟავას სახელზე.	3731
— სახლის საბინაო დავთ. (ბაქრაძის შეს. № 22, [illegible] ქეთევან ბაბადიშვილის სახელზე.	3743
— მოწმ. გაცემ. „კუსტარკრედიტის“ მიერ № 14—შამსი მუხტარ-ოღლის სახელზე.	3722
— მუშკ. წიგნ.—ნელი არეშიძის სახელზე.	373
— მუშკ. წიგნ. № 84395—ლევან მიქაძის სახელზე.	37
— პურ. წიგნ. № 5583 ლიტ. „ა“—ბაბილონ ჩალოყაშვილის სახ.	3
— შეშის მოთხოვნ. წიგნ.—ვასილი მირზაშვილის სახელზე.	3
— პურ. წიგნ. № 33738—ნატალია გორბაჩევას სახელზე.	3757
— პურის წიგნ. № 93551—ნესტორ მათეს-ძე—მესხის სახელზე.	3724
— სამხ. საღრიცხ. წიგნ. № 991—ივანე ვასილის-ძე ნასარიძის სახ.	3764

უსაზღვროდ დამწუხრებული მეუღლე მიშა, დედამთილი ელენე, მული თამარა აუწყებენ ნათესავ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ქ. ფოთში 12/VII ტრაღიკულად გარდაიცვალა პირველის საყვარელი ცოლი, მეორესი და მესამეს რძალი

ფაცა ჯაიანის ასული ჩაჩავასი

დასაფლავება ქ. ფოთში, ხუთშაბათს, 17/VII, 4 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე 6 საათზე. 3750

საშა და გოგუცა ჩაჩავები შვილებით: ნინა, კოტე და ამირანით, სიძე ნ. მეიშვილი, ბიძაშვილი ექ. კლემენტი ჩაჩავა დასტირიან ტრაღიკულად დაღუპულ ძვირფას სასოფ. სამეურნ. ინსტიტ. მე-II კურსის სტ.

ფაცას

დასაფლავება ფოთში ხუთშაბათს, ა. წ. 17/VII, 4 საათზე. 3751

დამწუხრებულნი ნინო და ივანე დიდია, შვილებით: ალექსანდრა, ნოდარი და მარიამით აუწყებენ საზოგადოებას

ფაცა (ქსენია) კირილეს ასული ჩაჩავას

ტრაღიკულად დაკარგვას. დასაფლავება ქ. ფოთში ხუთშაბათს 17 ივლისს ნაშუადღევს 4 საათზე 372

ღრმად დამწუხრებულნი ექიმი ივანე ფულარია, მეუღლე დესპინე, შვილები გუგუშა და მარიამი აუწყებენ საზოგადოებას მიშა ჩაჩავას მეუღლის

ფაცა ჩაჩავას

ტრაღიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა ფოთში 17 ივლისს. ნ.

უახლოესი მეგობრები ლიდა კანდელაკი, ნინა ცხადაია, ქეთო შამუგია, გოგუცა იმნაძე, ქეთო მაღლაკელიძე, ქეთო სიორიძე, ქეთო აფხაზავა, ნინა ანთაძე, ჩაკუა ჩილია, მალვა ცავა, ვასო პაჭკორია, ძაბა ასათიანი, ვერა სურგულაძე, მარიკა ქვიჩია, ნინა თაყაიშვილი, თამარა გვინია იუწყებიან აგრონომიულ ფაკულტეტის მე-2 კურსის მსმენელ

ფაცა ჯაიანი-ჩაჩავას

ტრაღიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა ფოთში 17 ივლისს ნ. 1057

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ფოფიტუ სპირიდონის ასული, შვილი ნინა და შვილიშვილი მზია, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი

ალექსანდრე ნიკოს-ძე ჩუბინიძე

დაკრძალვა ქ. ზესტაფონში 16 ივლისს, ოთხშაბათს, საღ. 5 საათ.

დამწუხრებულნი: ძმა რაჟდენი მეუღლით, ძმისშვილები ვალერიან, ივანე, შალვა, ნიკოლოზ და ქეთო ჩუბინიძეები, სიძე შალვა გოროგაძე მეუღლით და რძალი სამი ქალიშვილით იუწყებიან, რომ ა. წ. 13 ივლისს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ალექსანდრე ნიკოს-ძე ჩუბინიძე

დაკრძალვა ოთხშაბათს, 16 ივლისს ქ. ზესტაფონში, ნაშ. 4 ს. 3767

უსაზღვროდ დამწუხრებულნი შვილები: დათიკო, მათიკო, ია, შალვა და მერიკა მიქაძეები, რძალი ლიდა, ცოლი და ნინა გიორგიძე შვილებით, სიძეები: ვანო ბერძენიშვილი და სერგო თაბაგარი, შვილიშვილები შურა, გუდა და ლია აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ქალაქ ზესტაფონში, ივლისის 13-ტს ტრაღიკულათ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ირაკლი მიხეილის-ძე მიქაძე

დაკრძალვა ქ. ზესტაფონში 17 ივლისს, 4 საათზე. 3734

დამწუხრებულნი: ბესარიონ, მარიამ, არჩილ, რაისა, ალიკო, მერი, თინა მიქაძეები, შალვა და ლიტა ჟურული, დომა და ნუცა ყარალაშვილი, ვანიჩკა და ხელი კოხოლავა აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარი ძმის, ბიძის

ირაკლი მიხეილის-ძე მიქაძის

გარდაცვალებას. 3756

ღრმად დამწუხრებული და ქვრივად დარჩენილი შვილებით: ვარვარა, ვალერიან, დავით, ნინო; რძალი რია კაკჩავა, სიძე ალექსანდრე კანდელაკი, შვილიშვილები: გიგი, ქეთო, ნანა აუწყებენ საზოგადოებას მათთვის ძვირფასი

ირაკლი მიხეილის-ძე მიქაძის

გარდაცვალებას. 3764

ზესტაფონის რკ. გზის სკოლის პედსაბჭო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ამავე სკოლის დამსახურებულ მასწავლებლის ამხ.

ირაკლი მიხეილის-ძე მიქაძის

უეცარ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ზესტაფონში 17 ივლისს 4 ს. 3721

ღრმად დამწუხრებული შვილები: ანა, ალექსანდრე (საშა), ილიკო და ბესარიონი იუწყებიან, რომ ოთხშაბათს, 16 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათი ძვირფასი მამის

დიმიტრი (დუტუ) ვასილის-ძე მამულიას

ხსოვნის აღსანიშნავად. 3741

დამწუხრებული მეუღლე გრიგოლ (გრიშა) გიორგის-ძე აბაშიძე შვილებით: ბაბალე, გოგი, ეთერი, შოთაით, მამამთილი გიორგი [illegible] დები: ვარვარა გიორგის ასული [illegible] და ელენე გიორგის ასული [illegible] აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

მარიამ სტეფანეს ას. აბაშიძისა

სამოქ. პანაშვიდი საღ. 7 საათზე. დაკრძალვა ხუთშაბათს, 17 ივლ., 5 ნახ. საათზე. გამოსვ. ბინიდან, ელისაბედის ქ. № 100. 372 2—1

ტირაჟი—57.514

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68.